ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა
მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემია

ამალია საზანდრიშვილი

# მოგონებათა ფურცლები

## აკაკი გასიტაშვილზე

თბილისი
2014

სულით ამაღლებულ ადამიანზე იწერება წიგნი. ისტორია იქმნება ისეთ პიროვნებაზე, ვისაც სამშობლოსათვის გასროლილი ტყვიისთვის აუფარებია მკერდი, ვისაც უბრძოლია ომის პერიოდში თუ ტერიტორიული მთლიანობისათვის, ვისაც აღუზრდია თაობები, ღამეები უთენებია და სიზმარშიც შეწუხებულა მოსწავლეებზე ფიქრით.

ეს არის ისტორია პიროვნებისა, ვისაც უვლია შოთას, ილიას, აკაკის გზით, ვისთვისაც იდეოლოგია უმაღლეს რანგში იყო აყვანილი. გულით აღმზრდელი, ზოგჯერ მსახიობის როლს მოირგებს და დიპლომატიურ ხერხს მიმართავს. ასეთი პიროვნება იყო ბატონი აკაკი გასიტაშვილი.

როდესაც ბატონი აკაკი სამამულო ომში იბრძოდა, მშობლებს ასეთი შინაარსის წერილებს სწერდა: ვისადილეთ, ვივარჯიშეთ, დავესწარით კონცერტს.

იგი ფრთხილობდა, წერილი ხელში არ ჩაეგდო მოწინააღმდეგე მხარეს და არ გაეღიზიანებინა აგრესორი.

ომის შემდეგ, როდესაც მის ვაჟ ზურაბს წერილები წაუკითხავს მამისათვის, ხუმრობით უთქვამს: მამა, ომში იყავი თუ კურორტზეო. არადა ბატონი აკაკის მედლები სულ სხვაზე მეტყველებენ.

აკაკი გასიტაშვილის მეუღლე ქალბატონი მარიამი ხაშურელი მღვდლის სამსონ მძინარაშვილის ქალიშვილი ყოფილა. განჯაში გარდაცვლილ ნიკოლოზ ბარათაშვილს სწორედ მღვდელმა მძინარაშვილმა უპატრონა. მემატიანე გვამცნობს, რომ, როდესაც ილია ჭავჭავაძის თაოსნობით ბარათაშვილი მთაწმინდაზე გადაასვენეს, მღვდელ მძინარაშვილის წარმოთქმულ სიტყვაზე მთელი თბილისი ატირებულა.

დიდი პასუხისმგებლობაა, წიგნის დაწერა ისეთ ადამიანზე, როგორიც იყო ბატონი აკაკი გასიტაშვილი. რაც შეეხება „მოგონებათა ფურცლების“ ავტორს ქალბატონი ამალია საზანდრიშვილი დამსახურებული პედაგოგია, ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის წევრი, დიდი მოგზაურის – ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის წევრი და ბატონი აკაკი გასიტაშვილის ყოფილი თანამშრომელი. მას არქივისთვის მიუმართავს, მოუგროვებია უნიკალური მასალა, მოუძებნია ის პიროვნებები, ვინც იცნობდა ამ დიდებულ ადამიანს, შეუგროვებია შთაბეჭდილებები ბატონ აკაკიზე და კალმის არტახებში მოუმწყვდევია. წიგნის თემატიკა ისტორიაა, რომელიც არცთუ ისე დიდი ხნის წინ მოხდა. ქალბატონ ამალია საზანდრიშვილს სჯერა, რომ ისეთი ღვთიური ადამიანი როგორიც ბატონი აკაკი გასიტაშვილი იყო, ზეცაში ვარსკვლავებად აინთებოდა. აქ კი მიწიერ სამყაროში „მოგონებათა ფურცლები“ ლამპარივით აინთება მკითხველთა გულში.

სასურველია ეს წიგნი – „მოგონებათა ფურცლები“ შევიდეს სასკოლო ბიბლიოთეკებში, რათა მკითხველებისათვის ხელმისაწვდომი იყოს. აკაკი გასიტაშვილის მაგალითით უნდა აღიზარდოს თაობები.

გულნაზ ხარაიშვილი
ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა
მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის
პრეზიდენტი და ჟურნალ „ათინათის“
მთავარი რედაქტორი

ISBN 978-9941-0-7542-1

აკაკი არჩილის ძე გასიტაშვილი დაიბადა 1923 წლის პირველ ოქტომბერს ქალაქ ბორჯომში. დღევანდელ საქართველოში გასიტაშვილების გვარის სამი შტოა – რუისის, აწყურისა და სკრის. აკაკი გასიტაშვილის ფესვი სკრის შტოს განეკუთვნება. ისტორიული წყაროებიდან ჩანს მისი პაპა – ქრისტესია გასიტაშვილი და ბებია – მელანია სიმონიშვილი, ქრისტესია გასიტაშვილის მშობლები გიორგი და ნინო და გიორგი გასიტაშვილის მამა დავითი. აკაკის მამა არჩილი (ქრისტესიასა და მელანიას ვაჟი) გამოცდილი მეომარი გახლდათ. იგი იბრძოდა 1914 წლის რუსეთ-გერმანიის ომში. არჩილი ტყვედ ჩავარდა და ქალაქ დორტმუნდში იხდიდა სასჯელს. როგორც ეტყობა მაშინდელი ომი უფრო ჰუმანური იყო, ყოველ შემთხვევაში ტყვეს ადამიანად თვლიდნენ და თავის ოჯახთან კომუნიკაციის საშუალებას აძლევდნენ. არჩილს მშობლები სკრიდან ამანათს უგზავნიდნენ. ჩურჩხელა, თბილი წინდები და ა.შ. როცა ომი დამთავრდა, არჩილი დაბრუნდა საქართველოში. ამ პერიოდში უკვე იწყება დამოუკიდებელი საქართველოს ჯარის ფორმირება. იგი ეწერება ქართულ ჯარში და როგორც გამოცდილ მეომარს, დაბალი რანგის ოფიცრად ნიშნავენ. მან თავი გამოიჩინა ყველა იმ ბრძოლაში, რომელიც მოუწია იმ პერიოდში ქართულ ჯარს. არჩილ გასიტაშვილის მოგონებით, ბოლო ბრძოლის დროს ქართულ ჯარს უთხრეს, რომ აზერბაიჯანის ჯარი დაგვესხა თავსო. დიდი ვაჟკაცობით უბრძოლიათ ქართველებს. როდესაც დაღამდა, ქართველები გადაპარულან, დაუთვალიერებიათ ცხედრები და ხელში რუსები შერჩენიათ. ბევრმა ჯარისკაცმა რუსებთან ომი არ ისურვა და დაიწყო ქართული არმიის რღვევა. გარბოდნენ ფრონტის ხაზიდან. აკაკის მამა არჩილი გახლდათ ის გამორჩეული ჯარისკაცი, რომელმაც ბოლომდე უერთგულა სამშობლოს. არჩილი იმ 800 ჯარისკაცს შორის იყო, რომელთაც გააცილეს ნოე ჟორდანიას მთავრობა ბათუმიდან. იგი გახლდათ იმ დაუვიწყარი სიტყვის მომსწრე, რომელიც ნოე ჟორდანიამ წარმოთქვა გაცილებისას. ნოემ მიმართა საზოგადოებასა და ჯარს – შვილებო, სამშობლოს გიტოვებთო, შემდეგ კი რვაასივე ჯარისკაცს ჩამოართვა ხელი. არჩილის მოგონებით საზოგადოება იმდენად ეგზალტირებული გახლდათ, რომ გემმა რომ შეცურა ხალხიც მიჰყვებოდა ზღვაში. ეს მუხტი არჩილ გასიტაშვილს მთელი ცხოვრება გაჰყვა და როდესაც მეორე მსოფლიო ომის დროს პოლიტიკური ნიშნით დააპატიმრეს, ციხეში თავის მეუღლე ნინას მონახულებისას კიდევ იმას უბნებოდა, რომ დროებითი მთავრობა დაბრუნდებაო.

ერთ-ერთი ბრძოლის დროს არჩილ გასიტაშვილმა სიკვდილს გადაარჩინა დაჭრილი ჯარისკაცი გიგუცა აბრამაშვილი, რომელიც ხაშურის რაიონის სოფელ ტეზრიდან ბრძანდებოდა. არჩილმა დაჭრილი გიგუცა ფრონტის ხაზიდან ზურგით გამოიყვანა. გიგუცას უთქვამს, სიცოცხლე მაჩუქე და რით გცე პატივიო, – შეუთავაზებია, კარგი და მყავს და თუ მოგეწონება მოგათხოვებო. მართლაც ასე მოხდა. არჩილ გასიტაშვილმა იქორწინა ნინა აბრამაშვილზე.

არჩილს ჰყავდა სამი ძმა დავითი, ივანე და ზაქარია (შაქრო) და ორი და – ქეთევანი და ნადეჟდა. დავითი ბორჯომის რაიონში მსახურობდა მემანქანედ, ბაკურიანის ეგრეთ წოდებული „კუკუშკა" დაჰყავდა.

დავითი კარგი მუშაკი ყოფილა და ხალხსაც ჰყვარებია. იგი იმ პერიოდის ყველაზე მაღალი ჯილდოთი „ლენინის ორდენით" გახლდათ დაჯილდოებული. სწორედ დავითმა და მისმა მეუღლე ნაზიკო ბლიაძემ მიიპატიჟეს ახალდაქორწინებული არჩილ გასიტაშვილი და ნინა აბრამაშვილი ბორჯომში, სადაც არჩილი რკინიგზელად იწყებს მუშაობას. ბორჯომშივე იბადება აკაკი, არჩილისა და ნინას პირველი შვილი. ბორჯომშივე, ნათლავენ ახალდაბადებულს, მისი ნათლია ბორჯომელი ილია გუგბერიძე გახლდათ. აკაკი ყოველთვის დიდი სიყვარულით იხსენებდა ბორჯომში ცხოვრების წლებს. განსაკუთრებით უყვარდა ბიძაშვილები – გიორგი, ნიკოლოზი, და ანა. გიორგი ახალგაზრდა დაიღუპა. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ რუსეთში გაანაწილეს მეცნიერ მკვლევრად. საწარმოში გაჩნდა ხანძარი, რომლის ლიკვიდაციაშიც გიორგის თავგანწირული როლიც ყოფილა (ამას გვამცნობს იმდროინდელი რუსული პრესა), ამ ექსტრემალურ სიტუაციაში გაცივდა, დაემართა ფილტვების ანთება და გარდაიცვალა. ნიკოლოზი, საქართველოში ცნობილი მემანქანე გახლდათ, ხოლო ანა ხელოვანი ქალბატონი, რომელმაც 70-80-იან წლებში, პატრიარქის დავალებით შექმნა ხატების ქარგვის სკოლა და აღადგინა ნაქარგი ხატების შექმნის ხელოვნება. მოგვიანებით არჩილ გასიტაშვილი მეუღლესთან ერთად გადმოდის ქ. ხაშურში, სადაც შეიძინეს ბინა. ხაშურში არჩილს და ნინას ეყოლათ კიდევ ორი შვილი ეთერი და ვაჟა. ვაჟა აკაკიზე 16 წლით უმცროსი გახლდათ.

აკაკის დეიდა ეკატერინე გათხოვილი გახლდათ აზერბაიჯანელზე, მაშინ ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველო ბაქოში მდებარეობდა. სწორედ ამ სამმართველოს უფროსი იყო ეკატერინეს მეუღლე ჰუსეინ იაკუბოვი, რომელიც მთელი ამიერკავკასიის რკინიგზას მართავდა. მას ჰყავდა ორი ვაჟი ქემალი და მაისა. ერთხელ პატარა აკაკი მოხვდა ბაქოში ჰუსეინის ოჯახში, სადაც ეზოში თამაშისას აკაკის ასაკით უფროსი, მეზობლის აზერბაიჯანელი ბიჭი გაუბრაზებია, ამ ბიჭს გამოუტანია ხანჯალი და აკაკის გამოჰკიდებია, აკაკის ძლივს გამოუსწრია. ჰუსეინს იმდენად უყვარდა აკაკი, რომ წამოსვლისას ბურთები უჩუქებია (იმ დროს ტყავის ბურთი დიდი იშვიათობა გახლდათ მოზარდისათვის). ჰუსეინი ეხმარებოდა სოფელ ტეზერსაც, სოფელს მინიელექტროსადგური გაუკეთა. როგორც ჩანს, 37 წელმა აზერბაიჯანიც მნიშვნელოვნად დააზარალა. ჰუსეინი დახვრიტეს, მისი ვაჟი ქემალი აზერბაიჯანში გაიზარდა და აზერბაიჯანის სახალხო მხატვარი გახდა, ხოლო მეორე – მაისა დედასთან ერთად საქართველოში წამობრძანდა და აქ გაიზარდა, იგი მუსულმანურად არ იყო მონათლული. მოიყვანა ქართველი ქალი, სოხუმში დასახლდნენ და მშვენიერი ოჯახი და კარ-მიდამო ჰქონდათ. მათ ორი ვაჟი გაზარდეს. ერთი ექიმი გახდა, მეორე – ეკონომისტი. ამჟამად ცხოვრობენ რუსეთში. თავად მაისა და მისი მეუღლე ლტოლვილობის ჟამს თბილისში

დასახლდნენ. მაისა გარდაცვალებამდე მართლმადიდებლურად მოინათლა და ქრისტიანული წესით დაიკრძალა.

სკოლაში აკაკი გამორჩეული მოსწავლე იყო. აკაკის სკოლის დირექტორი ასევე ცნობილი პიროვნება, სტალინის ბავშვობის მეგობარი პეტრე კაპანაძე იყო. კარგად იგონებდა სასწავლო ნაწილს, მიქაძეს, მათემატიკისა და გერმანულის მასწავლებლებს. იმდენად ნიჭიერი ბავშვი გახლდათ, რომ სკოლაში სწავლის პერიოდში ამეცადინა დედის უმცროსი ძმა ალექსი (სოფელ ტეზერში ცნობილი ალიოშა აბრამაშვილი), რომელმაც წარმატებით ჩააბარა უმაღლეს სასწავლებელში გამოცდები. მას აკაკი განსაკუთრებით უყვარდა და სულ მის ქებაში იყო. აკაკის სკოლის დამთავრების ატესტატი მხოლოდ ფრიადებითაა შევსებული. მრავალი წლის შემდეგ, ომგამოვლილი აკაკი ზოგჯერ თავის ვაჟს მატემატიკაში ეხმარებოდა. აკაკის სკოლის დამთავრებიდან გასული იყო 30 წელზე მეტი და ამოცანებს, რომლებსაც მისი ვაჟი და ხუთოსანი მეზობელი ვერ ხსნიდნენ, აკაკი ამოუხსნიდა ხოლმე. დღევანდელი ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, აკაკი გასიტაშვილის ვაჟი ზურაბი გაოცებით ამბობს, რომ ის და მისი მეზობელი ე.წ. რეპეტიტორთანაც ემზადებოდნენ, ე.ი. რა ძლიერი სწავლა ყოფილა XX საუკნის 30-იანი წლების სკოლაში, რომ რეპეტიტორის გარეშე ასეთი ძლიერი კადრები იზრდებოდნენ.

სკოლის დამთავრების შემდეგ აკაკი გასიტაშვილი ემზადება უმაღლესში სწავლის გასაგრძელებლად, მაგრამ მოგეხსენებათ 1923 წელს დაბადებულებს მაშინვე უკრეს თავი ფაშიზმის წინააღმდეგ ომში, რომელიც სამამულო ომად იყო წოდებული. ბატონი აკაკი იხსენებდა, რომ ეშელონი მამამ და დედამ გააცილა. აკაკი იგონებდა გამოცდილი მეომრის — მამის დარიგებებს. თუ თვითმფრინავი შენს თავზე აგდებს ყუმბარას არ გაიქცე, ყუმბარა რკალს მოხაზავს თვითმფრინავის მოძრაობის მიმართულებით და სხვაგან ჩამოვარდებაო.

სანამ უშუალოდ ომში ჩაებმებოდნენ ქართველ ჯარისკაცებს ირანში ქ. თავრიზში აგზავნიდნენ, სადაც ქართულ არმიას გენერალი ალექსი ინაური სარდლობდა. აქ აკაკი ეუფლება საბრძოლო ხელოვნებას, ეჩვევა ჯარისკაცულ დისციპლინას. კარგად აათვისებინეს ცხენზე ჯდომა, მოძრავ ცხენზე შეხტომა და ჩამოხტომა, იარაღის ხმარება და ა. შ.

ბ-ნი აკაკი იგონებდა, რომ უყვარდა ჯიბეებში ხელების ჩაყოფა. ეს რომ შეამჩნია ოფიცერმა, უბრძანა, ჯიბეებში კენჭები ჩაეყარა და გააკერა. ორი კვირა ასე მძიმე შარვლით ატარა. ბატონ აკაკის უწევდა ღამის მორიგეობა, თუ შეამჩნევდნენ რაიმე მოძრაობას უნდა დაეძახათ შეჩერდი ვინ მოდის, თუ არ გაჩერდებოდა ცაში უნდა ესროლათ და თუ კიდევ არ შეჩერდებოდა, პირდაპირ — ობიექტისთვის. ერთხელ ასეც მოხდა. ერთ-ერთი მორიგეობისას აკაკიმ გააფრთხილა მოძრავი ობიექტი, შემდეგ ცაში ისროლა და ამ დროს გამოვარდა ოფიცერთა ხელმძღვანელი ჯგუფი და დაიჭირეს დამრღვევი. აღმოჩნდა ვირი,

რომელიც ქარავანს ასცდა და მოიტანა ორი ტომარა ქიშმიში, რომელსაც ჯარისკაცები ერთი კვირა მხიარულად მიირთმევდნენ.

ალექსი ინაურს მეუღლე რუსი ჰყავდა და 3-4 წლის ვაჟიც რუსულად საუბრობდა. ქართველებს ქართული გინება უსწავლებიათ ინაურის ვაჟისათვის. მოდის ინაური და ვაჟი ქართულად დედას აგინებს, გამოქანებულა ინაური აუტაცია ვაჟი ჰაერში და სიხარულით დაუკოცნია.

ექვსი თვის შემდეგ აკაკი მიჰყავთ რეალურად მოქმედ არმიაში, ამ არმიის ჯარისკაცები დონის კაზაკებად იწოდებოდნენ, რადგანაც კავალერისტები იყვნენ. აკაკიმ ბრძოლებით გაიარა ჩრდილოეთ კავკასია, ბელორუსია, უკრაინა, რუმინეთი, უნგრეთი და ომი ავსტრიაში დაასრულა.

აკაკი იგონებდა, რომ ჯერ კიდევ ახალი ჩართული იყო ბრძოლებში, როდესაც ნატყორცნი ყუმბარა გასკდა და მის თანამემამულესა და თანაქალაქელ ჯარისკაცს წააცალა თავი, რასაც ძალიან განიცდიდა. როდესაც ომი დასრულდა, მოინახულა ამ ჯარისკაცის მშობლები. ვინ იცის, რამდენი ასეთი სიკვდილი უნახავს. ამიტომაც იყო (აკაკის მეუღლე მარიამ მძინარაშვილის მოგონებით, ისინი 1948 წელს დაქორწინდნენ), რომ ქორწილიდან სამი წლის განმავლობაში ხშირად ძილის დროს დაფეთებული წამოვარდებოდა (არადა ომი სამი წლის დამთავრებული იყო). როგორც ჩანს ომის სინდრომი ბატონ აკაკისაც შეეხო.

ბატონი აკაკი ძალზე მოწესრიგებული პიროვნება გახლდათ, ომის პერიოდში სულ სუფთა, წვერგაპარსული და საყელოგარეცხილი დადიოდა, რაც ხელმძღვანელობას შეუმჩნევლი არ დარჩენია, ამ პერიოდში ბევრი ჯარისკაცი პირად ჰიგიენას არად დაგიდევდა, ამბობდნენ მაინც მოვკვდებითო, რაც ჯარის დემორალიზაციას იწვევდა.

აკაკი აქტიურად მონაწილეობდა სანგრების გათხრაში, ხშირად ინდივიდუალურ სანგარსაც თხრიდა, რასაც ტანკი ვერას აკლებდა. გარდა ამისა, რუსული კარგად იცოდა. ხშირად დასვენებისას იგონებდა მათემატიკის ამოცანებს და ხსნიდა, რომ არ დავიწყებოდა მათემატიკა. ერთი სიტყვით, როგორც მოწესრიგებული და კარგი მეომარი შეამჩნიეს, დივიზიის კომკავშირის კომიტეტის მდივნად დანიშნეს და პარტიაშიც მიიღეს.

ამ პერიოდში იდეოლოგია უმაღლეს რანგში იყო აყვანილი, ამდენად ბატონი აკაკის დღიურებში და მოწერილ წერილებშიც ერთ სიტყვას ვერ ნახავდით ომსა და საბრძოლო ჩანაწერებზე, რათა მტერს ხელთ არ ჩავარდნოდა ნაწერები. მშობლებისა და ნათესავების მიმართ მოწერილი წერილები ძალზე ოპტიმისტური გახლდათ. დედააზრი ძირითადად ფაშისტ დამპყრობლების განადგურება იყო. ძირითადად წერდა: ვისაუზმეთ, ვისადილეთ, ვივარჯიშეთ, საბრძოლო მეცადინეობას დავესწარით, დავესწარით კონცერტს. ამის გამო ვაჟი ზურაბი ხშირად ეხუმრებოდა,- მამა, შენ ომში იყავი თუ კურორტზეო. არადა აკაკის მედლები სულ სხვას ადასტურებს.

როდესაც ჯარი ომის შემდეგ, რომელიმე სოფელში შეისვენებდა ჯარისკაცებს ოჯახებში ანაწილებდნენ. ერთ-ერთ ოჯახში ჯარისკაცები გამოკვებეს და ერთ ჯარისკაცს დაუწყია ოჯახის ძარცვა. აკაკის დაუმიზნებია იარაღი ამ ჯარისკაცისთვის და უთქვამს აქვე დაგხვრეტო. თუმცა ეს მომავალში ძალიან ძვირად შეიძლება დაჯდომოდა, ვინაიდან საომარ სიტუაციაში ზურგიდან შეიძლება ესროლათ, რომელსაც ვერავინ გაიგებდა. ერთ ჯარისკაცს მოუტაცია ერთ-ერთი ოჯახის (ვგონებ ბულგარეთში იყო) ქალიშვილი. მშობელი მოადგა ხელმძღვანელობას. აკაკი და ორი ჯარისკაცი გაეშურა ამ გოგონას გასათავისუფლებლად, იმ რუსმა ჯარისკაცმა სროლა ატეხა, ბოლოს დააპატიმრეს და წამოიყვანეს.

ამით იგებდა სტალინი, ომი იდეოლოგიაზე, მორალზე, პატიოსნებაზე ჰქონდა დაფუძნებული. მან ქრისტიანული მორალი პარტიის წესდებაშიც ასახა და ჯარის ფუნქციონირების იდეოლოგიაშიც, როდესაც გერმანია დამარცხდა, საბჭოთა ჯარმა იწყო ბერლინის ძარცვა, რასაც დაუყოვნებლივ მოჰყვა სტალინის რეაქცია და გაათავისუფლა ცნობილი სარდალი გ. ჟუკოვი, რომლის როლიც გამარჯვებაში უდიდესი იყო.

ზნეობა იყო ყველაფრის საფუძველი. შეილზე სტალინის ნათქვამი „**я генерала на солдата не меняю**", ან მოპარული როიალის ამბავი,- ერთ გენერალს საზღვარზე ჩამოართვეს მოპარული როიალი. გენერალი იმდენად დამსახურებული იყო, რომ სტალინთან შევიდა როიალის მოთხოვნით და... ცნობილია ფრაზა „**верните рояль капитану**", სტალინმა იქვე ჩამოაქვეითა გენერლობიდან კაპიტნამდე. ომს მარტო იარაღი და ტაქტიკა არ იგებს, ომის საყრდენი იდეოლოგიური უპირატესობაა.

უვიცნი ხან პატრიარქს მივარდებიან სტალინი კარგად მოიხსენიაო. უსმინეთ დიდ მამა გიორგი ბასილაძეს სტალინი სამოთხეშიაო, მან 70 წლით შეაჩერა ანტიქრისტეს მართეელობაო.

ბატონი აკაკის მამა დაიჭირეს და ციხეში გარდაიცვალა, აკაკის მეუღლე მარიამს მღვდელი მამა დაუხვრიტეს და ერთიც და მეორეც ადიდებდა სტალინს. დასაფიქრებელია რატომ?! ეს ცალკე თემაა. მოკლედ შეიძლება ითქვას ომიდან საბჭოთა კავშირი უფრო ძლიერი გამოვიდა, ვიდრე ომში შევიდა, ომი მოიგო, ცხოვრება თვალნათლივ უმჯობესდებოდა. უფასო სწავლა-განათლება, უფასო ჯანდაცვა. შენდებოდა ჰიდროენერგეტიკული სადგურები, ქარხნები, ფაბრიკები, სოფლის მეურნეობის პროდუქტის გადამამუშავებელი საწარმოები. დაუსაქმებელი თუ ვინმე გამოჩნდებოდა, უბნის ინსპექტორი აკითხავდა, აიძულებდა მუშაობის დაწყებას. ე. წ. უმუშევართა არმია პრაქტიკულად არ არსებობდა.

აკაკი იგონებს, რომ ერთხელ ნისლში დილის საათებში გადაადგილდებოდა საბჭოთა ჯარი. ნისლი რომ გაიფანტა, დაინახეს მეორე ქუჩაზე გერმანელების ნაწილები. ორივე მხრიდან ატყდა ერთი ალიაქოთი, დაიწყო დივიზიის საბრძოლო მზადყოფნაში მოყვანა, როგორ გადავათრიეთ ნახევარ ტონაზე მეტი ეგრეთ

წოდებული „ДШК" (მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევი) მე და ჩემმა საბრძოლო პარტნიორმა თხრილის უკან, რათა საბრძოლო სიტუაცია მიგვენიჭებია, დღესაც მიკვირსო,- ბრძანებდა ბატონი აკაკი. სტრესულ სიტუაციაში ადამიანის შესაძლებლობები მრავალჯერადად იზრდება.

ერთხელ საავიაციო თავდასხმის დროს აკაკიმ თვითმფრინავი ჩამოაგდო. ასეთი შემთხვევა მრავლად იყო. იყო სასაცილო სიტუაციებიც. დუნაის გადალახვისას გერმანელებმა დროებითი ხიდის დაბომბვა დაიწყეს. აკაკი ცხენიანად გადახტა მდინარეში, მაგრამ თავი ვერ შეიკავა და ცხენიდან ჩამოვარდა, ცურვა არ იცოდა, მოასწრო და ცხენის კუდს მოეჭიდა და ასე გამოვიდა სანაპიროზე.

ერთხელ თურმე რუმინეთში მჭადის ფქვილი და ყველი უნახავთ, აკაკის ღომის მომზადება დაუწყია. რუმინელი ქალი მოსულა და რუმინულად დაუწყია აკაკისთან საუბარი. ვერ დააჯერეს ის ქალი, რომ აკაკიმ რუმინული არ იცოდა. ცნობილია, რომ რუმინელებიც ამზადებენ ღომისმაგვარს ე.წ. „მამალიგას".

აკაკიმ ომი ავსტრიაში დაამთავრა. კარგად ახსოვს ვენაში საბჭოთა მეთაურთან მოვიდა მეფის რუსეთის გენერალი დენიკინი, რომელიც კომუნისტების წინააღმდეგ 20-იან წლებში ბრძოლებს მეთაურობდა. მან მიულოცა სამხედრო ხელმძღვანელობას გამარჯვება და ბრძანა: მე, რა თქმა უნდა, შეურიგებელი ვარ საბჭოთა ხელისუფლების, მაგრამ მეამაყება რუსული იარაღი, რუსეთის ჯარის გამარჯვებაო. ბატონი აკაკი გახლდათ შემსწრე ამ მილოცვისა.

აკაკი ოჯახმა და ომმა ჩამოაყალიბა სხვანაირ ადამიანად. როგორც ალექსანდრე მეფემ, რომელმაც მთელი მსოფლიო დაიპყრო (ასე ეგონა მას), დაიბარა, რომ მოეკვდები, ხელები ამოშვერილი დამიტოვეთო, დაინახოს ყველამ, რომ თან არაფერი მიმაქვსო. ასე იყო აკაკიც, მან იცოდა სიცოცხლის ფასი, არ იყო დახარბებული ქონებას. ვაჟი იგონებს,- სხვა თუ შოულობს შენც იშოვე ფული (აკაკის ეს შეეძლო, ანაწილებდა ბინებს, მანქანებს, მართავდა ფინანსებს). ბატონი აკაკის პასუხი გახლდათ შემდეგი "შენ რა იცი შვილო, ქონება არაფერია, როდესაც ჩვენ შევდიოდით ევროპის ქალაქებში მოსახლეობას მოჰქონდა ყველანაირი სიმდიდრე და ითხოვდნენ პურს. აკაკი იყო ჭეშმარიტი ჯარისკაცი და პატიოსნად იცხოვრა.

არ აკვირვებდა, არ შურდა და არ მიისწრაფოდა სიმდიდრისაკენ. ის ღირსეული პიროვნება გახლდათ.

ომში აკაკი ოფიცრის რანგში იბრძოდა, ხელფასსაც იღებდა. მან არ იცოდა, რომ მამა დაჭერილი ჰყავდა, დედა არ მუშაობდა. თავის რჩენა ჭირდა. სწორედ აკაკის მიერ გამოგზავნილი თანხით არსებობდა. აკაკის დედა ნინა იგონებდა, რომ ფოსტაში ფულის და ამანათის აღებისას, როცა მეზობელმა ჰკითხა, ვინ გიგზავნისო და გაიგო, რომ შვილი აკაკი უგზავნიდა, ფრიად გაკვირვებული დარჩენილა და უთქვამს, — აკაკი ომობს თუ ფულს აკეთებსო.

აკაკის საბრძოლო წარმატებები უკავშირდება საბჭოთა ქალაქების: მარიუპოლის, ვოლნოვახას, ჩაპლინის, ბარვენკოვოს, ზვენიგარადკას, კიევის და სხვათა

განთავისუფლებას, ასევე რუმინეთისა და უნგრეთის ქალაქების: რომანის, დებრეცენის, ნირედხაზას, ნადკანიჟას და ბუდაპეშტის განთავისუფლებას.

აღნიშნულ ბრძოლებში მიღებული აქვს უმაღლესი მთავარსარდლის იოსებ სტალინის ცხრა მადლობა.

1943 წელს მედლით "სიმამაცისათვის" დააჯილდოეს კორსუნშევჩენკოს რაიონში ალყაშემორტყმული გერმანელების ჯარის განადგურებისათვის, 1944 წელს დაჯილდოებულია ორდენით უნგრეთის ქალაქ დებრეცენის აღებაში მოპოვებული საბრძოლო გამარჯვებისათვის, 1945 წელს კი – მედლით "ბუდაპეშტის აღებისათვის" აგრეთვე მედლით დიდ სამამულო ომში გერმანიაზე გამარჯვებისათვის. ომის დამთავრების შემდეგ მრავალი საიუბილეო მედლით.

ომის დამთავრების შემდეგ აკაკი ორი წელი ისევ ჯარში რჩება, ჯერ აზერბაიჯანშია შემდეგ კი – ჩეჩნეთში. შვებულებით ჩამოდის საქართველოში, არ იცის რომ მამა დაჭერილი და გარდაცვლილია. პოლიტიკურ პატიმრებს ომის შემდეგ შუა აზიაში ასახლებდნენ. არჩილ გასიტაშვილს უდარდია, რომ დავღუპე ოჯახიო, ვერ წარმოედგინა ოჯახის საქართველოს გარეთ ცხოვრება და დარდით გარდაიცვალა.

შვებულების პერიოდში ოჯახში მოსულ აკაკის სახლში არავინ ხვდება, გამოუკითხავს მეზობლებისათვის სად არიანო? უთხრეს, რომ მისი დედა ნინა და ვაჟა ტეზერში არიან და მშობლებთან ერთად კოლმეურნეობაში შრომობენ. მამამისზე, როცა მიდგა საკითხი – მეზობელს მიკიბულ-მოკიბული საუბარი დაუწყია. არ უმხელდა სინამდვილეს, აკაკი აღელვებულა, პისტოლეტი დაუმიზნებია და უთქმევინებია სინამდვილე. წარმოიდგინეთ აკაკის მდგომარეობა. ამდენი იომა, არაერთხელ იდგა სიკვდილის წინაშე, ჩამოდის და იმ სახელმწიფოს, რომელსაც ასე უერთგულა თურმე მამა შეუწირია. ამაღელვებელი იყო დედისა და აკაკის შეხვედრა. როდესაც დედას შეატყობინეს აკაკის ჩამოსვლა აღარ დალოდებია ტრანსპორტს და ფეხით ჩამოსულა ტეზერიდან.

1947 წელს აკაკი საბოლოოდ ბრუნდება საქართველოში. როგორც ფრიადოსანსა და ომის მონაწილეს შეუძლია ნებისმიერ უმაღლეს სასწავლებელში უგამოცდოდ ჩააბაროს. მისი არჩევანი საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ავტომექანიკური ფაკულტეტი გახლდათ, რომელიც მან 1952 წელს დაამთავრა. სიყვარულით იხსენებდა თავის პედაგოგებს – აკადემიკოსებს რაფიელ დვალს, დავით თავხელიძეს, მახალდიანს, რომელიც ამავე დროს პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორიც გახლდათ. განსაკუთრებით უყვარდა თეორიული მექანიკის კათედრის გამგე, ნიკო მუსხელიშვილის მოწაფე და მეგობარი პროფესორი ალექსი გორგიძე. თბილად იხსენებდა მაშინ ახალგაზრდა მეცნიერს არჩილ ბეთანელს, რომელიც შემდეგ საქართველოში საავიაციო ქარხნის ერთ-ერთი დამაარსებელი გახლდათ. მას ძალიან უყვარდა სომეხი ეროვნების ქალბატონი, ფაკულტეტის მდივანი სირა მაისეევნა, რომელსაც აკაკი და სხვა სტუდენტებიც მეორე დედას ეძახდნენ. ამ ქალბატონს თავისი ოჯახი არ ჰყავდა და ძალიან ზრუნავდა სტუდენტებზე. თბილად იგონებდა მათემატიკის პედაგოგს ძალზე პრინციპულ ქალბატონს ნინა ართმელაძეს და მის

მეუღლეს აზერბაიჯანელ პედაგოგს აბდულაევს, რომელიც სპეციალობის საგნებს უკითხავდა და ახასიათებდა, როგორც ძალზე თბილ პიროვნებას.

სტუდენტობისას როგორც პარტიული ხელმძღვანელობდა ფაკულტეტის პარტიულ სტუდენტთა უჯრედს. ურთიერთობდა ცნობილ ქალბატონ ვიქტორია სირაძესთან, რომელიც იმ პერიოდში პოლიტექნიკური ინსტიტუტის კომკავშირის მდივანი გახლდათ. აკაკის სტუდენტობის დროინდელი მეგობარი გახლდათ შემდეგ ცნობილი მსახიობი აბესალომ ლორია, რომელიც ახალგაზრდობიდანვე იუმორით გამოირჩეოდა. სტუდენტობის პერიოდის მეგობრებს განეკუთვნებოდა კობახიძე, მომავალში კავშირგაბმულობის მინისტრი და ჯაბადარი, სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამამუშავებელი მრეწველობის მინისტრი.

1948 წელს აკაკი გასიტაშვილი ქორწინდება მარიამ მძინარაშვილზე. ისევე, როგორც აკაკი, ქალბატონი მარიამიც რეპრესირებულთა ოჯახიდან ბრძანდებოდა. მისი მამა სამსონი ხაშურის სოფლების მღვდელი გახლდათ. მძინარაშვილების გვარი სამღვდელო დინასტიის წარმომადგენელია. სამსონი, სამსონის მამა ვასილი და მისი პაპა რაჟდენი მღვდლები გახლდნენ. განჯაში გარდაცვლილ ნიკოლოზ ბარათაშვილს სწორედ მღვდელმა მძინარაშვილმა უპატრონა, როდესაც ნიკოლოზ ბარათაშვილი ილია ჭავჭავაძის თაოსნობით მთაწმინდაზე გადმოასვენეს, აქაც მღვდელმა მძინარაშვილმა წარმოთქვა სიტყვა. მემატიანე გვამცნობს, რომ მისმა სიტყვამ მთელი თბილისი აატირა. ერთ-ერთი ამ დინასტიიდან სვეტიცხოვლის დეკანოზი გახლდათ.

## რუის-ურბნისის ეპარქიის მღვდელ სამსონ მძინარაშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა (ისტორიული ცნობა)

მღვდელი სამსონ მძინარაშვილი დაიბადა 1894 წელს გორის რაიონის სოფელ დიცში. იგი სასულიერო დინასტიას მიეკუთვნება. მამა ვასილი და პაპა რაჟდენიც მღვდლები იყვნენ. სამსონის დედა – ნინო ყანჩაველი, ბიძა კი – XX საუკუნის პირველ ნახევარში თეატრის ცნობილი მოღვაწე და საბავშვო მოთხრობების ავტორი – გრიგოლ ყანჩაველი იყო (იხ. გიორგი ბარელი /ყანჩელი/ – „სცენის მოყვარის ჩანაწერები“, საქართველოს თეატრალური საზოგადოების სტამბა, თბილისი, 1962 წ., 102 გვ.). ყანჩაველები ქართლის ერისთავთერისთავები იყვნენ. XI საუკუნეში ილარიონ ვაჩეს ძე ყანჩაველს აუშენებია სამთავისის ეკლესია. გარკვეული დაპირისპირების გამო (თავადთა შორის ომები) ყანჩაველების ნაწილი იმერეთში გადასახლებულა, სადაც აზნაურებად მოიხსენიებიან. მათგან წარმოდგება წმიდა ილარიონ ქართველი (ყანჩაველი). მძინარაშვილების სხვა შტოებშიც წარმოჩინდებიან სასულიერო მოღვაწენი. სოფელ დიცში მძინარაშვილების უბანს „მღვდლიანთ“ უბანი ეწოდება (იხ. გიორგი სოსიაშვილი, „დიცის ისტორია“, თბილისი, 2010). განჯაში გარდაცვლილ ნიკოლოზ ბარათაშვილის გაპატიოსნებასა და მის დაკრძალვაში ჩანს ვინმე მღვდელი მძინარაშვილი; ილია ჭავჭავაძის მეთაურობით

ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტის თბილისში გადმოსვენებისას, ასევე, მოხსენიებულია მღვდელი მძინარაშვილი (იხ. ნიკოლოზ ბარათაშვილის ბიოგრაფია – გ.შარაძე, ი.ჭავჭავაძე, ტომი მეორე, გამომცემლობა ხელოვნება, თბილისი 1990 წ. გვ. 115 და 116). მას დაკრძალვისას სიტყვა წარმოუთქვამს და მთელი თბილისი აუტირებია. გორის უნივერსიტეტში დღეისათვის მოღვაწეობს ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ავა მძინარაშვილი, რომლის პაპაც ასევე მღვდელი გახლდათ. იგი მოღვაწეობდა სვეტიცხოველში.

ტრადიცია გრძელდება. თბილისში, ნაძალადევის რაიონის სამშობიაროს ტერიტორიაზე არსებულ ეკლესიაში დღესაც მოღვაწეობს მღვდელი სიმონი – მძინარაშვილი.

მღვდელ სამსონს ჰყავდა მეუღლე დარიკო ღონღაძე და ხუთი შვილი: შოთა, მარიამი, რუსუდანი, ტერეზა და ვახტანგი. ტერეზა და ვახტანგი თვეებისა დაღუპულან, ხოლო მეორე მსოფლიო ომის დროს შოთა დაავადდა და გარდაიცვალა, ასევე გარდაიცვალა რუსუდანი, როგორც რუსუდანს, ისე შოთას ძალიან განუცდიათ მამის ტრაგიკული დაკარგვა. მარიამ მძინარაშვილის (ერთადერთი ცოცხალი მემკვიდრე) მოგონებით, რუსუდანს განცდით ტანჯვაში დაულევია სული.

მღვდელ სამსონს მოღვაწეობა დაუწყია სოფელ ოქონის ეკლესიაში მღვდლად. 1921 წლის ქართულ-ოსური კონფლიქტის დროს მღვდელი სამსონი ოსებს დასახვრეტად გამოუყვანიათ, მამა სამსონი გადაარჩინა მორწმუნე ოსის ქალის თავგანწირვამ, რომელიც გადაეფარა მღვდელს და მიმართა აგრესიულად განწყობილ ჯგუფს, რომელთა შორისაც ამ ქალბატონის ვაჟიც იყო, „ჯერ მე მესროლეთ და მერე მღვდელსო". მღვდელი კი გადარჩა იმ მომენტში, მაგრამ დევნა გაგრძელდა. ქ-ნი მარიამი, მამა სამსონის ქალიშვილი, იგონებს, რომ მათ მოსდევდნენ, გაჩერება არ შეიძლებოდა და გრძელ გზაზე უმცროსმა ქალიშვილმა რუსუდანმა ვეღარ შეძლო სიარული და მამა სამსონმა მხრებზე შეისვა და დიდი ფიზიკური დატვირთვისა და სულიერი ტანჯვის ფასად თავი დააღწიეს მოსალოდნელ ხიფათს.

მამა სამსონი გადავიდა ქ. ხაშურში და დასახლდა მეუღლის მშობლებთან. ამის შემდეგ იგი სასულიერო მოღვაწეობას აგრძელებს ხაშურის რაიონის სოფლებში.

გაზეთ „მრევლის" 2002 წლის №1 სააღდგომო გამოცემაში არის კვლევა, რომელიც გაზეთის კორესპონდენტებს ჩაუტარებიათ ხაშურის რაიონის იმ პერიოდის გაზეთ „ბოლშევიკური სიტყვის" მიხედვით: „25 იანვარს აგარის შაქრის ქარხნის მუშათა მიტინგს დაესწრო 279 კაცი" – გვამცნობს 1937 წლის ხაშურის რაიკომის და რაიაღმასკომის ორგანოს „ბოლშევიკური სიტყვის" №5-ში დაბეჭდილი სტატიის (სათაურით „სიკვდილი ხალხის მტრებს") ავტორი. მიტინგმა გამოიტანა დადგენილება: „ ეთხოვოს სსრ კავშირის უზენაეს სასამართლოს სამხედრო კოლეგიას დედამიწის ზურგიდან აღგავოს ხალხის მტრები, ჯაშუშები,

საზიზღრები, ტერორისტები და დივერსანტები, რომელნიც ცდილობენ ჩვენ სამშობლოში კაპიტალიზმის აღდგენას".

იქვეა მოწოდებაც – „მოვითხოვთ ცოფიანი ძაღლების დახვრეტას". 1937 წელს აღდგომა 2 მაისს უწევდა. პირველ მაისს, შაბათს (№20) „ბოლშევიკურ სიტყვაში" დაიბეჭდა შემდეგი მოწოდება: „ანტირელიგიური ბრძოლა უნდა ვაწარმოოთ არა ეკლესიების ნგრევით და მორწმუნეთათვის რელიგიური ცერემონიების აკრძალვით, არამედ მებრძოლ ულმერთოთა უჯრედების შექმნით, ათეიზმის პროპაგანდით და ჩვენს მთელ ფართო მოსახლეობის მიერ დიალექტიკურ-მატერიალისტური მსოფლმხედველობის დაუფლებით". ... მუშაობის ეს დარგი სავსებით მივიწყებული აქვს განათლების განყოფილებასაც. მას არც ერთ სკოლაშიც კი ულმერთოთა კავშირი არ ჩამოუყალიბებია, თავი რომ დავანებოთ ათეისტური ლექციების და საუბრების მოწყობას კოლმეურნეთა და წარმოების მუშაკთა შორის. ეს იწვევს იმას, რომ ზოგიერთ კოლმეურნეობაში მაგ., მოხისში რელიგიური განწყობილებანი ჯერ კიდევ ძლიერია".

სოფ. მოხისის მდგომარეობა არ ასვენებს ბოლშევიკებს. ძლიერი მწყემსი იცავს სამწყსოს. მოსახლეობის სარწმუნოებრივი სიმტკიცისა და ღმერთისადმი ერთგულების დაცვის მთავარ მიზეზს – მღვდელ სამსონ მძინარაშვილს პიროვნულად არ ასახელებენ.

იციან, რომ ხალხს უყვარს იგი, ამიტომ სხვაგვარად უნდა შემზადდეს საზოგადოებრივი აზრი, რათა მისი თავიდან მოცილება არ გაუჭირდეთ („მრევლის" კორესპონდენტი თეა პაიჭაძე).

1937 წლის 18 მაისს „ბოლშევიკური სიტყვის" მოწინავე სტატია იყო არა სტალინის მიერ წარმოთქმული სიტყვა, რომელიც მეორე გვერდზე დაიბეჭდა, არამედ სტატია სათაურით „ანტირელიგიური პროგრამა", სადაც ვკითხულობთ: „რელიგია ცრუმორწმუნეობაა ღვთისადმი მისი წარმოშობის დღიდანვე კაცობრიობის ისტორიაში მუდამ თამაშობდა და თამაშობს რეაქციულ როლს. სამღვდელოება, რომელიც ქადაგებდა და ქადაგებს ღმერთისადმი რწმენას და მორჩილებას, წარმოადგენდა მძარცველი კლასების ყველაზე საზიზღარ ნაწილს.

ეკლესია და სამღვდელოება ზრუნავდა და ცდილობს შეზღუდოს მეცნიერების წინსვლა. ისტორიას ახსოვს მრავალი აღმაშფოთებელი ფაქტი სამღვდელოების და ეკლესიის ბინძური მოღვაწეობიდან. ეკლესია და სამღვდელოება იყო ინიციატორი დიდი მეცნიერ ნიკოლოზ კოპერნიკის კოცონზე დაწვის, გალილეის წამების და მრავალი სხვა."

ჯერ დაარწმუნეს ხალხი, რომ კათოლიკური და მართლმადიდებელი ეკლესიები ერთი და იგივე იყო, შემდეგ კი კათოლიკეთა დანაშაულებების გამო მართლმადიდებელ სამღვდელოებას მიუსიეს იგი (თეა პაიჭაძე).

„თვითკრიტიკის საფუძველზე უნდა ითქვას, რომ ჩვენს რაიონში ანტირელიგიური მუშაობა უკანასკნელ დრომდე წარმოადგენს მივიწყებულ უბანს, ამის შედეგია ის, რომ მღვდლებმა აქა-იქ გამოაცოცხლეს მუშაობა (მოხისი, ხაშური).

ეწევიან აგიტაციას მოზრდილ ბავშვთა მოსანათლად და სხვა, ხოლო პარტიული ორგანიზაციები, კომკავშირი, მასწავლებლობა კი არ აწარმოებენ თითქმის არავითარ ანტირელიგიურ მუშაობას, თითქმის არსად არ არსებობენ მებრძოლ უღმრთოთა საზოგადოების უჯრედები...".

1937 წლის 12 მაისის „ბოლშევიკური სიტყვა" იტყობინება: – „პოლიტწრის მუშაობა ხუთჯერ ჩაიშალა". სოფ მოხისის სასოფლო საბჭოსთან არსებულ ტერიტორიულ პარტორგანიზაციასთან (პარტორგი ამხ. დ. სვიანიძე).

ბოლშევიკებმა ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლის ახალი ტაქტიკა აირჩიეს: აღტკინებით წერდნენ მოხისში მიმდინარე მოვლენებზე მუკის (მებრძოლ უღმრთოთა კავშირის) ოფიციალურ ორგანოში – ჟურნალ „მებრძოლ ათეისტში" (№1-2 მაის-ივნისი 1937წ.) (თ.პ).

„ანტირელიგიური დრამბრიგადა ჩამოყალიბდა საქ. მუკის ცენტრალურ საბჭოსთან 1935 წელს ოქტომბერის თვეში. მისი მიზანი იყო: მხატვრული ინსცენიროვკების ანტირელიგიური პროპაგანდის გაწევა ფართო მასებს შორის. პირველი ანტირელიგიური წარმოდგენა რაიონში ჩატარდა ს. მოხისში.

ეს სოფელი შეფად ყავდა აყვანილი საქ. მუკის ცენტრ საბჭოს, როგორც ყველაზე მორწმუნე სოფელი მთელ რაიონში.

წარმოდგენამ ისეთი დიდი შთაბეჭდილება დატოვა მაყურებელზე, რომ დასი დატოვეს მეორე დღესაც და პროგრამა გაამეორებინეს. აქვე ახალგაზრდებში დააარსეს უღმერთოთა უჯრედი. მოხისის მღვდელს არ მოეწონა დრამბრგადის ჩამოსვლა (იუწყება გაზეთი „მებრძოლი ათეისტი". №1-2 მაის-ივნისი 1937 წ.) და მეორე დღესვე წირვა დაიწყო ეკლესიაში, რომ ჩამოსულების მიერ დატოვებული შთაბეჭდილება გაექარწყლებინა, მაგრამ ანგარიშში მოტყუვდა, ისევ აურაცხელი ხალხი დაესწრო ბრიგადის დადგმებს".

ასე მიმდინარეობდა უწყვეტი ბრძოლა მღვდლის და მისი მოღვაწეობის შედეგის – რწმენის წინააღმდეგ.

მამა სამსონის მოღვაწეობის არეალი ფართო იყო. ის არა მარტო მოხისში მოღვაწეობდა, არამედ – სხვა სოფლებშიც. ამის დამადასტურებელი გახლავთ უშიშროების ოფიცრის – ანდრეი ბელიავსკის სატელევიზიო ჩანახატები – „Без срока давности" საქართველოს ტელევიზიის არხ ПИК-ით, რომელიც რეპრესიების წლებში წამებულ სასულიერო და საზოგადო მოღვაწეებს ეხება. ერთ-ერთი გადაცემა მიეძღვნა მამა სამსონ მძინარაშვილს (http://www.youtube.com/watch?v=-LYU1nTU5qlw).

მამა სამსონი ბოლოს, მეოთხედ, 1938 წლის 23 მარტს დააპატიმრეს (იხილეთ დანართის სახით დახვრეტის განაჩენი). მოითხოვდნენ წვერი გაეპარსა და სამღვდელო მოღვაწეობისათვის დაენებებინა თავი. მეუღლე, დარიკო ღონღაძე სთხოვდა მამა სამსონს – განერიდე, თბილისში გადადი შვილები არ დაგვეღუპოსო (იგონებს

ქალიშვილი მარიამი). მისი პასუხი ურყევი იყო. მე მწამს, მე ვერ ვუღალატებ ხალხს, მომაჭრან თავი და აღარც წვერი მექნება და აღარც მღვდელი ვიქნებიო.

ქალიშვილი მარიამი იგონებს, მამამისი ხელგაშლილი იყო, ეხმარებოდა ქვრივ-ობლებს, ნათესავებს. ერთხელ სპორტული ტანსაცმელი შეუძენია ვაჟიშვილ შოთასთვის, რომელსაც მეორე დღეს ძალზე ღარიბი ამხანაგისთვის უჩუქებია, დედა გაუწყრა. დაემუქრა მამა სამსონით. როდესაც მამა სამსონმა გაიგო რაც მოხდა, წავიდა და ახალი უყიდა ისე, რომ ერთი საყვედურიც არ წამოსცდენია. ჯერ შეშას ღარიბ მეზობელს შეუძენდა და მხოლოდ შემდეგ მოიტანდა თავისთვის.

ერთხელ ღამე ეზოში ქურდი შემოპარულიყო. მამა სამსონი ფარულად ადევნებდა თვალს. მეუღლემ უთხრა რას მისჩერებიხარო. მაგას ალბათ ძალიან უჭირს და მოიპაროსო.

მამა სამსონის ცხენი ძალზე უკარება ყოფილა, მხოლოდ მაშინ შეისვამდა ვინმეს, თუ მას მამა სამსონი ჩასჩურჩულებდა. საძოვარზე გასული პირუტყვი დიდ მანძილზეც რომ ყოფილიყო და მამა სამსონს ჩუმად მოეხმო, დაოთხილი გამორბოდა თურმე (იგონებს მამა სამსონის ქალიშვილი მარიამი).

როდესაც მამა სამსონი დახვრიტეს, ოჯახს ცხენი ხცისში ნათესავებისთვის მიუბარებიათ, მანია და ილო გვერდწითელები იგონებენ, რომ ცხენმა არაფერი ჭამა, ჩამოსდიოდა ცრემლები და მალე მოკვდა.

სარაიონო კედლის გაზეთის კორესპონდენტებმა სურათი გადაუღეს მომაკვდავ ცხენს და ასეთი წარწერა გაუკეთეს: „ადრე მღვდელი კარგად მაჭმევდა და კარგად ვიყავი და ახლა რას დავემსგავსე“.

ნახევარი საუკუნის შემდეგ სულ სხვაგვარად დაწერენ ქართული პრესის ფურცლებზე სოფელ მოხისის ამბავს, მაშინ ჩუმად გულიანად დაიტირა ყველამ, ალალი ცრემლი მიაგო ღვთისმსახურს უანგაროსა და თავდადებულს, ბრწყინვალე პიროვნებას (სულიკო ხეთაგური).

მაგრამ ამ ცრემლებში ერია კიდევ ერთი, უცნაური ცრემლი, ცრემლი ცხენისა, რომელმაც კვლავ აღაგზნო და ააბორგა ეშმაკი, რომელსაც კიდევ ერთი სული დაუსხლტა ხელიდან და ამიტომ საბრალო ცხენზე იყარა ჯავრი. კედლის გაზეთიდან დაუწყო დაცინვა პირუტყვს. მაგრამ უმიზეზო როდი იყო მისი გაცოფება. პირუტყვნი ხომ თავს იდრეკენ წმინდანთა წინაშე სამოთხისეული მორჩილებით. ცხენის ამგვარი უცნაური საქციელი უნებურად გვაგონებს ლომის მიერ მეხუთე საუკუნეში მდინარე იორდანეს ნაპირზე მოღვაწე ნეტარი მამა გერასიმეს დატირებას. როდესაც მონასტერში დაბრუნებულ ლომს წმიდა მამა აღსრულებული დახვდა, აღარ დააკარა ბერების მიწოდებულ საჭმელს პირი და საცოდავად დაიწყო ბღავილი. დაემხო ნეტარი მამის საფლავს და სული განუტევა (მრევლის კორესპონდენტი თეა პაიჭაძე).

დისშვილი ილო გვერდწითელი, რომელიც ცნობილი თამადა გახლდათ, სუფრაზე მუდამ ქადაგებდა ღმერთის შესახებ. ილო იგონებდა, რომ ომის დროს სიზმარში ლომი ემუქრებოდა, მამა სამსონი თითით დამუქრებია ლომს... მეორე

დღეს გერმანელების დიდი შეტევისას ილო გადარჩა, სხვა ყველა მეომარი დაღუპულა (შვილიშვილ ზურაბ გასიტაშვილის მოგონება).

პროფესორი ზურაბ გასიტაშვილი ასევე იგონებს, რომ ხილვა ჰქონდა – დახვრეტის შემდეგ მამა სამსონის ცხედარს უპატრონა და ტაძრის ეზოში დაკრძალა ვინმე ყიფიანმა (ინებებს უფალი, საფლავი გამოჩნდება). მას ასევე ჰქონდა ხილვა, რომ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე მობრძანდა დიდი დილმის სამლოცველოში. მრევლი ელოდებოდა მას. წირვის შემდეგ დაისვენა. ვიგრძენი, რომ წირვის შემდეგ იგი ჩემთან მობრძანდებოდა სახლში. მართლაც, პატრიარქი ჩემთან შემობრძანდა და დადგა ხატებთან პირით ჩვენკენ. სულიერად ვიგრძენი, რომ აქვე იმყოფებოდა ჩემი, 1938 წელს დახვრეტილი პაპა – მღვდელი სამსონ მძინარაშვილი, რომელიც მიბრძანდა პატრიარქთან და ხელზე ემთხვია. პატრიარქმა მამა სამსონს დახრილ თავზე ალერსიანად გადაუსვა ხელი. მამა სამსონმა მიმართა პატრიარქს – ახლა აქ ჩვენთან ბრძანდება საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი კირიონ მეორე. მართლაც იქვე მდგომმა კირიონ მეორემ პატრიარქ ილია მეორეს მიმართა: „თქვენ ბრძანდებით საქართველოს პატრიარქთა შორის ყველაზე დიდი პატრიარქი". ამის შემდეგ ორი პატრიარქი ჯვარედინად მოწიწებით ეამბორა ერთმანეთს მკერდზე.

მამა სამსონის სოფელი, როგორც მოგეხსენებათ, დიცია. მასთან უახლოესი სოფელი ტყვიავი საქართველოს პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის კირიონ მეორის სოფელია. როგორც ჩანს, ხილვაში მამა სამსონის პატრიარქ კირიონთან ერთად გამოჩენა სიმბოლურია და ღვთის სასუფეველშიც მათი ურთიერთობის გაგრძელებას ასახავს.

2013 წელს შესრულდა 75 წელი მღვდელ სამსონ მძინარაშვილის დახვრე-ტიდან. 2013 წლის 3 მაისი, მამა სამსონის დახვრეტის დღე, დაემთხვა წითელ პარასკევს, რაც ძალზე სიმბოლური იყო წამებული სამსონის ხსოვნისათვის.

მამა სამსონს ყოველ აღდგომას იჭერდნენ და მერე უშვებდნენ. ასე სამჯერ დაიჭირეს, მეოთხედ კი დახვრიტეს. ამავე დროს მარიამს გარდაცვლილი ჰყავდა 14 წლის და რუსუდანი და ძმა – 25 წლის შოთა.

ქვემოთ მოყვანილია მამა სამსონის დახვრეტის ოქმი, რომელიც უშიშროების არქივის მიერაა გაცემული.

Сов. Секретно

# ПРОТОКОЛ № 107

Заседания тройки при Комиссариате Внутренних Дел Грузинской ССР

от 20 IV 1938 г.

Председатель тройки НКВД Грузинской ССР

Члены Прокурор по спецделам

Секретарь

| Слушали: | Постановили: |
| --- | --- |
| [illegible] дело № 25249 по обвин. ЦДЗИ-[illegible] Самсона Васильевича, 1891 г. рожд., урож. сел. [illegible] района, прожив. в сел. [illegible] Хашурского р-на, из духовного сословия, грузин, со средним образованием, семейный, гр-н СССР. Ранее арестовывался три раза за к/р работу. До ареста был священником села [illegible].<br><br>Обв. [illegible] С.В. с 1917 г. по арест[а] будучи священником использовывал свое религиозное [illegible] и возможности, вел активную к/р агитацию среди крестьян [illegible] Хашурского р-на. Свою к/р работу он направлял в сторону [illegible] Сталинской Конституции, объясняя ее в извращенном [illegible]. В форме религиозной пропаганды вел активную к/р и а/с агитацию, распространял провокационные слухи о скорой гибели Советской власти, о войне [illegible]<br><br>[illegible] С.З. в предъявленном обвинении полностью признал себя виновным.<br><br>(Докладчик [illegible]). | ЦДЗИНАРАШВИЛИ Самсона Васильевича<br><br>расстрелять<br><br>Имущество принадлеж. лично ему конфисковать.<br><br>ПРЕД. О/ТРОЙКИ<br>Зам. Нарк. ГОСР (КОБУЛОВ)<br><br>Члены Тройки:<br><br>Секретарь Тройки: |

29.09.04.

მარიამისა და აკაკის ქორწინების, მათი დაკავშირების ინიციატორი გახლდათ აკაკის დედის ძმა ალიოშა აბრამიშვილი. როცა ერთმანეთს გააცნეს და მოხდა მათი შეხვედრა ბატონ აკაკის უთქვამს ჩემი მთავარი მოთხოვნა პატიოსნება გახლავსო. ასე, რომ ამ ორ ადამიანზე იტყოდნენ,- „ფერი ფერსა, მადლი ღმერთსა".

ქალბატონი მარიამი გამოირჩეოდა ქალური სინაზით, მოწყალებით, ადამიანების მიმართ დახმარების გრძნობით.

აკაკი შეუერთდა ქ-ნი მარიამის სამეგობრო წრეს ქალბატონ ევგენია თურმანიძეს, ქალბატონ თინათინ კეირიკაშვილს და მის მეუღლეს ვლადიმერ გვასალიას, ზინა გუნცაძეს და მის მეუღლეს ლადო წერეთელს. ეს მეგობრობა მთელი ცხოვრება გაჰყვათ. მათი შვილებიც ზურაბი და დარეჯან გასიტაშვილები, თამაზ და ლალი გვასალიები, დავით წერეთელი მეგობრები გახლდნენ. ზაფხულში ზღვაზე ოჯახები ერთად ისვენებდნენ. ბატონმა აკაკიმ და ქალბატონმა მარიამმა სიბერეშიც უპატრონეს თავიანთ მეგობრებს და მათ გააცილეს ისინი უკანასკნელ გზაზე.

ბატონ აკაკის და ქალბატონ მარიამს პირველი შვილი ქალიშვილი დარეჯან გასიტაშვილი 1950 წლის 23 აპრილს შეეძინათ. დარეჯანს სახელი მარიამის დედისგან დარიკო ღონღაძისგან ერგო.

1952 წელს ბატონი აკაკი ამთავრებს პოლიტექნიკურ ინსტიტუტს და მუშაობას იწყებს საკავშირო სავაჭრო სატრანსპორტო ავტოსაწარმოში (СоюзторгТранс). იგი ამ საწარმოს პარტიული კომიტეტის მდივანი გახლდათ. ეს ქალაქის ყველაზე დიდი ავტოსაწარმო იყო, რომელიც ქალაქის სავაჭრო ქსელის მომარაგებას უზრუნველყოფდა, გარდა ამისა, იგივე საწარმო უზრუნველყოფდა რესპუბლიკებს შორის საავტომობილო ტვირთბრუნვას.

ბატონ აკაკის ხელში გახლდათ ავტომობილების და ბინების განაწილების საკითხები. იგი თავის თავს (მასაც არ გააჩნდა ბინა) წინა პლანზე არ აყენებდა, აცხადებდა ჯერ საწარმოს პერსონალს და მერე ადმინისტრაციულსო, მუშათა კლასს წინა პლანზე აყენებდა. აკაკიმ გადაწყვიტა რაიონს დაბრუნებოდა. ასეც მოიქცა, საცხოვრებლად გადმოვიდა ქალაქ ხაშურში. ამ დღიდან იწყება მისი პროფესიულ განათლების სისტემაში მოღვაწეობა. ჯერ ოსტატი იყო, შემდეგ — რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი.

1956 წელს საკავშირო ინიციატივით მოეწყო პირველი ყამირი, საქართველოს დელეგაციას ხელმძღვანელობდა საქართველოს სსრ-ის კომკავშირის პირველი მდივანი ედუარდ შევარდნაძე. ბატონი აკაკი პროფესიული სასწავლებლისა და ხაშურის რაიონის დელეგაციის ხელმძღვანელი გახლდათ.

საქართველოს დელეგაცია თბილისიდან დაიძრა. მთელი გზა მმართველ გუნდს მშვიდი არ ჰქონდა. ერთ სადგურზე სავაჭრო ჯიხური ბაგირით „ცელქმა ბიჭებმა" მატარებელს დაუბეს. ხოლო მეორეგან მინდორში გაჩერდა მატრებელი. ერთ-ერთ ხულიგანს ცხვარი წაურთმევია მწყემსებისათვის, მწყემსებმა შევარდნაძეს მოაკითხეს. ბატონმა ედუარდმა მოითხოვა დაებრუნებინა ცხვარი, იგი უარზე იყო. ედუარდი იარაღით დაემუქრა, ხულიგანი გამოეკიდა ედუარდს. ბატონ ედუარდს

გაქცევა მოუხდა. ის ცხვარი მაინც დაკლეს. საღამოს ედუარდს ერთად ქეიფი და შერიგება შემოუთვალეს, რაზეც მან უარი განაცხადა.

ბოლოს და ბოლოს მშვიდობით ჩავიდნენ. სადგურზე შამპანურები გახსნეს, აკაკის პროფესიული სასწავლებლიდან ერთი სომეხი სახელად საკა ახლდა, რომელმაც ედუარდს შემთხვევით შამპანური გადაასხა. შემდგომში საკა მთელი ცხოვრება ტრაბახობდა. მე სომეხმა ედუარდ შევარდნაძე შამპანურით დავასველეო და იმიტომაა ასეთი წარმატებულიო.

მოსავალი კარგი მოიყვანეს. ბატონი აკაკი იგონებს, რომ ედუარდ შევარდნაძეს უწევდა საქართველოს დელეგაციებს შორის დღეში საშუალოდ ოთხასი კილომეტრის მოტოციკლით გავლა. როცა ამ მტვრიან გზას გამოივლიდა ისე იყო ბატონი ედუარდი გამურული, რომ მხოლოდ თვალები უჩანდა. ყველას დიდი შრომა უწევდა. ერთხელ მოწეული მოსავალი ჩახურდა და შეიქმნა ხანძრის საშიშროება. ბ-ნი აკაკის ინიციატივით ტრაქტორებით (ბულდოზერებით) გაშალეს მოსავალი და დაწვას გადაარჩინეს.

საქართველოს დელეგაციას ერთხელ სასადილოში ცხენის ხორცი აჭამეს, რასაც ქართველები ვერ შეეგუენ.

ერთხელ აფთიაქში ქართველებს ბორჯომი აღმოუჩენიათ, მოუნდათ ყიდვა, მაგრამ მომსახურე პერსონალმა უთხრა, რომ ეს წყალი მცირე დოზებით იყიდებოდა, როგორც წამალი. ქართველებს დიდი ხმაური აუტეხიათ აფთიაქის გამგეს ქართველები რომ დაუნახავს უთქვამს, რომ ეგენი ბოთლით სვამენ და მიუცია უფლება ბოთლებით ეყიდათ ბორჯომი.

საკავშირო ჯილდოთი საქართველოს დელეგაციიდან მხოლოდ ორი კაცი დაჯილდოვდა, ეს გახლდათ ბატონი ედუარდ შევარდნაძე და ბატონი აკაკი გასიტაშვილი, რასაც მაშინდელი გაზეთ "პრავდის" პირველი გვერდი იუწყებოდა.

ყამირიდან დაბრუნებულ აკაკის 1957 წელს ვაჟიშვილი ზურაბი შეეძინა. ააშენა ახალი სახლი.

1972 წელს პროფესიული განათლების ხელმძღვანელად იპოკრატე შევარდნაძე დაინიშნა. იპოკრატე სიცოცხლეშიც და გარდაცვალების შემდეგაც ხალხს უყვარდა. იგი გაეცნო პერსპექტიულ კადრებს და აკაკი გასიტაშვილის დაწინაურება გადაწყვიტა. იგი დაინიშნა ქარელის №40 პროფესიული სასწავლებლის დირექტორად.

იპოკრატეს ძალიან უყვარდა აკაკი, ყველა თათბირზე სიტყვით გამოჰყავდა. ამ პერიოდში კოლექტივის წარმატებები მრავლად იყო. ბატონ კაკოს უყვარდა, მოსწავლეები. მათზე ზრუნავდა, ააშენა სასწავლებლის საერთო საცხოვრებელი. მუდმივად აუმჯობესებდა მოსწავლეთა საყოფაცხოვრებო პირობებს. იპოკრატეს ჰყავდა ომში დაღუპული ძმა კაკო, ამიტომ აკაკის ხშირად ეფერებოდა. იგი აკაკის ხშირად გურული კილოკავით მიმართავდა. ერთხელ სთხოვა "კაკოია" გაიარე ოსიაურში (საიდანაც იპოკრატეს მეუღლე იყო) და ჩემი ცოლისძმას უთხარი ვუშოვე მძღოლის ადგილი და ჩამოვიდესო. იმ პერიოდში ასლან აბაშიძე ბათუმის

ტექნიკუმის დირექტორი იყო. ხშირად უწევდა აკაკის ასლანთან შეხვედრა. ერთხელ ქარელში ტბასთან უქეიფიათ, ასლანს ნასვამს ტბაშიც უბანავია.

რადგან აკაკი ხაშურიდან ბრძანდებოდა, ქარელის რაიონის ხელმძღვანელობას (რაიკომის მდივანი კილასონია) სურდა მისი შეცვლა ადგილობრივი კადრით, მიუხედავად იმისა, რომ კოლექტივში დიდი ავტორიტეტი ჰქონდა. იპოკრატე შევარდნაძის გარდაცვალების შემდეგ დაიწყო მის კადრებზე ნადირობა. ბატონი აკაკიც შევარდნაძის კადრად იყო ცნობილი. იმ პერიოდში №40 პროფესიული სასწავლებლის მთავარი ბუღალტერი გოგი ზასოხაშვილი გახლდათ. ამჟამად ოსი ძმების, ცნობილი ბიზნესმენების, ზასოხოვების მამა. გოგი იმ პერიოდისათვის „მარჯვე" კაცთა კლანს განეკუთვნებოდა. განსაკუთრებით მას პროფესიული განათლების კომიტეტში ვინმე დობორჯგინიძე მფარველობდა, რომელმაც გოგი პროფესიული განათლების სკოლებში ფინანსების კონტროლის ინსპექციის უფროსად დანიშნა. არადა, როგორც შემდეგ აღმოჩნდა, გოგის გაფლანგვები თავისივე სკოლაში ჰქონდა. შემოვიდა რა საბუღალტრო ანგარიშების აღრიცხვის კომისია აკაკი გასიტაშვილის საჟურნალო ჩანაწერებზე დაყრდნობით აღმოაჩინეს გოგის მოღვაწეობის ნეგატიური მხარეები, ჩასწორებული ქვითრები, ორმაგი უწყისები..., ერთი სიტყვით ადგილი ჰქონდა დატაცებას. გოგი რამდენიმე წელი ვერ დაიჭირეს, იგი ნათესაობდა ჩრდილო ოსეთის ლიდერთან ზასოხოვთან, რომელიც სტუდენტობიდან მეგობრობა ბრეჟნევის ვაჟთან, სანამ ბრეჟნევი არ გარდაიცვალა გოგის ხელი ვერ ახლეს. სასამართლოზე ბატონი აკაკიც გამოვიდა მოწმის სტატუსით. მან გოგის უსაყვედურა, რატომ მოიქეცი ასეო. შესვენებაზე გოგის უთხოვია აკაკისთან შეხვედრა და ბოდიში მოუხდია. მე თქვენთვის ეს არ უნდა გამეკეთებინაო. გოგის 12 წელი მიუსაჯეს. აკაკის ოჯახი ძალზე ნაწყენი გახლდათ გოგიზე, მაგრამ როცა კაცს 12 წელს უსჯიან და მან ამ სიტუაციაში გადალახა საკუთარი ტკივილი და ღელვა და შეძლო ბოდიშის მოხდა, ეს უდავოდ გოგის პიროვნებას დადებითად ახასიათებს, მისგან ეს ვაჟკაცური საქციელი იყო. ამან ბატონი აკაკის ოჯახში თანაგრძობა ჰპოვა და გოგის შინაგანად აპატიეს ამ ვაჟკაცური ნაბიჯის გამო. თავად ბატონმა აკაკიმ, რაც მოხდა ძალზე მძიმედ გადაიტანა. მთელ სულსა და გულს აქსოვდა სასწავლებლის კეთილდღეობას და აღმოჩნდა მისთვის ძალზე გულსატკენი ყოველივე.

ამ ფაქტის გამო აკაკი, როგორც ხელმძღვანელი მუშაკი გაათავისუფლეს და პარტიიდანაც გარიცხეს. რაიკომის მდივანი კილასონია გამარჯვებას ზეიმობდა. ცენტრალურ კომიტეტში აკაკის თხოვნაზე, რომ აღედგინათ პარტიის წევრად, უარი მიიღო. სხდომას ჯუმბერ პატიაშვილი ხელმძღვანელობდა. რაიკომის მდივანი კილასონია პოეტ ნაზი კილასონიას ბიძაშვილი გახლდათ. თავად ქალბატონი ნაზი ბ-ნ ჯუმბერ პატიაშვილთან ძალიან დაახლოვებული ყოფილა. ამდენად კილასონია პატიაშვილის კადრი გახლდათ. ბატონმა ჯუმბერმა სხდომაზე კომისიას ამცნო, რომ ორჯერ ვიყავი ბატონ აკაკისთან და მან ვერ შეიგნოო ანუ ალბათ ვერ შეიგნო ვის გუნდში უნდა ყოფილიყო. (ბატონი აკაკი არავის გუნდში არ ყოფილა,

იგი წესიერებისა და სამშობლოს მოყვარულთა გუნდში იყო და არ თამაშობდა კულუარულ თამაშებს). ბატონ აკაკის, რომელიც კომისიის სხდომიდან გადიოდა, ჯუმბერ პატიაშვილმა მიმართა: შენ ქართლელი კაცი ხარ და გარეთ რომ გახვალ არ შემაგინოო. საქმე ისაა, რომ ამ დროს გამოსულია სახელმძღვანელო „სამართლის ძეგლები" (მეფე ერეკლეს მიწერ-მოწერა), სადაც პატიაშვილიცა და გასიტაშვილიც ერთადაა მოხსენიებული. ჯუმბერმა, რა თქმა უნდა, ეს იცოდა. როგორც ეტყობა გულის სიღრმეში სინდისი ქენჯნიდა. ჯუმბერი ავტორიტეტული ხელმძღვანელი იყო, მაგრამ მუდმივად შევარდნაძის ჩრდილქვეშ იმყოფებოდა და მუდმივ სტრესში იყო. სწორედ ამ შიშმა დააშვებინა მას გარკვეული შეცდომები 9 აპრილს. მერე ისეთ პატიოსან და განათლებულ კადრს, როგორიც აკაკი გახლდათ, რომ ათავისუფლებ, ვის ტოვებ?! სწორედაც, რომ ამ უზნეო საზოგადოებამ, რომელიც გარს ეხვია, გადამწყვეტ მომენტში ჩასცა მახვილი ბატონ ჯუმბერს.

აკაკი დაუბრუნდა სურამის №14 პროფესიულ სასწავლებელს და თითქმის 2006 წლამდე იქ მუშაობდა. ბ-ნი აკაკი უკვე 80 წელს გადაცილებული გახლდათ. იგი ყოველდღე ხაშურიდან სურამში ფეხით ადიოდა და ცივ, გაყინულ შენობაში გაკვეთილებს ატარებდა.

ისევე, როგორც აკაკი გასიტაშვილს, მის მეუღლესაც საინტერესო შემოქმედებითი მოღვაწეობა ჰქონდა. მათ ოჯახს ნათესაობა ხუთოსნების ოჯახს ეძახდა. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ის მუშაობას იწყებს ხაშურის რაიონის სოფლებში აგრონომად. ერთ დროს დალხენილ ოჯახს ძალიან უჭირდა. დაუხვრიტეს მღვდელი მამა, გარდაეცვალა და და ძმა. მძვინვარებს სამამულო ომი. ტრანსპორტის არარეგულარობის გამო ზოგჯერ უწევდა ხაშურის რაიონის მკაცრ ზამთარში ხაშურის რაიონის სოფლებიდან ფეხით სიარული. იყო შემთხვევა, რომ მგელსაც გადააწყდა, მაგრამ უფლის ნებით მტაცებელმა არაფერი ავნო. ოჯახის უბედურების გამო, მიუხედავად დიდი შინაგანი ტკივილისა, ქალბატონი მარიამი ძალზე თბილი, მეგობრების მოსიყვარულე, ადამიანებზე მზრუნველი და გასაჭირში გვერდში მდგომი, დამხმარე და გულმოწყალე იყო. ომის შემდეგ ქმნის ოჯახს და მუშაობას იწყებს მეთესლეობის ლაბორატორიის გამგის მოადგილედ. იმ პერიოდისათვის აღნიშნულ ლაბორატორიებს უნიკალური დანიშნულება ჰქონდა. რაიონის არც ერთ კოლმეურნეობასა თუ საბჭოთა მეურნეობას არ შეეძლო ლაბორატორიის დასკვნის გარეშე დაეთესა მარცვლოვანი კულტურები. მეცნიერულ საფუძვლებზე დაყრდნობით სპეციალიზებულ სათბურებში ხდებოდა მარცვლოვანი კულტურების ვარგისობის შესწავლა. პრაქტიკულად ხდებოდა ბუნებრივი გადარჩევის მეთოდით თესლის დახარისხება, რაც უხვი მოსავლის მიღების გარანტია იყო. 1970 წლიდან მუშაობას აგრძელებს ჯიშთა გამოცდის ნაკვეთის მთავარ აგრონომად. კოლექტივში დიდ პატივს სცემდნენ. ამ დარგის დანიშნულება უნიკალური გახლდათ, რადგანაც მიწისა და კლიმატის პირობებში უნდა გამოეყვანათ ისეთი ჯიშები, რომლებიც ადგილობრივ პირობებს კარგად მოერგებოდა. ყოველივე ამას სჭირდებოდა დაკვირვება, სტატისტიკის წარმოება და ა.შ. ქალბატონი მარიამის მოღვაწეობა

შეუმჩნეველი არ დარჩენიათ რესპუბლიკის ჯიშთა გამოცდის სამმართველოში, სადაც ზამთრის პერიოდში, გამოცდილ აგრონომს ხშირად იწვევდნენ და რესპუბლიკის ჯიშთა გამოცდის სისტემის მოღვაწეობის შემოქმედების ანალიზში ქალბატონი მარიამის გამოცდილებასა და ცოდნას დიდი დაფასება ჰქონდა.

მარიამის ოჯახში იკრიბებოდნენ მისი მეგობრები და კოლეგები. ქალბატონი მარიამი ძალზედ დადებითად იგონებს სამამულო ომის წლებში რაიკომის მდივანს გვარად ფოფხაძეს. ხშირად სტუმრობდა რესპუბლიკის ჯიშთა გამოცდის სამსახურის უფროსი შანშიაშვილი, რომელიც უდიდეს პატივს სცემდა ქალბატონ მარიამს. ძალიან აფასებდნენ და უყვარდა რაიონის ხელმძღვანელობასა და მის კოლეგებსა და მეგობრებს. ესენი იყვნენ ბენო მაისაშვილი, ჟორა ახალკაცი, ზინა გუნცაძე, ლადო წერეთელი, ვლადიმერ გვასალია, თინათინ კვირიკაშვილი, სერგო მჭედლიძე, ალიოშა ნოზაძე, მზალო მაჭარაშვილი, ბათუ ნოზაძე და სხვა მრავალი.

ბატონი აკაკისა და ქალბატონი მარიამის ვაჟმა ზურაბმა 1979 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი. განაწილებით მუშაობდა ინჟინრად გაერთიანება „ელვას" თბილისის ავტომატიზაციათა საშუალებების კვლევით ინსტიტუტში.

1982 წლიდან ზურაბი მიზნობრივ ასპირანტურაში მიდის სასწავლებლად ქალაქ მოსკოვში მართვის პრობლემების ინსტიტუტში, რომლის დირექტორი ქართველი კაცი, დიდი მეცნიერი აკადემიკოსი ივერი ფრანგიშვილი გახლდათ, რომელიც ამავე დროს მისი ხემძღვანელიც იყო.

ბატონი აკაკი და მისი მეუღლე დიდ დახმარებას უწევენ მათ ვაჟ ზურაბს და ქალიშვილ დარეჯანს სწავლა-განათლების მიღებაში. აკაკი და მარიამი აფინანსებენ ქალიშვილისათვის კოოპერატიულ მშენებლობას დიდ დიღომში. ეხმარებიან ვაჟს სწავლის პროცესში.

1987 წელს ზურაბი იცავს საკანდიდატო დისერტაციას მოსკოვში, ამ დროს ხატის წინ ანთებულია სანთელი, ღმერთთან ლოცვით სულიერადამხნევებს შვილს დედ-მამა. ზურაბი ბრუნდება საქართველოში. 1988 წლიდან მუშაობას აგრძელებს საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. 1989 წლიდან ბატონი ზურაბი ერთიანდება ინდივიდუალურ ამხანაგობაში და იწყებს ხუთოთახიანი ბინის მშენებლობას, სადაც მას ოჯახი ასევე მნიშვნელოვან ფინანსურ დახმარებას უწევს პირველადი შენატანის სახით.

იწყება გაჭირვების წლები, შიმშილი. ბატონი აკაკი ისევე ამჯობინებს პატიოსან ცხოვრებას. მას სურამის პროფესიული სასწავლებელი გამოუყოფს საკარმიდამო ნაკვეთს. ასევე მის მეუღლეს სოფელ გომში აძლევენ საკარმიდამო ნაკვეთს. მთელი ოჯახი ერთიანდება და ძირითად სამსახურთან ერთად უვლიან ეზოკარმიდამოს, საიდანაც მოწეული მოსავლით არსებობენ გარკვეული წლები.

1994 წელს აკაკის ვაჟი ზურაბი იცავს სადოქტორო დისერტაციას. ისევ ოჯახის დახმარება. სუფრა ხაშურში მზადდება და აკაკის და მარიამს ჩამოაქვთ თბილისში.

თავგანწირული გახლავთ მშობლების სიყვარული და ერთგულება შვილებისადმი.

2005 წლიდან ბატონ აკაკის ნელ-ნელა უქვეითდება მეხსიერება. მისი კოლეგები არ ივიწყებენ მას. ქარელში ძველმა კოლექტივმა გამართა ხსოვნის საღამო, სადაც აკაკიც მიიპატიჟეს, მოეფერნენ, აგრძნობინეს მისი ღვაწლის დაფასება.

ასევე აკაკის დაბადების დღეს ულოცავდნენ ხოლმე კოლეგები ქარელიდან და სურამიდან მოინახულებდნენ მას და საუკეთესო დროს ატარებდნენ. ეს ძალიან ახარებდა აკაკისაც და მარიამსაც.

აკაკი 2014 წლის 26 სექტემბერს გარდაიცვალა. მისი გარდაცვალება ვერ გადაიტანა მისმა მეუღლემ ქალბატონმა მარიამმა, რომელიც აცხადებდა, რომ ვერ ვიცოცხლებ კაკოს გარეშეო, რომელთანაც 66 წლის თანაცხოვრება, შრომა, გამარჯვებები და სიხარული აკავშირებდა.... 2014 წლის 19 დეკემბერს ნიკოლოზობის დღესასწაულზე ბატონი აკაკის კოლეგებმა ქალბატონი მარიამი მოინახულეს და უთხრეს, რომ მის მეუღლეზე წიგნი მზადდებოდა. მათი წასვლის შემდეგ მარიამი ატირდა და თქვა, - ცოცხალია ჩემი კაკოო. მცირე ხანში გონი წაერთვა, მას ფეხში ტრომბი აწუხებდა მოხდა ემბოლია. ქალბატონმა მარიამმა ორი დღე იცოცხლა და 21 დეკემბერს გარდაიცვალა.

ასეთია ერთი ლამაზი და პატიოსანი ოჯახის მოკრძალებული ისტორია....

ბატონი აკაკის სამოქალაქო ჯილდოები:

• საპატიო სიგელი – ახალგაზრდა კვალიფიცირებული მუშათა კადრების მომზადების საქმეში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის;

• სიგელი № 40 პროფესიულ სასწავლებელს საქართველოს პროფესიული განათლების სკოლებს შორის სოც. შეჯიბრებაში მესამე ადგილის აღების შესახებ;

• საპატიო სიგელი – მოსწავლეთა მიღების გეგმის ვადამდე შესრულებისა და ახალი სასწავლო წლის მომზადების საქმეში აქტიური მუშაობისათვის;

• საქართველოს საბჭოთა სოცილალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ მიენიჭა პროფესიულ-ტექნიკური განათლების დარგში რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდება.

და სხვა მრავალი მადლობა და სიგელი.

ბაონი აკაკის ბოლო ათი წელი ჩვევად ჰქონდა რაც მოეწონებოდა თავის საბუთებში ინახავდა და მისი გარდაცვალების შემდეგ აღმოვაჩინეთ წმინდა მატრონას ლოცვა და ანგელოზის ხატი დალოცვეით მგზავრობის მნებელთათვის. ამავე დროს დადიოდა ამ ქვეყანაზე მუდმივად ჭაღარა, დარგის პროფესიონალი სიმპათიური ქალბატონი მარიამი აკაკის მეუღლე, რომელიც იყო პატიოსნების, ერთგულების, სამართლიანობის, კეთილშობილების, ოჯახის ერგულების, ნათესავებისა და მეზობლების პატივისმცემელი მართლმადიდებელი სულის მატარებელი ქალბატონი. როგორც მღვდლის ქალიშვილს ჰყავდა უამრავი ნათლული. მიცვალებულების ხსენებისა და საკურთხის გაშლის არც ერთ დღესასწაულს არ გამოტოვებდა. იცოცხლა 94 წლამდე საღი გონებით და სიცოცხლის ბოლომდე არ უღალატია სიკეთისათვის, რწმენისათვის. ხშირად ეზიარებოდა. თავისი ზრუნვით მეუღლეც აზიარა. ადამიანების სიყვარულში ბოლომდე დაიხარჯა.

## დაე უფლის ნათელში დაიმკვიდროს ადგილი აკაკისა და მარიამის სულებმა

გვინდა მადლობა გადავუხადოთ ყველა ადამიანს, ვინც აკაკი და მარიამი უკანასკნელ გზაზე გააცილა განსაკუთრებით მის მეზობლებსა და აკაკისა და მარიამის მოძღვარ მამა კახაბერ ციყელაშვილს. მათ კოლეგებს, რომლებიც სიცოცხლის ბოლომდე არ ივიწყებდნენ.

მოგონებათა ერთ ნაწილს ავტორი პირდაპირ უწოდებს „მოგონებათა ფურცლებს."

ბატონი აკაკი ამით უფრო მეტად გაგვახსენებს თავს. გულწრფელობა ხომ მისი ცხოვრების ფარი და მახვილი იყო!

აი, ეს მოგონებანიც!

XX საუკუნის 60-იანი წლები ძვირფასია საქართველოს იმ ახალგაზრდობისათვის, რომლებმაც გმირული შრომით აქტიური წვლილი შეიტანა ყამირის ათვისებაში.

მე მინდა მოგითხროთ ჩემი და ჩემი აღსაზრდელების შესახებ. (გვესაუბრა ბატონი აკაკი გასიტაშვილი).

მაშინ, სურამის მექანიზაციის სასწავლებელში ვმუშაობდი უფროს ოსტატად. „შრომითი რეზერვების" მთავარმა სამმართველომ არჩევანი ჩვენზე შეაჩერა, მოსწავლეთა შერჩევას შევუდექით, განვუმარტავდით ყამირის ათვისების დიდ მნიშვნელობას, არც ის დაგვიმალავს, რომ იქ უჩვეულო პირობებში მოუწევდათ შრომა და ცხოვრება.

42 კაციანი რაზმი ჩამოვაყალიბეთ. მათი ხელმძღვანელობა მე დამევალა. ჩვენთან ერთად მოდიოდა აგრეთვე საწარმოო სწავლების ოსტატი ისაკ ნიკოინი.

მუშაობა კუსტანაის ოლქის კარაბალიკის რაიონის ბუსკულის კოლმეურნეობაში მოგვიწია.

თვალწინ გადაგვეშალა ყამირის უკიდეგანო სივრცე. გვეგონა, სოფელთან ახლოს მოგვიწევდა ყოფნა, მაგრამ ბუსკულიდან 25 კილომეტრზე გადაგვისროლეს.

ჯგუფი ორად გავყავი და სატრაქტორო ბრიგადებში გავანაწილე. ჩვენი მთავარი ამოცანა იყო მოგვემზადებინა კალოები, ტექნიკა. შემდეგ კი უდანაკარგოდ აგვეღო მოსავალი.

ვცხოვრობდით სახელდახელოდ გაწყობილ კარვებში. პირველ ხანებში ახალგაზრდებს უჭირდათ მიჩვეოდნენ ცხოვრების საველე პირობებს, მაგრამ პარტიის კარაბალიკის რაიკომის მდივნის ნურ მუხამედოვისა და კოლმეურნეობის ხელმძღვანელობის დახმარებით ორ-სამ დღეში მოვაწყვეთ საველე სამზარეულო. მოსწავლეთაგან გამოვყავით მზარეული. წესრიგში მოვიყვანეთ ტექნიკა. იმ დროისთვის მუშაობდნენ უმთავრესად მისაბმელი კომბანიები „სტალინეცი" და ახალშექმნილი თვითმავალი კომბაინები. ეს უკანასკნელი ჯერ კიდევ მოითხოვდა კონსტრუქციულ

დახვეწას და ხშირად გამოდიოდა მწყობრიდან სხვადასხვა ტექნიკური მიზეზის გამო. ჩვენი ძალებით ბრიგადებს შევუკვეთეთ 4 კომბაინი და 6 ტრაქტორი. ბუსკულის კოლმეურნეობის სახნავ-სათესი ფართობი 25 ათასი ჰექტარი იყო. თითოეულ ბრიგადაზე გაპიროვნებული იყო 4-5 ათასი ჰექტარი. ადვილი წარმოსადგენი იქნება იმ სამუშაოთა მოცულობა, რომელიც უნდა შეგვესრულებინა მოკლე დროში. ყამირზე თავდადებული შრომით სახელი გაითქვეს ჩვენი სასწავლებლის მოსწავლეებმა მოსიძემ, ინასარიძემ, შონიამ, ვაშაძემ და სხვებმა. რვა ახალგაზრდა დაჯილდოვდა საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამკერდე ნიშნით „ყამირი მიწების ათვისებისათვის", ხოლო 18 კაცს სიგელები გადაეცა.

სამკერდე ნიშნით მეც დამაჯილდოვეს (რომელიც ყამირზევე გადმომცა საქართველოს სსრ-ის კომკავშირის პირველმა მდივანმა ე. შევარდნაძემ), ხოლო ყამირ და ნასვენ მიწებზე მოსწავლეთა საწარმოო პრაქტიკის კარგი ორგანიზაციისათვის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს „შრომითი რეზერვების" მთავარმა სამმართველომ დამაჯილდოვა საპატიო სიგელით, დამამტკიცეს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მონაწილედ.

ახლა, როდესაც ხელთა გვაქვს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ.ი. ბრეჟნევის წიგნი „ყამირი", თვალწინ კვლავ მიცოცხლდება 1956 წლის ის დღეები. ამ მოგონებებით შემოჯარული ჩემს მოსწავლეებს მოვუთხრობ ყამირის გმირულ ეპოპეაზე საბჭოთა ხალხის ურღვევ ძმობასა და მეგობრობაზე, კომუნისტური პარტიის უდრეკ ნებაზე, რამაც შესაძლებელი გახადა ადამიანის სამსახურში საუკუნოვანი უსიცოცხლო სტეპების ჩაყენება. და ვერ ვმალავ სიამაყეს, რომ ამ დიდ საქმეში ჩემი და ჩემი მოსწავლეების, ქართველი კაცის წვლილიც არის.

## სურამის მექანიზაციის სასწავლებლის მოსწავლეები ყამირზე

ყამირზე მშვენიერი საწარმოო პრაქტიკა გავიარეთ, დიდი ცხოვრებისეული გამოცდილება შევიძინეთ.

ჩემმა აღსაზრდელებმა იციან, რომ ყამირის პირველი დიდი მოსავლის აღების მონაწილე ვარ. ყამირზე ხალხის უკვდავ გმირობას მიეძღვნა ლექსების ციკლი „ყაზახეთის ველებზე“ ავტორი ი.ნონეშვილი. მკითხველს ალბათ კარგად ახსოვს ამ ციკლის ლექსები „ბიჭო, იქნებ, პაპა იყო შენი“, „აქლემები“, „ქება ადამიანს“ და სხვები.

ერთ-ერთ ლექსში ავტორი წერდა:

„გეყო დასვენება, სასვენო მიწავ,
ბევრჯერ დახვეიქულო, ბევრჯერ დამეხილო,
გეყო დასვენება, სასვენო მიწავ,
უნდა წერილშეილივით ყანა დაგეხვიოს“.

მართლაც ყამირის ათვისება იყო ხალხის მეგობრობის დიდი გამოცდა, რაც პედაგოგების ენით რომ ვთქვათ, ფრიადზე (ათიანზე) ჩატარდა.

აკაკი გასიტაშვილი

## მოგონებანი

## „სამშობლო, როგორც უფალი, ერთია ქვეყანაზედა“–

ასე გვმოძღვრავდა ბატონი აკაკი გასიტაშვილი ჩვენი სასწავლებლის ყველა მოსწავლეს, ყველა თანამშრომელს, დიდი იყო თუ პატარა.

ერთხელ ჩვენი სასწავლებლის ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში ვისხედით ჩვენი ჯგუფის მოსწავლეები და ვკითხულობდით ჟურნალ-გაზეთებს.

უცებ კარები გაიღო და ფეხაკრეფით შემობრძანდა ბატონი აკაკი ფეხზე წამოვუდექით, ბატონმა აკაკიმ მადლობა გადაგვიხადა, მოგვეფერა, დაჯდა, მოიმარჯვა გაზეთი და დაიწყო კითხვა. ჩვენც ჩვენი დაწყებული საქმე გავაგრძელეთ.

როცა კითხვას თავი დავანებეთ ბატონ აკაკისა და ჩვენს შორის გაიმართა საუბარი. ბატონმა აკაკიმ ერთ-ერთი შეკითხვის პასუხად ასე გვითხრა: „მოხდა ისე, რომ ბევრ თქვენგანს, ზოგს იძულებით, ზოგს ნებაყოფლობით არგუნა ღმერთმა სამშობლოს გარეთ ცხოვრება. შვილებო, მთავარია, რომ თქვენ არ მოწყდეთ ქართულ სულიერებას და მშობლიურ ფესვებზე გაიზარდოთ“. არ დაგავიწყდეთ, „ვისი გორისა ხართ“ არ გაცვალოთ სალი კლდეები, სხვა ქვეყნის სამოთხეზე. სულერთია სად ისწავლი – რუსეთში თუ ამერიკაში, გერმანიაში თუ სხვა ქვეყანაში, მთავარია, სამშობლოს დაუბრუნდე და შეძენილი ცოდნა მის კეთილდღეობას მოახმარო“. ბატონი აკაკი გასიტაშვილის დამოძღვრა ჩემი ცხოვრების თანამდევი გახდა.

ქარელის №40 სპტს-ის დამთავრების შემდეგ მუშაობა დავიწყეთ ჩვენს საყვარელ საქართველოში, ჩვენს სოფელში.

ლეილა ქოთუაშვილი
ნათია წიქარიშვილი

## ავტორისაგან

ეს წიგნი საჩუქარია იმათთვის, ვისთვისაც ძვირფასია აკაკი გასიტაშვილის სახელი. ასეთები კი ათობით და ათასობით არიან.

ეს წიგნი ხსოვნაა იმ უდიდესი ღვაწლისა, რაც კი აკაკი გასიტაშვილმა ჩვენი ქვეყნისთვის გასწია.

ეს წიგნი მისი მოწაფეების გულის მალამოა.

დრო მიდის და საყვარელი მასწავლებლის სიკვდილით გამოწვეული ვარამი არ ნელდება, ტკივილი არ ცხრება. წუხილი არ ყუჩდება.

უდედმამობა ძნელია, მაგრამ არც უმასწავლებლობა ყოფილა ადვილი!

ჩვენ ამ წიგნით ვცადეთ ბატონი აკაკი გასიტაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების ზოგი ფაქტი გაგვეხსენებინა.

ისეთ მასწავლებელს, მეგობარს, მზრუნველს, დამრიგებელს, მამას, როგორიც ბატონი აკაკი იყო, დავიწყება არ უწერია, ბატონმა აკაკიმ ძვირფასი მემკვიდრეობა დაგვიტოვა.

მინდა დაგარწმუნოთ, რომ ბატონ აკაკის რამდენი ადამიანიც იცნობდა, იმდენი მოგონება არსებობს.

ამჯერად მხოლოდ რამდენიმეს შემოგთავაზებთ.

# ჩინებულთაგან რჩეული

„მრავალნი არიან ჩინებულ, ხოლო მცირედნი რჩეულნი"... სახარების ამ ფრაზით მინდა დავიწყო სიტყვა ბატონ აკაკი გასიტაშვილზე, კაცზე, რომელიც ჩინებულთა შორის რჩეული იყო.

ბატონი აკაკი ჩემი დირექტორი გახლდათ ქარელის №40 პროფესიულ ტექნიკურ სასწავლებელში. გამოირჩეოდა ღრმა ერუდიციით. იყო ობიექტური შემფასებელი ყველგან და ყველაფერში. ჩვენ, ყველა თანამშრომელს, დიდი რიდი და მოკრძალება გვქონდა მისი. ვერაფერს გამოაპარებდი. ჩვენს ცხოვრებაში მომხდარ უმნიშვნელო ცვლილებასაც კი გრძნობდა და მიგვანიშნებდა ხოლმე.

სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე სანახავად მივედით სამი თანამშრომელი. გული ჩამწყდა ფერი დაკარგოდა, გამხდარიყო, რაღაც საოცრის მოლოდინი ეტყობოდა, მაგრამ არ დაუჩივლია.

პატარა ოთახში მხოლოდ მისი საწოლი იდგა. ყველა კედელზე ჭერამდე დაკიდებული თაროები წიგნებით იყო სავსე. სხვა სიმდიდრის შეძენაზე ბატონ აკაკის არასოდეს უზრუნია. იგი ხომ უჩუმრად, ხმაურის გარეშე ეზიდებოდა მასწავლებლობისა და საზოგადო მოღვაწეობის მძიმე ტვირთს, ხოლო გასამრჯელოდ ამაგით მოხვეჭილი სიყვარული და პატივისცემაც ჰყოფნიდა.

კაცის ცხოვრება სენევას აზრით, იგავ-არაკივით შინაარსით იზომება და არა სიგრძით.

ბატონი აკაკის მრავალი ღირსებით გამორჩეული სიცოცხლე და ცხოვრება თავად იქცა მამულიშვილური ცხოვრების საზომად.

სიცხოცხლესაც დასასრული აქვს, – ყველა მოკვდავია.

მე მისი სიკვდილი ისე მაქვს წარმოდგენილი რომ, ის მადლობას უხდიდა ყველას და ყველაფერს, და ალბათ მასაც ყველამ ასე უპასუხა, რომ ალალი იყოს ხანგრძლივი და შინაარსიანი ცხოვრებით გაჯერებული წლები, ირგვლივ მყოფთა სიყვარულიც და მოწიწებაც...

ეს ყველაფერი აქ დარჩა, ჩვენთან, მისთანა კაცებს რომ გაუთენოს ახალი დილა, მან კი მხოლოდ თავისი სპეტაკი სული გაიყოლა თან წასვლისას მჯერა, დაგვლოცავდა, მოძღვარს რომ შეშვენის ისე: „იქმენინ ნათელი!"

№40 სპტს

იზო მებაღიშვილი

# მოგონებებში ვხვდებოდით ერთმანეთს

მინდა დავიწყო ცნობილი გამონათქვამით: – „ადამიანი უკვდავი არაა, მაგრამ უკვდავია ყოველივე ადამიანური“.

ესაა ის ძალა, რომელიც მტკიცე კავშირით აერთიანებს საუკუნეებით დაცილებულ თაობებს.

ჩვენს გარემოს განუწყვეტლივ აკლდებიან ადამიანები: მეგობრები, კოლეგები, ნათესავები... და სწორედ მაშინ, როდესაც ისინი ჩვენს გვერდით აღარ არიან, ხელშესახებად ვგრძნობთ მათთან განუყრელ კავშირს. სწორედ აქ, ამ კავშირში, იყრის თავს ყველაფერი, რაც ადამიანურია და უკვდავი. ადამიანურ განცდას დრო და მანძილი ვერ ერევა, „რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების“.

ჩემს სულს კი რამდენი რამ შემორჩა თქვენმიერი ბატონო აკაკი!

დღეს, როცა ჩვენს ყოველდღიურ ყოფაში, აღარ ხართ, ვხედავთ სრულად, ადამიანური ღირსების რა განუზომელი მადლით გქონიათ სავსე უბე და კალთა. რა უსაზღვრო სიკეთე დაგითესავთ და რა ბარაქა დაგიხვავებიათ საქვეყნო გარჯის კალოზე.

წლების განმავლობაში თქვენ იყავით ჩვენი სულიერი მოძღვარი, თავდაუზოგავად რომ მიგვიძღოდით ცხოვრების ბილიკებზე და გვაძლევდით მისაბაძ მაგალითს ხალხისა და ქვეყნის უანგარო სამსახურით.

ჩვენ კვლავ თქვენი გზით ვაგრძელებთ სვლას და თქვენგან დამოძღვრილები, რთულ ცხოვრებისეულ სიტუაციებს ისევ თქვენეული საზომებით ვზომავთ. ასე გრძელდება ჩვენი შეხვედრები მოგონებებში, რომლის გმირიც თქვენ ბრძანდებით, მასწავლებლის თვალით დანახული მასწავლებელთა მასწავლებელი.

ხშირად ვიგონებ ჩვენს პირველ შეხვედრას. მე, როგორც ახალი თანამშრომელი წარმადგინეს თქვენთან. თქვენ საწერ მაგიდასთან იჯექით მარტო და თავდახრილი რაღაცას წერდით. ჩემს შემოსვლაზე საქმეს თავი დაანებეთ და ფეხზე წამოდექით. შეხედვისთანავე მომხიბლა თქვენმა დახვეწილმა გარეგნობამ.

ჩემს წინ იდგა საშუალო ტანის, ელეგანტური, შუახნის მამაკაცი. ნაცრისფერი პიჯაკი ეცვა, რომელიც ძალიან უხდებოდა (მერე მრავალი წელი, თითქმის ყოველდღე, ამ ერთადერთ პიჯაკში ვხედავდი ბატონ აკაკის, ამქვეყნიური კეთილდღეობისადმი ესოდენ სკეპტიკურად განწყობილს სახეზე სიმშვიდე ეფინა, ღიმილიანი გამომეტყველებით.

ასეთი იყო ერთი შეხედვით აღბეჭდილი თქვენი პორტრეტი, რომელიც შემდეგ თითქმის ყოველდღიური საქმიანი შეხვედრების დროს ნაბიჯ-ნაბიჯ მდიდრდებოდა და სრულდებოდა. ყოველთვის მაკვირვებდა თქვენი საოცარი შინაგანი ძალა და ნებისყოფა ყოველდღიური ყოფის თავისებურ მიმართებაში რა შორს იდექით საზოგადოებაში ფართოდ ფესვგადგმული პირმოთნეობისაგან.

როგორც პიროვნება თქვენი გარემოს ზნეობრივ გმირად დარჩით მთელი თქვენი მრწამსით, საქმიანობითა და პიროვნული ხიბლით.

პრინციპულად გძულდათ მომხვეჭელობა და პირად ყოფაში მცირედითაც კმაყოფილდებოდით, როგორც იმ ადამიანებს სჩვევიათ, თავიანთი უფლებებითა და ღირსებით ბევრად რომ აღემატებიან ყველაფერს, რისი მიღებაც ცხოვრებისგან შეიძლება. გააზრებული გქონდათ საკუთარი ღირსების განცდა, მაგრამ ბუნებით უკიდურესად დემოკრატს, არასოდეს გიცდიათ საკუთარი უპირატესობით სხვისი დათრგუნვა— სინამდვილეში პირიქით ხდებოდა. თქვენს გარშემო ყველა ლაღად და ამაღლებულად გრძნობდა თავს, იმდენად ბუნებრივი იყო თქვენი უბრალოება და თავმდაბლობა.

ბევრჯერ დავრჩენილვარ გაკვირვებული, რაოდენ გაურჩეველი იყავით ამქვეყნიური ტიტულებისადმი, თანაზომიერი დონიდან ელაპარაკებოდით ქარხნის მუშასა თუ მაღალი რანგის ჩინოსანს. უპოვარსა თუ ამაო დიდებით ყელთამდე სავსეს.

ადამიანობა – აი, რა იყო თქვენთვის ღირსება და პირად ურთიერთობაშიც სწორედ ეს იყო გამოკვეთილი.

ვინ იცის, თქვენი ასეთი საქციელით რამდენი გინუგეშებიათ და გაგიმხნევებიათ ფარულად, რამდენისთვის განგიმტკიცებიათ სიკეთისა და ჭეშმარიტების რწმენა, მიგინიჭებიათ სიხარული ადამიანად ყოფნისა.

მახსოვს ბატონი აკაკის დაბადების დღე ახლოვდებოდა. გადავწყვიტეთ მოგვეწყო ფართომასშტაბიანი იუბილე. მოგვეწვეია სტუმრები და აკაკის განსაკუთრებული ღვაწლი და დამსახურება სათანადოდ აღგვენიშნა. დავიჭირეთ თადარიგი საჩუქრისათვის, შევაგროვეთ ფული. ჩვეული თავმდაბლობით აკაკიმ უარი გვითხრა იუბილეზე, საჩუქრისათვის მირთმეული თანხა კი… ერთი კვირის შემდეგ ძეგლთა დაცვის ფონდს ჩაურიცხა.

ჩვენ ეს არ გაგვკვირვებია. აკაკისგან სწორედ ეს იყო მოსალოდნელი.

ადვილი წარმოსადგენია, რაოდენ ღარიბები ვიქნებოდით ადამიანური განცდებით, ჩვენს საუკეთესო მოგონებებს მეხსიერება რომ არ ინახავდეს, ანდა როგორ დაგვეღლიდა წუთისოფელი, მტანჯველი მოგონებები დავიწყებას რომ არ ეძლეოდეს.

ელზა ხომასურიძე
ქარელის №40 სპტს პედაგოგი

## მოქალაქეობრივი შემართების მაგალითი

აკაკი გასიტაშვილი იყო განსაკუთრებული, კოლორიტული პიროვნება – ლამაზი გარეგნობა, სიარულის თავისებური მანერა ჰქონდა, პირდაპირ გამოხედვა, დინჯი სააზროვნო მსჯელობა, იუმორის სიუხვე მიმზიდველსა და ახლობელს ხდიდა ბატონ აკაკის.

აკაკი გასიტაშვილს, როგორც ამბობენ, დიდი სკოლა ჰქონდა გამოვლილი მე-20 საუკუნის 50-იან, 60-იან წლებში. სწავლობდა ინსტიტუტში. როგორც სტუდენტს და როგორც შემდგომ თანამშრომელს მჭიდრო ურთიერთობა ქონდა ედუარდ და იპოკრატე შევარდნაძეებთან, ომარ ვარძელაშვილთან და სხვა გამოჩენილ ადამიანებთან. მათი ხელმძღვანელობით დავაჭკაცდა და აიმაღლა კვალიფიკაცია.

ბატონი აკაკი მოსწავლეების მიმართ იყო მომთხოვნი, მაგრამ გულთბილი დამრიგებელი, მზრუნველი. მან შემოიკრიბა ნიჭიერი ახაგაზრდობა, და ხელი შეუწყო მათ პროფესიულ დახელოვნებას.

აკაკი გასიტაშვილის ხსოვნა არასოდეს ამოიშლება მისი მრავალრიცხოვანი აღზრდილების გულებიდან. კაკო, როგორც მას სიყვარულით ვეძახიდით, დარჩება მოქალაქეობრივი შემართებისა და ზნეობრივი სიწმინდის მაგალითად.

ქარელის №40 სპტს საწარმოო სწავლების
ოსტატი ახმედ ახმედოვი

## გამორჩეული ადამიანი

სწრაფად, წამიერად იცვლება წუთისოფელი. ცხოვრებას ჩალის ფასიც არ ექნებოდა, გამორჩეული ადამიანები რომ არ იბადებოდნენ, განსაკუთრებულ ხიბლს რომ აძლევენ ყოველდღიურ ყოფას.

ასეთ გამორჩეულ ადამიანად მე და ჩემს თანამშრომლებს გვესახებოდა ქარელის №40 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის დირექტორი, ბატონი აკაკი გასიტაშვილი.

ბედნიერი ვარ, რომ წილად მხვდა ვყოფილიყავი მისი ერთ-ერთი გამორჩეული პედაგოგი.

ადვილად ვერ მოაწონებდი თავს, ხოლო თუ ნიჭის ნასახს შეგნიშნავდა, არასოდეს მოგაკლებდა სითბოსა და სიყვარულს, ყურადღებას.

ბატონმა აკაკიმ ყველას სითბო დაუტოვა, ჯადოსნური ღიმილი უშურველად უწილადა.

შეზღუდულ ადამიანთა სურვილია, მათზე მაღლა არავინ იყოს. ეს პატარა ადამიანების ხვედრია. ბატონ აკაკის არასოდეს აწუხებდა სხვისი ავტორიტეტის შიში, რადგან მის ღირსებებს მტერიც ვერ დააყენებდა ეჭვქვეშ, პირიქით, ცდილობდა სხვები აემაღლებინა.

ნაპოლეონ ეკალაძე №40სპტს პედაგოგი

## ყამირი
## (შემართებული შრომა)

ვასწავლოთ ყამირულად შრომა და ცხოვრება, წესრიგში მოვიყვანოთ ტექნიკა, – ასე გვემოძღვრაედა ბატონი აკაკი №40 პროფტექნიკური სასწავლებლის პედკოლექტივს ჩვენი სასწავლებლის მფლობელობაში იყო 85 ჰექტარი სახნავ-სათესი მიწის ფართობი. ჩვენი ძალებით ვამუშავებდით, მოგვყავდა ხორბლის უხვი მოსავალი და ვაბარებდით სახელმწიფოს.

მიწის დამუშავების დროს ხშირად გვიფუჭდებოდა კომბაინები სხვადასხვა ტექნიკური მიზეზებით. მიუხედავად ამისა, ჩვენი შემართება და ენთუზიაზმი დიდი იყო. შევქმენით ბრიგადები და ამ ბრიგადებს ხელმძღვანელობდნენ საწარმოო სწავლების ოსტატები.

ბრიგადებმა გამოაცხადეს კონკურსი „უდანაკარგოდ ავიღოთ მოსავალი“ და გამარჯვებულმა ბრიგადამ დაიმსახურა შესაბამისი პრიზები.

ამ ბრიგადების საერთო ხელმძღვანელი იყო „კაცი ლეგენდა“ გიორგი სიხაშვილი. ბატონმა გიორგიმ მოახერხა თავისი ცხოვრებისეული გამოცდილება მისი მოსწავლეებისთვისაც გაეზიარებინა. ქარელის №40 პროფტექნიკური სასწავლებლის მოსწავლეებმა იცოდნენ რომ აკაკი გასიტაშვილი ყამირის პირველი დიდი მოსავლის აღების მონაწილე იყო და სასწავლებელში გააკეთეს სტენდი სადაც ფოტო გამოფენა იყო იმ მოსწავლეებისა და მასწავლებლებისა, რომლებიც აქტიურად შრომობდნენ ყამირზე და გაიარეს დიდი საწარმოო პრაქტიკა და დიდი ცხოვრებისეული გამოცდილებაც შეიძინეს.

მათი შემართებული შრომა ფართოდ გააშუქა გაზეთმა „პრავდამ“.

ლ.ი. ბრეჟნევი დიდ მადლობას უცხადებდა თითოეულ მათგანს ასეთი სასახელო შრომის ფურცლები რომ ჩაწერეს ისტორიაში.

გოგია ვარძელაშვილი
ქარელის №40 სპტს სწავლების ოსტატი

ბატონი აკაკი გასიტაშვილი იყო განსაკუთრებული პიროვნება. როგორც ამბობდნენ მას ცხოვრების დიდი სკოლა ჰქონდა გამოვლილი.

აკაკის ხსოვნა არასოდეს ამოიშლება მისი აღზრდილების გულებიდან და დარჩება ზნეობრივი სიწმინდის მაგალითად.

ბედნიერად ვთვლი თავს, რომ შეხება მქონდა ქარელის №40 სპტსა და მის დირექტორ აკაკი გასიტაშვილთან. ჩემი შვილი სწავლობდა ტრაქტორისტების მოსამზადებელ ჯგუფში. ამ ჯგუფის საწარმოო სწავლების ოსტატი იყო გოგია ვარძელაშვილი.

ერთხელ საწარმოო სწავლების ოსტატმა გ.ვარძელაშვილმა თავისი ჯგუფის ყველა მშობელი გაგვაფრთხილა, რომ ბატონი აკაკი გასიტაშვილს №40 სპტს მოსწავლეთა მშობლებთან უნდა ჩაეტარებინა ლექცია თემაზე: „ოჯახის როლი ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის საქმეში“ და ყველა მშობლის დასწრება სავალდებულო იყო.

აღნიშნულ დროს გამოვცხადდი სასწავლებელში და მოვისმინე ბატონი აკაკის მიერ ჩატარებული ლექცია, რომელიც დღემდე ჩემი ცხოვრების თანამდევია, ღენიადაგ ყურში ჩამრჩურჩულებს მისი თბილი და ტკბილი საუბარი.

ლექცია ამ სიტყვებით დაიწყო:

პირველად საუბარს ახალგაზრდების შრომითი აღზრდის თაობაზე დავიწყებ, რადგან იგი ადამიანის ზნეობრივი აღზრდის საფუძველთა საფუძვლად მიმაჩნია. უეჭველი ჭეშმარიტებაა: ვისაც შრომა უყვარს, მას თავისი ქვეყანა უყვარს, უყვარს თავისი ოჯახიც და საზოგადოებაც, უყვარს სიკეთე და პატიოსნება.

მე თუ მკითხავენ ყველა მშობელი, დედაც და მამაც გამრჯე და ზარმაციც, სასტიკად დამნაშავეა, თუკი უქნარა და დოყლაპია შვილს ზრდის, ისეთს, რომელიც არავის არგია, დედ-მამასაც და საზოგადოებასაც ზემდეტ ბარგად რომ აეკიდება ხოლმე, არადა, დასამალი რა გვაქვს, ამ მხრივ არცთუ იშვიათად სცოდავს დედ-მამა...

მახსენდება ასეთი შემთხვევა:

— ერთი ჩვენი მოსწავლის დედა თითქმის ყოველდღე მოდიოდა და მოურიდებლად გველანძღავდა, არ მინდა ჩემი ქალიშვილი აქ რომ სწავლობსო. გოგო არ აჰყვა დედის ჭირვეულობას და დაამთავრა სასწავლებელი. გავიდა ექვსი თვე. დედამისმა კვლავ შემოგვიღო სასწავლებლის კარი და საგულდაგულოდ ჩემკენ გამოეშურა. მე თავის არიდება დავაპირე, რომ ისევ უმიზეზოდ არ გაგვლანძღოს-მეთქი. ბატონო, რატომ გამირბიხართ — მომაძახა შორიდან. მეტი გზა არ მქონდა, გავჩერდი. — იცით, რატომ გეწვიეთ? — დღეს მადლობის სათქმელად გეახელით, მაშინ რომ არ დამიჯერეთ და ჩემმა ხელმარჯვე შვილმა სწორი გზიდან არ გადაუხვია. მან თავი გამოიჩინა შრომით და სახელიც გაითქვა.

ხდება ხოლმე, მშობლები ვერ ითვალისწინებენ შვილების სულიერ მოწოდებას და გზა-კვალს უბნევენ მათ, შეცდომას კი გვიან ხედებიან. ზოგჯერ მათი შეცდომის გამოსწორება არც ხერხდება.

ადამიანი ხომ მაშინ არის ბედნიერი, როცა საყვარელ საქმეს აკეთებს. ყველას ის პროფესია ურჩევნია, რომელიც ნამდვილად აინტერესებს და გულითაც უყვარს.

შემდეგ ბატონმა აკაკიმ ერცლად ილაპარაკა ალალი ლუკმის ფასზე და ხაზი გაუსვა შემდეგ სიტყვებს: „მიწის სიყვარულს მიწაზევე უნდა სწავლა, სიყრმიდანვე. ეს შრომა-გარჯისა და საკუთარი ოფლით მოპოვებული ალალი ლუკმის სიყვარულიც არის. თუ ეს სიყვარული ადამიანმა ბავშვობიდან არ შეისისხლხორცა, მერე გვიან იქნება, იგი ადამიანის სულს თავიდანვე უნდა დააჩნდეს, რომ საშვილიშვილოდ გადაეცეს.

უნდა ვაღიაროთ, რომ ამჟამინდელ გოგო-ბიჭებს ურთვალავი გასართობი გაუჩნდათ, აღარ იციან, რით შეიქციონ თავი და– ზოგი მაინც ჩივის, გართობა გვაკლიაო.

ყველა დრო-ჟამს თავისი სული სდევს. ცხოვრების მდინარეს უკან ვეღარ დააბრუნებ, მაგრამ... მაგრამ, მთლიანად, ძველიც არ უნდა დავივიწყოთ, რადგან იმ ძველშიც ბევრი რამ მოინახება დღევანდელი დღისთვის საჭირო და სასარგებლო, ამჟამინდელი ყოფა-ცხოვრებისათვის გამოსაყენებელი.

მავანს ხშირად ავიწყდება ერთი დიდი ჭეშმარიტება, რომ ყმაწვილკაცობისას დახარჯული ენერგია ამაოდ არ იკარგება, პირიქით, რაც უფრო მეტ ენერგიას დახარჯავს ახალგაზრდა, ძალ-ღონე თანდათან მოემატება, ათმაგად დაუბრუნდება და სხეულს ჯან-ღონით გაუმდიდრებს. იგი უფრო ენერგიული იქნება და სულიერადაც მეტად გამხნევდება.

ხოლო ვინც ბავშვობაში ვერ ხარჯავს ფიზიკურ ენერგიეს, ძალ-ღონე თანდათან უღარიბდება, სხეული უდუნდება, და ადამიანს აზროვნების უნარიც თანდათან უქვეითდება. ჭას თუ არ ხმარობ, შრება თავისით. ასეა ადამიანის ძალ-ღონეცა და ჭკუაც.

„ლამაზად შვილის გამზრდელი დედა მიცვნია ღმერთადაო", – დაგმოძღვრა ცისა და მიწის კაცმა, დღენიადაგ მიწასთან შეჭიდებულმა, ყანის მხვნელ-მთესველმა და ამავე დროს ხალხში სიბრძნის მარგალიტების მთესველმა, ბრძენმა პოეტმა ვაჟა-ფშაველამ. არა, ის არ გულისხმობდა, შვილი მუდამ ლამაზად ჩაცმულ-დახურულ დაგვიდიოდეს, მტვერი არასოდეს მიეკაროს, არც მიწა მოეცხოსო. ლამაზად აღზრდაში ბრძენკაცი გულისხმობდა თავისი ცხოვრების ადათ-წესს, მიწასთან მოუწყვეტლობას. იგი ფუფუნებას და განცხრომას კი არ გულისხმობდა ლამაზად აღზრდაში, არამედ იმ გაჭირვებას, თვითონ რომ იწვნევდა ხოლმე დღენიადაგ მიწასთან შებრძოლებული დიდი ფიქრისა და ზნეობის კაცი.

თანამედროვე ახალგაზრდას დიახაც, უნდა ჰქონდეს ლამაზი ტანსაცმელი და ფეხსაცმელი, მაგრამ უპირველეს ყოვლისა, ხელში სამუშაო იარაღი თუ ხელსაწყო უნდა ეჭიროს და თანაც მუდამ უყვარდეს იგი სიცოცხლესავით.

ნუ გვეცოდება ბავშვი ფიზიკური შრომის დროს ძალიანაც რომ უჭირდეს. ზოგი იტყვის წარსულის მოგონებები დღეს აღარ გვარგია, ახლა სხვა დროაო. რა თქმა უნდა, ახლა ცხოვრება უფრო რთულია ყოველმხრივ, როგორც ურემთან შედარებით რთულია კოსმოსური ხომალდი, მაგრამ ცხოვრებაში ერთი კანონი მუდამ უცვლელი უნდა იყოს: ადამიანი სიყრმიდანვე უნდა ეჩვეოდეს შრომას.

სიზარმაცის ტვირთი ყველაზე მძიმეა ცხოვრებაში, ხოლო შრომის ტვირთის საზიდად ჩვენი შვილები ნურასდროს შეგვეცოდება. ვიმეორებ: ეს უპირველეს ყოვლისა, მათი სულის სიწმინდისა და სხეულის ჯანმრთელობისათვის არის საჭირო.

თუ თავიდანვე არ ვუშველით ადამიანს და იგი მოლიპულ გზას დაადგება, მერე იშვიათად ხერხდება იმ ადამიანში ადამიანობის გადარჩენა, იგი თანდათან უფსკრულისკენ მიექანება და სხვებსაც გადაიყოლებს ხოლმე.

ყრმას ბევრი გამზრდელი ჰყავს ამჟამად: ოჯახიო, სკოლაო, რადიო-ტელევიზიაო, წიგნიო, ქუჩაო, ამხანაგებიო... ყველას ერთად ცხოვრება რომ ჰქვია, მაგრამ მთავარი მაინც ოჯახური ბუდეა, შინაურული გარემო, დედ-მამა, ბებია, ბაბუა, და-ძმა, და სხვა ნათესავ-მოყვარეები, უპირველეს ყოვლისა, აქ ხედავს იგი, რა ინტერესებით ცხოვრობენ ადამიანები, მშობლები თუ ახლობლები, როგორ ექცევიან ერთმანეთს, რა ურთიერთობა აქვთ ერთმანეთთან, რა შრომა-გარჯით თუ სხვა საშუალებით ცხოვრობენ... და მოზარდი ამ მიკროსამყაროში ხედავს მთელი სამყაროს მოდელს, ბაძავს მას.

რომელ დედ-მამას ენანება შვილისათვის რამე? თითქმის არავის. შვილისათვის გვინდა ჩვენი გარჯა, მაგრამ ამის გამო არ უნდა მივაჩვიოთ იგი პასიურ ცხოვრებას და ა.შ."

ბოლოს მოგვიწოდა მშობლებს, რომ ნუ გავზრდით შვილებს უუნაროებად, თავიდანვე ნუ დავაჩვევთ სიზარმაცეს და უსაქმურობას. სიზარმაცე-უსაქმურობა ყველა ავადმყოფობაზე უარესია. უსაქმურობა თავისთავად დანაშაულია, რადგან ვინც არაფერს აკეთებს, ის მუდამ ვიღაცის ხარჯზე ნებივრობს უსაქმურობის დანაშაულებრივი ლოგიკური კოდექსია:'

ა) ყველაზე კარგი ცხოვრება სწადია, სადაც მოესურვება — გაისეირნოს.

ბ) რაც მოესურვება — მიართვან და ა.შ. და ამ სიტყვებით დაამთავრა თავისი მოხსენება-ლექცია:

შრომის სიკეთეზე კიდევ ვიტყვი, რომ ვისაც თავისი შვილი გარჯისთვის არ ემეტება, ეცოდება, რომ საქმე გააკეთებინოს, სამაგიეროდ წუთისოფელი არ შეიცოდებს, სასტიკად დასჯის ორივეს — შემცოდებელსაც და შეცოდებულსაც.

სიზარმაცე, უქნარობა, ხომ თავს სჭრის პატიოსნებას და არცხვენს ადამიანს.

ბატონი აკაკის მიერ ჩატარებული ლექცია იყო დამოძღვრა ჩვენი, მშობლებისა და მისი მოწოდება თითოეულ მშობელს გზას გვინათებდა.

№40სპტს მშობელი

ლალი შავდათუაშვილი

## ექსკურსია
## საგურამო-კახეთი

ბატონი აკაკი გასიტაშვილი ყოველთვის მოთავე იყო ქვეყნის ამერ-იმერში ექსკურსიების მოწყობისა. მახსენდება ერთ-ერთი ექსკურსია ილიას სახლ-მუზეუმში. ჩვენი მარშრუტი ასეთი იყო: ქარელი, საგურამო და კახეთი. ეს მარშრუტი განაპირობა იმან, რომ ჩვენი სასწავლებლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის ოლიკო ოსაძის ინიციატივას მხარი დაუჭირა ბატონმა აკაკიმ. სასწავლებელი სათანადოდ მოემზადა და კლასმაც იცოდა, რომ ქართულის გაკვეთილს ჩაატარებდნენ ილიას სახლ-მუზეუმში სტუმრებთან ერთად.

შემოდგომის ჩვეულებრივი ღრუბლიანი დღე იყო. ილიას სახლ-მუზეუმში ბავშვების ჟრიამული ისმოდა. სტუმრებიც მოდიოდნენ სახეზე ეტყობოდათ, რომ ღელავდნენ, მაგრამ ღელვა ყველაზე მეტად სასწავლებლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს, ქალბატონ ოლიკოს ეტყობოდა. მიუხედავად იმისა, რომ იგი პირველად არ ატარებდა ასეთ გაკვეთილს. მას სკოლაში მუშაობის სტაჟიც ჰქონდა. გაკვეთილის თემა იყო ი. ჭავჭავაძის შემოქმედება.

მოსწავლეებმა დამაჯერებლად ახსნეს მწერლის დამოკიდებულება ცხოვრებასთან, პარალელები გაავლეს თანამედროვეობასთან.

გაკვეთილი დამთავრდა, ყველა კმაყოფილია, მათ შორის ოლიკო მასწავლებელიც. არ დარჩენილა არც ერთი მოსწავლე, რომელსაც აქტიური მონაწილეობა არ მიეღო.

ეს განსაკუთრებულად გამორჩეული გაკვეთილი მოსწავლეებისა და სხვა სტუმრებისათვის იყო ნამდვილად საუკეთესო ნიმუში, მაგალითი მასწავლებლისა,. კმაყოფილი სახეებით გავაგრძელეთ გზა კახეთისაკენ და ვეწვიეთ პირველად ყვარელს. საოცარი მასპინძლობა გაგვიწია კახეთში ბატონმა ალექსანდრე გვენცაძემ, თელავის უნივერსიტეტის პროფესორმა, რომელიც ახლო მეგობარი იყო ჩვენი მასწავლებლისა. მან შეგვიდგინა მარშრუტი: შუამთა, ახმეტა, ალავერდი, იყალთო, გრემი, თელავი, ყვარელი, გურჯაანი, წინანდალი...

აიღო მიკროფონი დადგა ფეხზე და ხმამაღლა გვიხსნიდა მთელი კახეთის ისტორიას. მან ასე დაიწყო საუბარი ეს კახეთი ბეჭედია ბაჯაღლო და თელავი შიგ ჩასმული ბადაღში. ჩვენ მაშინვე მივხვდით, რომ თელავში შევდიოდით. დაგვათვალიერებინა მთელი ქალაქი და გვიყვებოდა საინტერესოდ, შიგადაშიგ ლექსებსაც ურთავდა და კარგი მსახიობივით კითხულობდა.

თელავში შევედით თუ არა, მაშინვე წარმოსთქვა „რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებიაო" სწორედ თელავზე იტყვიან. თელავი ბადაღში ჩასმული მარგალიტია. უყურებთ ერეკლეს დიდებულ სასახლეს და ფიქრთა მორევში ჩაიძირებით. იტყვით „რა ხელმა ააგოო?" აქ დაიბადა 1720 წელს და აქ გაიზარდა პატარა კახი, აგერ მისი აკვანიც. უყურებთ ამ თვალუწვდენელ დარბაზებს და ფიქრობთ, ადამიანებს რომლებსაც სურდათ ამ დიდებული ტაძრის განადგურება რა ჰქონდათ

გულის მაგიერ? რამდენი სისხლი დაიღვარა, რამდენი სიცოცხლე შეეწირა კახეთის დაცვას?! და მაინც შეძლო ქართველმა ხალხმა გადმოეცა ჩვენთვის ეს ბრწყინვალე სასახლე. სასახლის ჭიშკართან ამაყად დგას უძლეველი ერეკლე ცხენზე ამხედრებული, ხმლით ხელში. ქართველი ხალხი უფრთხილდება და იცავს სასახლეს, მაგრამ შეკეთება ყველაფერს სჭირდება. სასახლის მოპირდაპირე მხარეს ბებერი ჭადარი დგას, რომელიც 800 წელია ამაყად გადაჰყურებს თელავს. მრავალი ჭირის მნახველია. ადამიანის სისხლით მორწყულა მისი ფესვები. მრავალჯერ დაუკვნესია, ახლა დგას ამაყად, გაჰყურებს საქართველოს უღრუბლო ზეცას.

შემდეგ გეზი სტალინის მამის საფლავისკენ ავიღეთ. თურმე სტალინის მამა გამორიდებია გორს და თელავში დაუწყია მოღვაწეობა. საფლავი სტალინის სიცოცხლეში არ ყოფილა აღმოჩენილი, შემდეგ კი იაკობის ვაჟი ევგენი აკითხავდა ხოლმე წინაპართა საფლავს. დიდი გულისყურით დავათვალიერეთ თელავის I სკოლა, სადაც სწავლობდნენ ჩვენი სახელოვანი მამულიშვილები. კახეთში გატარებულმა დღეებმა წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ჩვენზე. დიახ, ჩვენ დავინახეთ ძალა უძლეველობისა, ძალა ერთობისა, კაცთმოყვარეობისა.

როდესაც სამშობლოდან ნაძალადევად გადახვეწავდნენ ან სულაც თვითონ მიდიოდა სამშობლოს გადასარჩენად, თან ერთი პეშვი მიწა მიჰქონდა სათავისოდ, თუკი დაბრუნება ვერ ეღირსებოდა და უცხო მიწაზე ეწერა სიკვდილი.

მშობლიური მიწის ამ სიყვარულმა გადაარჩინა ქართველი ერი. მშობლიური მიწის ასეთი სიყვარული იყო და არის გაერთიანებული ქართველი ხალხის წინსვლისა და პროგრესის მარადიული ფუძე.

ბედნიერი ვართ, რომ ვართ ქართველნი, შემდეგ ვნახეთ ახალი შუამთა, იყალთო, გრემი. შევხედეთ თუ არა შუამთის ტაძარს, გაგვახსენდა ბ. ბერიაშვილის სტრიქონები:

„ჩემს თითოეულ ქვას სიმღერა ჰქვია,
ჩემი სახელი ძლევის ხმებია.
გულში მრავალჯერ მომარტყეს ტყვია,
ზურგში, – არც არვის უმიზნებია".

შემდეგ მოვინახულეთ ალავერდის ტაძარი, თავისი საუცხოო ბუნებით. და ამანაც ისევ გაგვახსენა ბ. ბერიაშვილის სიტყვები:

„გაზით გამგლიჯეს ათივე ფრჩხილი,
და წამებული მიწოდა ხალხმა,
თუნდ კაცი რა, სიკვდილის წინაც
მე დაჩოქილი ვერავინ მნახა".

შემდეგ ავედით გრემის ტაძარში და ისევ გავიხსენეთ ბ. ბერიაშვილის სტრიქონები:

"საუკუნენო მათ სადიდებლად
ყანწებით სვამენ ჩემს კახურ ღვინოს,
მეც ვიდგე, ვიდრე ქართველს ქართველის

ნამუსის ქუდი არ შემერცხვინოს!"

გვეჩქარებოდა, მაგრამ იყალთოს როგორ არ უნდა ეწვეოდით და ავედით იქაც. საოცარი სანახავია ეს ტაძარი. თავისი სკულპტურით და ისევ ბ. ბერიაშვილის სიტყვებმა გამოგვაცოცხლა.

„მქონია დარდი ენით უთქმელი,
და არ ვქცეულვარ სევდა-წუხილად,
მე ერთ დღეს, ვშობე დიდი რუსთველი,
საუკუნენი თავს რომ უხრიან".

შემდეგ კოშკში შევედით. ხელისგულივით გამოჩნდა მთელი კახეთი. დიდხანს არ გვინდოდა იქიდან წამოსვლა. დიდხანს ვისხედით. მადლობას ბატონ ალექსანდრე გვენცაძეს ვეუბნებოდით. დიდხანს ვიყავით მისი მონათხრობის შთაბეჭდილებების ქვეშ, მაგრამ ერთი რამ კი სამუდამოდ ჩაგვრჩა გონებაში ჩვენი სამშობლოს სიყვარული იდმენად ძლიერი იყო, რომ იგი უცხო ტომის ადამიანსაც კი არ აძლევადა საშუალებას გაენადგურებინა და ხელთეყო ჩვენი ხალხის მიერ სისხლითა და ოფლით შექმნილი დიდება.

„ასე იყო საქართველოს ჟამნი კაცის ალალი სისხლით და დედაკაცის მადლიანი ცრემლით იწერებოდა იმ ცოდომადლით განუკითხავ ჟამიანობაში".

ამის შემდეგ ვეწვიეთ რაფიელ ერისთავის სახლ-მუზეუმს. ჩვენ თაყვანს ვცემთ მისი შემოქმედების ბრწყინვალე ნიმუშებს. მუზეუმის მუშაკებმა დიდი გულისხმიერება გამოიჩინეს ჩვენს მიმართ და ჩვენც შთაბეჭდილების წიგნში გულწრფელი მადლობა მოვახსენეთ მათ.

ბოლოს ყვარელს ვეწვიეთ. პირველად ილიას გორას მივაშურეთ, განუზომელი იყო ჩვენი გაოცება. არც ერთი ქაღალდის ნაგლეჯი, არავითარი დანაგვიანება. ისე მწვანედ ბიბინებდა ბალახი, რომ თვალს ვერ მოაშორებდით, ხოლო გორას ცენტრში გიგანტური ძეგლი აღმართულიყო. ასრულდა ილიას ოცნება იგი გადაჰყურებს თავის მშობლიურ ყვარელს, ყვარლის მთებს და მათი ცქერით ვერ ძღება. დაილოცოს იმ მადლიანი სხივმოსილი მოქანდაკის ხელი, ვინც ასე შთამბეჭდავად გამოკვეთა ქვაში „ერის ბურჯი", ქართველი ხალხის სულიერი მოძღვარი „ილია ჭავჭავაძე", რომელსაც მხოლოდ ერთი ღმერთი – სამშობლო, საქართველო სწამდა.

გორაზე ცოტა შევისვენეთ და სახლ-მუზეუმისკენ გავწიეთ. ძლივს მივუსწარით, იგი უკვე იკეტებოდა, მაგრამ სტუმრებს ვინ გვეტყოდა უარს, რომ კიდევ ერთხელ მოეთხრო ამ ნამდვილი ადამიანის შესახებ, რომელიც საქართველოს გაერთიანებისათვის დავით აღმაშენებლსა და გიორგი ბრწყინვალზე ნაკლებ როდი იბრძოდა. განუმეორებელი და წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ილიას სახლ-მუზეუმმა. მისმა გაფორმებამ, ილიას ნაქონმა ნივთებმა და, რაც მთავარია, აქ თითოეულ ნივთში, თითოეულ ასოში იგრძნობოდა ქართველი ხალხის ბუმბერაზი მამის, საქართველოსათვის ტანჯული ადამიანისადმი პატივისცემა, მოკრძალება და სიყვარული. მოგვეწონა ბაღი, რომელიც გარს აკრავს სახლ-მუზეუმს.

ვეთხოვებოდით ყვარელს და გვახსენდებოდა ელგუჯა მაღრაძის სიტყვები ილიას შესახებ: „ილია ჭავჭავაძის ხატი „სრული საქართველო“ იყო. სამშობლოს ძალთა დანაწილება-დაქსაქსვას ვერ იტანდა და ამიტომ არცვის არ ეხმარებოდა, თვითონ მარტოსული, შიშველ ხმალ-მომარჯვებული ფარის გარეშე იბრძოდა. მარტოსული იყო, მაგრამ ძირძველი და შეუვალი. ასეთ თავდაუზოგავ ადამიანებს თავიანთი ტრაგიკული წუთები აქვთ ხოლმე. დგება ის წამიც, დაირხევა სასიკვდილო ზარი დ ამ ზარის ხმა მათ სამუდამო სამყოფელში უხმობს და მათი მარადისობაც სწორედ სიკვდილის წამიდან იწყება.

წაიქცა ერის ბურჯი „ქართელთა სისხლთა ხვრეპით ვერ გაძღა სოფელი“. მთელი საქართველო ტირილით ესათნოვა თავის ჭეშმარიტ შვილს. მთელმა საქართველომ ღვარა თვალთაგან დანადენი სისხლის ცრემლები. ბუნებამ ის გასწირა ქართველთა ძალა და თმობა უბოძა ხალხს. ხალხმა გულის წყლული გაირკინა.“

როცა დავბრუნდით სასწავლებელში უმალ მოვაწყვეთ ჩვენი მოგზაურობის ამსახველი ფოტოგამოფენა და შევქმენით ალბომი სათაურით – „რა განძი გვქონია!“

№40 სპტს პედაგოგი:
ზოია ლაცაბიძე სანებლიძისა.

## ექსკურსია ლენინგრადსა და სტალინგრადში

ექსკურსიებს თითქმის ყოველწლიურად ვაწყობდით. მთავარი შემოქმედი ამ საქმეში ბატონი აკაკი იყო. მახსოვს მე და ბატონი აკაკი მიწვეული ვიყავით ქ. თბილისში საქართველოს უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში, სადაც ჩატარდა საქართველოს პროფტექნიკური განათლების მუშაკთა აქტივის კრება პროფკავშირული, პარტიული ორგანოების, სახალხო განათლების სისტემის და საბაზო სამინისტროებისა და უწყებათა წარმომადგენელთა მონაწილეობით.

საქართველოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტმა ეს შეგვატყობინა 3 დღით ადრე. რა თქმა უნდა, მოვემზადეთ მონაწილეობის მისაღებად. და კიდეც დაგვიფასდა ის შრომა, რასაც ბატონი აკაკის ხელმძღვნალობით ვეწეოდით №40 სპტს სასწავლებელში. მომხსენებელმა ჩვენი სასწავლებელი დაახასიათა კარგად და ბატონ აკაკის მადლობა გამოუცხადეს. გახარებულები დავბრუნდით შინ.

მეორე დღეს ბატონმა აკაკიმ მოიწვია თანამშრომელთა თათბირი და გააცნო ის სასიხარულო ამბავი, რაც დაუფასა ჩვენს სასწაელებელს პროფ-ტექნიკური განათლების სამინისტრომ და გამოაცხადა – გადავწყვიტე დაგაჯილდოვოთ ექსკურსიით ლენინგრადში ან სტალინგრადშიო. თანამშრომლებმა ამ სიტყვებს ტაშით უპასუხეს და უფრო მეტი შემართებით შევუდექით მუშაობას.

როგორც სჩვეოდა ბატონ კაკოს დანაპირები შეასრულა და ჯერ ლენინგრადში ჩავედით, შემდეგ კი სტალინგრადიც მოვინახულეთ. დავათვალიერეთ ლენინგრადის ღირშესანიშნავი ადგილები. ექსკურსია-მძღოლობას ძირითადად ბატონი აკაკი გვიწევდა. მის საუბარში უდიდესი სითბო და სიყვარული იყო ჩაქსოვილი.

ჩავედით თუ არა ლენინგრადში საუბარი ამ სიტყვებით დაიწყო: ქალაქები, ხალხის მსგავსად, განუმეორებლები არიან. ყოველი მათგანი, დიდი და პატარა, ძველი და ახალი, თავისებურად ღირშესანიშნავია, თავისებურად ძვირფასი, მაგრამ არის ქალაქები, რომლებიც ყველასათვის საყვარელია.

ლენინგრადი! მუდამ მშვენიერი ნევა და მის წყალში არეკვლილი, როგორც ძვირფასი ალმასები, ტაძრები, სასახლეები, გრანიტის სანაპიროები დაარსებული 1703 წელს. ამ ქალაქმა გახსნა „ფანჯარა ევროპაში". ამიერითგან ქვეყანა გახდა არა მარტო სახმელეთო, არამედ საზღვაოც.

მდინარე ნევის დინების ყველაზე განიერ ადგილში თითქოს წყლიდან ამოსულია პეტრე-პავლეს ციხესიმაგრის მკაცრი ბასტიონები, რომლებიც მოგვაგონებენ რუსი ხალხის ბრძოლას, და რევოლუციონერების გმირობას. 1703 წლის 16 მაისი შევიდა ისტორიაში, როგროც პეტერბურგის დაარსების დღე.

აქ დასაჯეს სიკვდილით 5 დეკაბრისტი პ.ი. პესტელი; კ.ფ. რილეევი; ს.ი. მურავიოვ – აპოსტოლი; მ.ა. ბესტუჟევ-რიუმინი და პ.კ. კახოვსკი.

1922 წელს პეტრე-პაველეს ციხესიმაგრე მუზეუმად იქცა.

ზაფხულის ბაღი პირველი ბაღია პეტერბურგში. მას საფუძველი ჩაეყარა 1704 წელს. მისი ხეივნები, მწვანე გაზონები, არქიტექტურული სკულპტურები უკვე ორ საუკუნზე მეტია ხიბლავენ თავისი სილამაზით. ზაფხულის ბაღის ღობე ხელოვნების ნიმუშია. იგი შექმნილია არქიტექტორების ი.მ. ფელტენისა და პ. ე. ეგოროვის პროექტის მიხედვით.

მდინარე მოიკის სანაპიროს მხრიდან ბაღი შელობილია არქიტექტორ ლ.ი. შარლემანის პროექტის მიხედვით.

დეკაბრისტების მოედანი სამუდამოდ შევიდა რუსეთის ისტორიაში. აქ 1825 წელს 14 დეკემბერს მოხდა შეიარაღებული ამბოხება. იმ შორეულ დროს მოედანს ერქვა სენატის მოედანი. ამ მოედანზე 1782 წელს იყო გახსნილი ცნობილი ძეგლი პეტრე I-ის პატივსაცემად. ძეგლის ავტორია სკულპტორი ეტიენ ფალკონე. თანაავტორები – მარია კოლო, – მან ერთ ღამეში შექმნა შედევრი – მხედრის თავი და რუსი სკულპტორი ფ.გ. გორდეევი – მან შექმნა რომელიც უნდა ყოფილიყო საყრდენი, მაგრამ იქცა ავტორის იდეის ნაწილად.

ძნელი იყო პეტერბურგში კვარცლბეგისთვის გრანიტის ქვის გადმოტანა, რომლის წონა ერთნახევარი მილიონი კილოგრამი იყო.

შესვენების შემდეგ საუბარი დაიწყო ისააკის ტაძრის შესახებ. ეს ტაძარი თურმე 40 წლის განმავლობაში შენდებოდა ო. მონფერანის პროექტის მიხედვით ისააკის ტაძრის მშენებლობაში გამოყენებულია 43 სახის მინერალი (გრანიტი, მარმარილო, მალაქიტი და სხვა).

ეს ტაძარი ახლაც გვაოცებს თავისი მასშტაბებით. მისი სიგრძეა – 111,5 მ; სიგანე – 97,3 მეტრი. ერთდროულად ტაძარი იტევს 13 ათას ადამიანს. შენობის წონა 300 ათას ტონამდეა. 562 კიბეს ავყავართ ტაძრის გუმბათამდე. მისი მოოქროვილი ჯვარი ალმართულია 101,88 მეტრ სიმაღლეზე.

შემდეგ გაგვაცნო კაზანის ტაძარი, რომელიც შექმნილა ხუროთმოძღვრის ა.ნ. ვორონიხინის მიერ 1801–1811 წლებში.

არქიტექტორი რთული ამოცანის წინაშე იდგა. შენობის შესასვლელი უნდა ყოფილიყო არა ნევის პროსპექტიდან; არამედ კაზანის ქუჩიდან, რადგან სამრეკლო უნდა ყოფილიყო აღმოსავლეთით. ეს ჩანაფიქრი არქიტექტორმა ოსტატურად გადაწყვიტა.

ამჟამად ეს ტაძარი წარმოადგენს რელიგიის ისტორიის მუზეუმს.

ბატონი აკაკი ისე თბილად და ტკბილად გვიყვებოდა ყოველივეს, რომ შეკითხვას ვეღარ ვუბედავდით. შემდეგ გვესაუბრა ალექსანდრე ნეველის ლავრაზე და აღნიშნა, რომ თითქმის 4,5-კილომეტრიანი ნევის პროსპექტის მაგისტრალი გვირგვინდება ალექსანდრე ნეველის ლავრის ანსამბლით, რომელიც შედგება მრავალი შენობისაგან, ეკლესიებისა და სამონასტრო კორპუსებისაგან.

1715 წლისთვის არქიტექტორმა დ.ტრეზინიმ შეადგინა სამონასტრო ნაგებობის პროექტი. პირველად გაიხსნა 1724 წელს ქვით აშენებული ხარების ეკლესია. აქ

ქალაქ ვლადიმირიდან იყო გადმოტანილი ალექსანდრე ნეველის წმინდა ნაწილები. აქვე არის გამოჩენილი რუსი მხედართმთავარ ა.ვ. სუვოროვის საფლავი.

ამჟამად აქ განლაგებულია ორი ნეკროპოლი: ლაზარევის და ტიხვინის სასაფლაოები, სადაც ასვენია მრავალი გამოჩენილი ადამიანი: გ.ვ. ლომონოსოვი, მწერლები: დ.ი. ფონვიზიანი, ნ.მ. კარამზინი, ი.ა. კრილოვი, ი.ა. გონჩაროვი, ფ.მ. დოსტოევსკი, კომპოტიზორები: მ.ი. გლინკა, პ.ი. ჩაიკოვსკი, მ.ა. ბალაკირევი, ნ.ა. რიმსკი-კორსაკოვი, ა.გ. ლიადოვი, ა.პ. ბოროდინი, არქიტექტორები: ა.ნ. კორონიხინი, კ.ი. როსი, ი.ე. სტაროვი, და მოქანდაკეები: პ.კ. კლოდტი, პ.პ. სოკოლოვი, მ.ი. კოზდოვსკი და ასევე გამოჩენილი მსახიობები, პოეტები, მხატვრები.

ქალაქიდან გავდივართ და აი, პეტრეს სასახლეც.

მთელ მსოფლიოში ცნობილია პეტრეს სასახლის ბაღები და შადრევნები. ამ ქალაქს ადრე პეტერგოფი ერქვა. მისი ისტორია იწყება XVIII საუკუნის დასაწყისიდან. ის იქმნებოდა, როგორც გამარჯვებების ძეგლი, რომელიც იყო მიღწეული ბალტიისკენ გასასვლელად ბრძოლაში და თითქმის ყველა მისი ელემენტი დეკორაციული მორთულობების განმსჭვალულია ქვეყნის საზღვაო სიძლიერის დიდების იდეით.

პეტრეს უნდოდა, რომ პეტერგოფი თავისი ფუფუნებით ყოფილიყო აღმატებული ვერსალის მეფის სასახლეზე, რომელიც მან მოინახულა საფრანგეთში ყოფნისას. მსოფლიოში უდიდესი შადრევნების წყლის სისტემა შენდებოდა პირველი რუსი ინჟინერ-ჰიდრავლიკოს ვ. ტუვოლკოვის ხელმძღვანელობით.

1734–1735 წლებში აშენდა ყველაზე დიდი შადრევანი – „სამსონი". ის გადმოგვცემს ბიბლიის ლეგენდას სამსონზე, რომელიც ებრძვის ლომს.

ორი ასწლეულის განმავლობაში პეტერგოფი იყო მიუწვდომელი ხალხისთვის.

შემდეგ იგი იქცა ხალხის საყვარელ დასასვენებელ ადგილად.

1941 წლის სექტემბერში გერმანელებმა დაიპყრეს პეტერგოფი. ფაშისტებმა გაანადგურეს დიდი სასახლე, დაანგრიეს შადრევნები, ქანდაკებები, გაჩეხეს 14 ათასამდე ხე, მაგრამ უკვე 1945 წელს, დიდი აღდგენითი სამუშაოების შემდეგ, პარკები გაიხსნა დამთვალიერებლებისათვის. ამჟამად შადრევნების ფორმების, მისი წყლის ხარჯვის რაოდენობით, მოქმედების ხანგრძლივობით პეტერბურგის შადრევნებს უკავია პირველი ადგილი მსოფლიოში.

მიუხედავად იმისა, რომ წყლის ხარჯვა წამში შეადგენს 30.600 ლიტრს, მათ შეუძლიათ ყოველდღიურად იმოქმედონ 10-12 საათი.

შემდეგ გაგრძელდა საუბარი ქალაქ პუშკინის შესახებ.

რუსი ხალხისთვის ძვირფასია ეს ქალაქი, როგორც რუსული მხატვრული კულტურის საგანძური, როგორც გენიალური პოეტის მუზის სამშობლო. მთელი მსოფლიოდან მოდიან აქ ა.ს. პუშკინის მეგობრები, რათა გამოხატონ თავისი სიყვარული და აღფრთოვანება მისი უკვდავი შემოქმედებისადმი.

არა მარტო ოთხსართულიანი ლიცეუმის შენობა, სადაც ნორჩმა პოეტმა გაატარა მოსწავლეობის წლები, არამედ მთელი სოფელი ორგანულად შეერწყა პუშკინის შემოქმედებით ბიოგრაფიას.

აქ ძლიერდებოდა მისი ნიჭი, აქ თხზავდა თავის პირველ ლექსებს ყმაწვილი, რომლისგანაც გაიზარდა უდიდესი პოეტი.

ქალაქის ძირითადი შენობები იგებოდა ვ.პ. სტახოვის პროექტებით. 1811 წლის 19 ოქტომბერს საზეიმოდ გაიხსნა ლიცეუმი. პირველი ლიცეისტებს შორის იყვნენ ა.ს. პუშკინი, ვ.კ. კუხელბეკერი, ა.ა. დელვიგი და სხვები. ლიცეუმში მოხდა მნიშვნელოვანი მოვლენები პუშკინის ცხოვრებაში და შემოქმედებით ბიოგრაფიაში.

ლიცეუმის ბაღში 1900 წელს დადგეს პოეტის ძეგლი (მოქანდაკე რ.რ. ბახი).

ბატონმა აკაკიმ დაიწყო საუბარი ლომონოსოვზე და ხმამაღლა განაცხადა, რომ აქ მყოფებმაც ბევრი რამ გაიხსენონ ამ ქალაქის შესახებ, რადგან წლების წინ ჩვენ გვაკავშირებდა მეგობრობა ამ ქალაქის №8 პროფტექნიკურ სასწავლებელთან.

ქალაქი ლომონოსოვო (ორანიემბაუმი). სასახლეები და პარკები დიდი მხატვრული ფასეულობაა. ისინი ნაკლებად განადგურდნენ მეორე მსოფლიო ომის დროს და შეინარჩუნეს თავისი არქიტექტურული ხედი.

ქალაქ ლომონოსოვოს წარმოშობის ისტორია ასეთია: პეტრე I-მა 1707წ აჩუქა მიწები ა.დ. მენშიკოვს. მან გადაწყვიტა ქალაქის აშენება და დაარქვა მას ორანიემბაუმი, შენდებოდა 15 წელი.

1743 წელს ორანიემბაუმი იმპერატრიცა ელიზა ვეტამ აჩუქა პეტრე III-ს.

დამამთავრებელი ეტაპი სამხატვრო ანსამბლის შექმნაში დაემთხვა ეკატერინე II-ის მეფობის პირველ წლებს. მან მოიწვია მშენებლობაზე მრავალი რუსი და უცხოელი ხუროთმოძღვარი, მოქანდაკე, მხატვარი.

მნახველებს აოცებს ოთახების დეკორატიული მორთულობა: კედლების მოხატულობა, ფერწერული, აჟურული ძერწვა, ქარგვა და ბოლოს იატაკები ხის სხვადასხვა ჯიშებისაგან. ყველა ეს ნამუშევარი სრულდებოდა რუსი, იტალიელი, ვენეციელი მხატვრების მიერ. ისტორიამ შემოინახა მათი სახელები: სავა ტროფიმოვი, ივანე სოკოლოვი, ივანე ტროფიმოვი, ფერმწერები: შტეფანო ტორელი და სერაფინო ბახოცი, მხატვრები: ტიეპოლო, პიტონი, დიციანო.

1754 წელს ორანიემბაუმიდან 24 კილომეტრში მ.ვ. ლომონოსოვმა დაარსა ქარხანა, სადაც ამზადებდნენ შუშის ნაკეთობებს.

ლომონოსოვის პატივსაცემად 1948 წელს ორანიემბაუმს ლომონოსოვო დაარქვეს. აკაკიმ გამოკვეთა, რომ ჩვენმა სასწავლებელმა სწორი არჩევანი გააკეთა, რომ დავიმეგობრეთ ქალაქ ლომონოსოვოს №8 პროფტექნიკური სასწავლებელი. ჯერ ჩვენ მიგვიწვიეს თავიანთ სასწავლებელში და შემდეგ კი ჩვენ მთელი გულით მოვემზადეთ, რომ ლომონოსოვოს №8 პროფტექნიკური სასწავლებლის პედაგოგები საწარმოო სწავლების ოსტატები და მოსწავლეები ჩამოსულიყვნენ ჩვენთან. მათ ჩვენი თხოვნა შეგვისრულეს და გვეწვივნენ. დიდებულად ვუმასპინძლეთ, მადლობა

გადაგეიხადეს და საჩუქრად გადმოგეცეს პეტრე კლოდტის მიერ ბრინჯაოსგან დამზადებული სკულპტურული ნამუშევარი ბრინჯაოს ცხენი ანიჩკოვის ხიდზე თითქმის 20 წელი იმუშავა პეტრე კლოდტმა ამ ანსამბლის შექმნაზე.

პეტრე კლოდტი თვითონ ასხამდა ფიგურებს მთლიანობაში და არა ნაწილ-ნაწილ.

ამ კომპოზიციაში დიდი ძალისხმევით, ერთ მუხლზე დაყრდნობილი ადამიანი ახერხებს ცხენის მოთვინიერებას.

მოძრაობს ხალხი ანჩიკოვის ხიდზე. ხვდებიან და აცილებენ მათ ბრინჯაოს ცხენები რომლებიც შექმნა კლოდტმა. ასე გადმოგვეცემს წარწერა ფილებზე ამ დრამატულ ჯგუფთან, რომლებმაც სახელი გაუთქვეს საუკუნოდ მოქანდაკეს, ჩამომსხმელს პეტრე კარლოს ძე კლოდტს.

ამბობენ დრო ფრთამალიაო, ეს სრული ჭეშმარიტებაა. ვიჩქარეთ და გეზი ავიღეთ სტალინგრადისაკენ. (ვოლგოგრადშიც ჩავედით. ვჩქარობდით რომ ყველაფერი დაგვეთვალიერებინა ამ გმირ ქალაქში. ჯერ სახელმწიფო მუზეუმი დავათვალიერეთ, შემდეგ ავედით მამაის ყორღანზე ეს ღვთის კუთხე ლამაზ ყვავილებს ზღაპრულად მოუქარგავთ. რა საამო სანახავია დილის ნამით პირდაბანილი ქვეყანა. აი, მზეც ნელ-ნელა იწევს მაღლა, იგი ღიმილით დასცქერის სიცოცხლით აღგზნებულ საყმაროს და უფრო მეტ ძალას მატებს მას.

ექსკურსიიდან დაბრუნებულებმა უმალ მოვაწყვეთ ჩვენს სასწავლებელში მოგზაურობის ამსახველი ფოტოგამოფენა.

ყველას გვხიბლავდა, გვატყვევებდა აკაკი გასიტაშვილის სიბრძნე, სიტყვის ძალა, ენატკბილობა.

იგი იყო საქართველოს ღვიძლი, ღირსეული შვილი, „სულთმარიგებელი“ მოძღვარი.

ათეული წლები გავიდა მას შემდეგ, რაც მასწავლებლის ჭაპანი ეიტვირთე. ხან გულს ლოდი დამკიდებია, ხან ჩუმად ცრემლიც ჩამღვრია მკერდში, ოდეს მოსწავლის გაყინული მზერა შემჯახებია, მაგრამ უცბად მისი, შუბლნათელი მასწავლებლის ხატება ამსვეტებია წინ და ახალი შემართებით, მისეული ძალისხმევით გამიგრძელებია უწმინდესი მოვალეობა.

ზღვა ხალხი მოაცილებდა საუკუნო გზაზე ტკბილ მოძღვარს, ბატონ აკაკის. ბატონი აკაკი იყო ღმერთკაცი, ამიტომ ხალხის სიყვარული და დაფასება არ აკლდა.

თემურ სანებლიძე
ქარელის №40 სპტს პედაგოგი.

## რა დამავიწყებს

ქარელის მარჯვენივ მთებს რომ გადახედავთ, შვილებივით ჩაუკრავთ გულში პატარა მთის ფოლიოები და ლამობენ ხელიდან არ გაუშვან, ისინი სამუდამოდ დარჩნენ მათთან.

გადაეიარეთ ველები, მინდვრები და მწვანე ნაძვებს შორის გამოჩნდა რაღაც, თვალისმომჭრელად მოკიაფე – ეს ხომ ტბაა. ამ ტბას მის ახლოს მდებარე სოფლის სახელი ჰქვია, – „ბატეთის ტბა".

ბუნების წიაღში მივდივართ, მივყვებით გზასა და ბილიკებს. მზეც ნელ-ნელა იწევს მაღლა, იგი ღიმილით დასცქერის სამყაროს და უფრო მეტ ძალას მატებს მას.

მდ. მტკვარი კეცავს ტალღებს დადინჯებით.

ბიჭებო, აი გამოჩნდა მოსამკელი ველი, ხმამაღლა დაიძახა საწარმოო სწავლების ოსტატმა გოგა ვარძელაშვილმა და რამდენიმე წუთში უკვე ადგილზე ვიყავით. ბატონი აკაკი გასიტაშვილი და გოგია სიხაშვილი იქვე კომბაინთან იდგნენ და საუბრობდნენ. დაგვინახეს თუ არა, მოვიდნენ ჩვენთან და ბატონმა აკაკიმ მოგვმართა შემდეგი სიტყვებით: ბიჭებო, თქვენ ხომ სამშობლოს ღირსეული შვილები ხართ და სიძნელე არასოდეს გაშინებთ, მართალია ცხელა, მაგრამ მწამს რომ თქვენ ეს არ შეგიშლით ხელს მოსავლის აღებაში. ჩვენი ჯგუფის საწარმოო სწავლების ოსტატმაც დაამატა აბა, ბიჭებო, ყველა კომბაინთან, ჩვენებურად ვინ იმღერებს შრომასა და საქართველოს დიდებაზეო. ამ სიტყვების შემდეგ შევესიეთ ბიჭები და ვაჟკაცური შრომით შევასრულეთ დავალება.

ბატონი აკაკი გვერდიდან არ მოგვცილებია. იგი აღფრთოვანებას ვერ მალავდა და თავისი თბილი სიტყვებით გვეფერებოდა. დაისვენეთო, ჩვენ ღრმად შევედით ნაძენარში, სარკესავით ირეკლავდა მზის სხივებს ბატეთის ტბა. ჩამოვსხედით ტბის პირას გასაგრილებლად. შიგ იხვები დაცურავდნენ. ველარ მოვითმინე, შევედი, დავიჭირე ორი იხვი და მივართვი ერთი ბატონ აკაკის, მეორე კი გოგიას და დემეტრეს. ბატონმა აკაკიმ ასე დამმოძღვრა: რა დაგიშავეს ამ იხვებმა თავმომწონე ქალიშვილებივით, თავდახრილები რომ დაცურავენ და ყველაფერს სიცოცხლეს მატებენ. ეხლავე გაუშვი ტბაში და ბოდიში მოიხადე ჩადენილი დანაშაულისათვის.

სიცოცხლე ყველას უნდა, დიახ, სიცოცხლე!

ეს სიტყვები გახდა ჩემი ცხოვრების თანამდევი და სანადიროდ აღარ გავსულვარ ამის შემდეგ და არც გავალ.

დემურ სარქისოვი

№40 სპტს საწარმოო სწავლების ოსტატი.

# ბოლოსიტყვაობა

უკვალოდ არ ჩაუვლია გასიტაშვილთა გვარის თავდადებულ წინაპართა გარჯას. ჯიში არსებობს, მემკვიდრეობა არსებობს, ნიჭი არ იკარგება. ჟამი ჟამს მისდევს... ერთგულება, ვაჟკაცობა და თავდადების უნარი თაობიდან თაობას გადაეცემა... გარდასულ დღეთა დიდება და პატივი არც უახლოეს წარსულში, XIX–X საუკუნეებში დაჰკლებია გასიტაშვილის ნიჭიერ და შრომისმოყვარე გვარს, რომლის მრავალმა წარმომადგენელმა ნათელი კვალი დატოვა საქართველოს ისტორიაში.

ამჟამად გასიტაშვილები ძირითადად ცხოვრობენ ქართლში – თბილისში, გორსა და გორის მუნიციპალიტეტის სოფლებში: ზემო ნიქოზსა და სკრაში, ქარელსა და ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ რუისსა და კასპში.

საქართველოში გასიტაშვილთა დიდ-პატარას, ქუდოსან-მანდილოსნის საერთო რაოდენობა 450 სულს აჭარბებს.

ღმერთმა ამრავლოს ძირძველი და სახელოვანი გვარი გასიტაშვილთა.

# ალბომი ბატონი აკაკის ოჯახიდან



აკაკი გასიტაშვილი ბავშვობაში



მარიამ მძინარაშვილის ოჯახი ფეხზე დგანან: ილო გვერწითელი, მარიამ მძინარაშვილი, შოთა მძინარაშვილი. სხედან: მამა სამსონი-მძინარაშვილი, თინა გვერწითელი, რუსუდან მძინარაშვილი და დარიკო ღონღაძე (ილო და თინა გვერწითლები მამა სამსონის დის შვილები გახლავთ)



მარცხნიდან მარჯვნივ: რუსუდან, შოთა და მარიამ მძინარაშვილები და შუაში მათი დედა დარიკო ლონდაძე





აკაკი სამამულო ომში



მარჯვნიდან ქალბატონი მარიამი



მარიამ მძინარაშვილი გათხოვებამდე



ქალბატონი მარიამი



დგას მარჯვნიდან პირველი ქალბატონი მარიამი



ფეხზე დგანან მარცხნიდან მარჯვნივ: ვლადიმერ გეახალია,
მარიამ მძინარაშვილი და ლადო წერეთელი



ქალბატონი მარიამი მეორე რიგში მარჯვნიდან მესამე



სამამულო ომის პერიოდში ავადმყოფობით დაღუპული შოთა მძინარაშვილი,
მარიამ მძინარაშვილის ძმა



ქ.ხაშური. აკაკი გასიტაშვილი სახლის ფონზე
მარხნიდან პირველი აკაკი გასიტაშვილი



აკაკი გასიტაშვილი სურამის პროფესიული სასწავლებლის წინ (მარჯვენიდან პირველი)



სურამის პროფესიული სასწავლებლის პედაგოგიური კოლექტივი.
მარცხნიდან მესამე აკაკი გასიტაშვილი ფეხზე მდგომარე



აკაკი გასიტაშვილი მეორე რიგში მარცხნიდან მეოთხე სურამის
პროფესიული სასწავლებლის კურსდამთავრებულებთან



სურამის პედ. კოლექტივი პროფესიული სასწავლებლის კურსდამთავრებულებთან
აკაკი გასიტაშვილი პირველ რიგში მარცხნიდან მეექვსე



აკაკი გასიტაშვილი (მარჯვენიდან მეორე) საკავშირო ყამირზე კუსტანაის ოლქში (ყაზახეთი)



ალეკო გახიტაშვილი (მესამე რიგში მარცხნიდან მეოთხე) საკავშირო ყამირზე ქუსტანაის ოლქში (ყაზახეთი)



აკ კი გ. სიტაშვილი თ ნაშრომელებ ი. ერთად, ქ რელის № 40 პროკესიული სასწავლებელი



აკაკი გასიტაშვილი გაკვეთილზე



აკაკი გასიტაშვილი სახარატო ჩარხთან მოსწავლის უნარ ჩვევებს აკვირდება



ბატონი აკაკის საყვარელი პედაგოგი ალექსი გორგაძე საქართველოს მეცნიერების კორიფეებთან.
მარცხნიდან: გორგაძე, რუხაძე, დ. ლოლაძე, ი. ვეკუა, ნ. მუსხელიშვილი



საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მექანიკური ფაკულტეტის 1952 წლის გამოშვება.
აკაკი გასიტაშვილი მეორე რიგში მარცხნიდან მესამე



აკაკი გასიტაშვილი ყოფილ ყამირელებთან ერთად. პოეტი იოსებ ნონეშვილიც ხომ ყამირზე ბრძანდებოდა და თავისი შემოქმედებით ამხნევებდა საქართველოს დელეგაციას



ცნობილ პოლიტიკურ მიმომხილველ ამირან ავალიანთან ერთად





აკაკის მეუღლე მარიამ მძინარაშვილი





ბატონი აკაკი დასვენებისას ოჯახთან და მეგობრებთან ერთად







მეორე მსოფლიო ომის გმირ ანატოლი პანოეთან ერთად



ბატონი აკაკი პიცუნდაში



აკაკი გასიტაშვილი ქართლის, გორის და სურამის პროფესიული დარგის მუშაკებთან ერთად (მარჯვნიდან მეორე)



აკაკი გასიტაშვილი ადამიანების სიყვარულითა და ზეცაში აწეული ხელებით

# გასიტაშვილების გვარის მიმოხილვა ისტორიული წყაროებიდან



# ⴋⴀⴑⴀⴊⴄⴁⴈ ⴂⴀⴑⴈⴗⴀⴘⴅⴈⴊⴇⴀ ⴑⴀⴂⴅⴀⴐⴄⴓⴊⴍⴑ ⴘⴄⴑⴀⴞⴄⴁ



ღვთისა და ერის სამსახურში დგომა ქართველ კაცს ოდითგანვე ჰქონდა გაცნობიერებული. ყოველი ქართველის შეგნებაში იდო, რომ ერთი მენაკადი იყო იმ დიდი მდინარისა, რომელსაც საქართველო ჰქვია. იცოდა, რომ საგვარეულოთა თანადგომით უძლებდა ქართველი ხალხი უამრავ ჭირ-ვარამს.

ნებისმიერი გვარის წარმოშობა, გამრავლება და განსახლება უშუალო და პირდაპირ კავშირშია ერის ბედთან, რადგანაც სწორედ ცალკეულ ქართულ საგვარეულო ისტორიათა ჯამი, კრებული წარმოადგენს საქართველოს ბოლო ასწლეულების ისტორიას. თითოეული საგვარეულო ერის სიმდიდრეა, განუმეორებელი და თვითმყოფადია თავისი არსით. შესაბამისად, გვარში შემავალი ყოველი ადამიანიც ერის ისტორიის ნაწილია, მისი ჯვრის მტვირთველი. გვარის წინაშე ღირსების დაცვა, შესისხლხორცებული ჰქონდა საგვარეულოს თითოეულ წევრს, რამეთუ ოდითგან კარგი კაცობა კარგი გვარობის განმსაზღვრელი იყო.



ზოგიერთ რჩეული გვარიშვილთა ნამოღვაწარი უძველეს მატიანეთა ფურცლებზეა დაცული. ზოგიერთის ღვაწლი და საგმირო საქმენი კი ხალხის ხსოვნაშია შემონახული და თაობიდან თაობას გადაეცემა.

ქართლის ცხოვრების – საქართველოს ისტორიის ციხე-სიმაგრის მშენებლობაში თავისი წილი აგური გასიტაშვილთა ძირძველმა და სახელოვანმა გვარმაც დადო.

წინაპრის საკუთარ სახელიდან მოუდით გვარსახელის ფუძე გასიტაშვილთ. „გასიტა" – საკუთარი სახელი ყოფილა კაცისა ძველ საქართველოში. ამრიგად, პატრონიმი გასიტაშვილი ეპონიმური ტიპის გვარსახელთა რიგს განეკუთვნება, ესეიგი მის ფუძეში ფიქსირებულია წინაპრის, გვარის ფუძემდებლის ანთროპონიმი.

საქართველოში გარდა სხვა დერივატული (მსგავსფუძიანი) ფორმის „გასიტ" – ძირიანი ქართული გვარსახელი არ გვხვდება (ა. სილაგაძე, ა. თოთაძე „გვარ-სახელები საქართველოში"; თბ. 1997 წ; გვ. 55).

გვარსახელი ერთი აქვთ და ძირადაც (სისხლად) ერთნი უნდა იყვნენ გასიტაშვილნი.

**გასიტაშვილთა** საგვარეულოს მუდე-პირველსაცხოვრისი შიდა ქართლის ველზე უნდა ვეძიოთ, რადგან უძვე-ლეს წერილობით წყაროებში სწორედ შიდა ქართლელი გასიტა-შვილნი ჩანან.



საქართველოს ყველაზე დიდი ისტორიულ-ეთნოგრაფი-ული მხარეა ქართლი. ქართლში, როგორც პოლიტიკურ ერთეულში სხვა ეთნოგრაფიული მხარეებიც შედიოდა და მასში მცხოვრებნი ყველანი ქართველებად იწოდებოდნენ. „ქართველმა" კი სახელი მისცა საქართველოს. ქართლს ჰქონდა თავისი, მთის ეთნოგრაფიული მხარეები (მთიუ-ლეთი, ხევი, გუდამაყარი და დვალეთი, აგრეთვე ისტორი-ული ცხრაძმა). ქართლი სამ: შიდა ქართლის, ქვემო ქართლის და ზემო ქართლის ერთეულებად იყოფოდა, რომლებიც ასევე მათთვის დამახასიათებელი ეთნოგრაფი-ული რეალიებით ხასიათდებოდნენ. შიდა ქართლი ქართ-ლის ჩრდილოეთ ნაწილს მოიცავს, ქვემო ქართლი კი მის სამხრეთ ნაწილს. ქართული წყაროებით უფრო ადრე შიდა ქართლის სახელწოდება „ზენა სოფელი" იყო, ქვემო ქართლის შესატყვისი კი – „ქვენა სოფელი" რაც შეეხება ზემო ქართლს, მას მესხეთიც ეწოდებოდა (პოლიტიკური

„სამცხე-საათაბაგო“), ის საქართველოს მთელ სამხრეთ-დასავლეთს ფარავდა და ეთნოგრაფიულ ქართლად არ მოიაზრებოდა.

ისტორიული ტრადიციით სახელწოდება ქართლი მომდინარეობს ქართველთა ერთ-ერთი ეთნარქის ქართლოსის სახელისაგან. თავდაპირველად ქართლი ერქვა ქართლოსის პირველსაცხოვრისის მთას, დღევანდელი მცხეთის სიახლოვეს, რომელიც შემდეგ არმაზის მთისა და არმაზის სალოცავის სახელით იყო ცნობილი. აღნიშნულ გეოგრაფიულ პუნქტზე გადიოდა საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიულ მხარეთა დამაკავშირებელი უმოკლესი გზები. ქართულ ისტორიოგრაფიაში ის მოსაზრებაც არსებობს, რომ ქართის ტომის თავდაპირველი საცხოვრისი ქვემო ქართლი იყო. ძველი წელთაღრიცხვის III საუკუნეში ქართლის ჰეგემონობით ჩამოყალიბდა ქართული სახელმწიფო, რომლის საერთო სახელწოდება „ქართლი“ იყო (ბერძნულ-ლათინური წყაროების „იბერია“). მოგვიანებით, დაახლოებით X საუკუნიდან ქვეყნის აღმნიშვნელი ახალი ტერმინი — „საქართველო“ წარმოიქმნა, რადგან ერთმანეთის პარალელურად არსებობდა ეთნოგრაფიული



ქართლი და ქართლის სახელმწიფო, რომელიც ეთნოგრაფიული ქართლის გარდა სამხრეთ და დასავლეთ საქართველოს ვრცელ ტერიტორიას მოიცავდა.

ქართლმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა არა მარტო ქართველი ხალხის სახელწოდების ჩამოყალიბებაში, არამედ ერთიანი ქართული კულტურისა და ენის (სახელმწიფო, სალვთისმეტყველო, სალიტერატურო ენის) შექმნაში.

ისევე, როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, ქართლშიც ხდებოდა მოსახლეობის მიგრაცია. ძველი ქართლის მოსახლეობის უმნიშვნელო რაოდენობას თუ მოუღწევია ჩვენამდე, რომელთა შორის **გახიტაშვილთა** გვარმოდენილობაც უნდა მოვიაზროთ. საგარეო ფაქტორის გამო მისი ძველი მოსახლეობა რამდენჯერმე შეიცვალა. ქართლის აღწარმოება ხდებოდა როგორც საკუთრივ მთიელთა, ისე დასავლეთ საქართველოდან მიგრაციის შედეგად.

ქართლში იყო გავრცელებული ქართული ხალხური არქიტექტურის შესანიშნავი ნიმუში – დარბაზული საცხოვრებელი სახლი გვირგვინისებური გადახურვით, რომლის შესანიშნავი ნიმუშია კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ წინარეხში მდებარე, საცხოვრებელი სახლი – დარბაზი.





ქართლშია დღემდე შემორჩენილი უძველესი ქართული ქალების - ბოლნისის სიონი (V საუკუნე).

თუმცა სხვა მოსაზრებაც არსებობს: ძირად რაჭველ კაციტაძისგან მოდისო **გასიტაშვილთა** გვარმოდენილობა. რაჭაში, თავად წერეთელთა შინამოსამსახურე ქალი შეჰყვარებია იმ კაციტაძეს. თავისი მოახლე გოგო თავად წერეთელსაც მოწონდა. შეყვარებულები გამორიდებიან ბატონის რისხვას, შიდა ქართლში გამოქცეულან და იქ დაუწერიათ ჯვარი. კვალის დაფარვის მიზნით კი ის კაციტაძე **გასიტაშვილად** დაწერილა.

ჩვენის აზრით ეს გადმოცემა მხოლოდ გვარსახელ კაციტაძისა და **გასიტაშვილის** ფუძეთა მსგავსებას („კაციტა" – „გასიტა") ემყარება და ისტორიულ მტკიცებულებებს მოკლებულია.

იაკობ ახუაშვილის აზრით **გასიტაშვილთა** გვარმოდენილობა მომდინარეობს და სათავეს იღებს **ფარძიელაშვილთა** საგვარეულოდან, და ამის დასადასტურებლად ისტორიულ დოკუმენტს იშველიებს. ქვემოთ მოგვაქვს ამ საბუთის ანოტაცია:

*XVII* საუკუნის 90-იან წლებში უნდა შეედგინათ გიორგი, ზაქარია და ხოსიტა გასიტასშვილ ფარძიელასშ-

ვილთა მიერ მოშიცა
მიქელაშვილისათვის
მიცემული, სავარაუდოდ
ქვემო ძვიმლეთს (ძვი-
ლეთი - სოფელი ქარე-
ლის მუნიციპალიტეტში.
1991 წლამდე შედიოდა
ზნაურის რაიონის შე-
მადგენლობაში. მდებარ-



ეობს მდინარეების შუა ფრონისა და ალმოსავლეთის ფრონის
წყალგამყოფზე) მდებარე, გოგია იჩქითიძის, ბერიკა იავე-
ლასშვილისა და სავარძელოსშვილის მიწებს შორის მდე-
ბარე ნაახოები მამულის, ნასყიდობის წიგნი (ხელნაწერთა
ეროვნული ცენტრი; Hd-770:ა).

ცნობილია, რომ საისტორიო წყაროში მამის სახ-
ელისა და გვარსახელის მართლწერა რაიმე კანონზომ-
იერებას არ ექვემდებარება. უძველეს ქართულ სიგელ-
გუჯარში წინაპრის ანთროპონიმისა და პატრონიმის ჩაწ-
ერა სხვადასხვა ფორმით ხდებოდა. ხშირად ნათესაობითი
ბრუნვის ფორმით იწერებოდა, როგორც წინაპრის პირ-
სახელი ასევე მემკვიდრეობითი სახელიც. მამის სახელისა
და ხანდახან, გვარსახელის ჩაწერაც კი ორნაირად, გაერ-
თიანებული და დაცალკევებული სახით ხდებოდა. წინაპრის
პირსახელის გაერთიანებული ფორმით ჩაწერა იმას სრული-
ადაც არ ნიშნავს, რომ იგი გვარსახელს წარმოადგენს.

წინაპრის ანთროპონიმის ჩაწერის გაერთიანებული ფორმა, დროთა განმავლობაში ხმარებიდან გამოვიდა.

დავუბრუნდეთ ჩვენს მიერ ზემოთ მოტანილ ანოტაციას. ამ კონკრეტულ შემთხვევაში გასიტასშვილი; გიორგის, ზაქარიას და ხოსიტას პატრონიმს არ წარმოადგენს, იგი მათი მამის პირსახელია, გაერთიანებული ფორმით ჩაწერილი. ხოლო ვარძიელასშვილი გვარსახელი.

სადღეისოდ მიღებული მართწერის ფორმების თანახმად ზემოდ მოტანილი ანოტაციის დასაწყისი შემდეგ სახეს მიიღებდა: XVII საუკუნის 90-იან წლებში უნდა შეედგინათ გიორგი, ზაქარია და ხოსიტა გასიტას ძე ვარძიელაშვილების მიერ

ჩვენს ხელთ არსებულ ქართულ სიგელ-გუჯარში შიდა ქართლ **გასიტაშვილთა** გვარჩამომავლობა XVII საუკუნის II ნახევრიდან იხსენიება.

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ დღემდე მოღწეულ წერილობით წყაროებში **გასიტაშვილთა** მემკვიდრეობითი სახელი შედარებით მცირე რაოდენობით იხსენიება. აქვე უნდა ითქვას, რომ, **გასიტაშვილთა** საგვარეულო სავარაუდოდ XV საუკუნის მიწურულისთვის ან XVI საუკუნის დასაწყისში (მისი რიცხოვნობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ) უნდა



წარმოქმნილიყო. თავისთავად ჩნდება კითხვა: თუ საგ-ვარეული, ჯერ კიდევ XV საუკუნის მიწურულისთვის წარმოქმნა, ხშირად რატომ არ იხსენიება მომდევნო წლებში ქართლის სამეფოში შემდგარ ქართულ წერილობით წყაროებში? ვინ იცის, იქნებ იხსენიებოდა და ალბათ ასეც იქნებოდა. მაგრამ, გასათვალისწინებელია შემდეგი მიზე-ზები: პირველი და უმთავრესი – **გასიტაშვილთა** გვარ-მოდენილობის მცირერიცხოვნებაა. მეორე – მათი ნაწი-ლის, აღმოსავლეთ საქართველოს ისეთ რეგიონში სახ-ლობაა, სადაც ქართლის სამეფოს ცენტრთან შედარებით ნაკლებად იყო ჩამოყალიბებული სახელმწიფო სტრუქ-ტურები (საუბარია იმ ბიუროკრატიულ აპარატზე, რომელიც ნებისმიერი ფაქტის: ბოძების, ყიდვა-გაყიდვის, აზატობა-თარხნობის და სხვადასხვა ხასიათის ნუსხებისა თუ აღწ-ერების შექმნასა და შენახვას უზრუნველყოფს), აგრეთვე ნგრევამ, ძარცვამ და სისხლთა წვიმებმა ქართლის ცხ-ოვრებას განუწყვეტლივ თან რომ სდევს, ჩვე-ნამდე მოღწეულ წერი-ლობით და ისტორიულ წყაროთა სიმწირე განა-პირობა.



XVII საუკუნის II ნახევარს მიეკუთვნება, სავარაუდოდ ახლად გათ-



ავადებულ სააკაძეთა შტოს წარმომადგენლისთვის მიცემული ნილის ბარათი (საბუთი საკმაოდ ვრცელია, ამიტომ მოგვაქვს ანოტაციის სახით), რომელშიც გოსტიბეს (სოფელი აღმოსავლეთ საქართველოში, შიდა ქართლის მხარის კასპის მუნიციპალიტეტში, ახალქალაქის თემში. მდებარეობს თრიალეთის ქედის ჩრდილოეთ მთისწინეთში. მდინარე გოსტიბესწყლის ნაპირებზე. სოფელში მდგარა სააკაძეთა სასახლე) მცხოვრები მახარა გასიტაშვილი იხსენიება (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი: Hd-13303).

XVII საუკუნის ბოლო მეოთხედს მიეკუთვნება მოურავ, ავთანდილ სააკაძისა და ზურაბ სააკაძის ნილის ბარათი (საბუთი საკმაოდ ვრცელია, ამიტომ მოგვაქვს ანოტაციის სახით), რომლიდანაც ირკვევა, რომ გოსტიბეს მცხოვრები შემაზა გასიტაშვილი, თავისი ქონებითურთ, მახარას სანუქფოდ (სანაცვლოდ) რგებიათ მათ ნილად (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი: Hd-11922).

ჩვენს მიერ ზემოთ მოტანილ საბუთთა ანოტაციების ანალიზი გვაფიქრებინებს, რომ მეორე ანოტაციაში მოხ-

სენიებული მახარა, პირველ ანოტაციაში მოხსენიებული მახარა გასიცაშვილი უნდა იყოს.



1688–1703 წლებში, ქართლის სამეფოში ერეკლე I-ის მეფობის დროს, თავად ედიშერ და პაპუნა ციციშვილთა გვარის თამაზზე განჩინება შეუდგენიათ. რომელშიც გვეძინეთს (სოფელი გვერძინეთი მდებარეობს შიდა ქართლში, ქარელის რაიონში, თრიალეთის ქედის ჩრდილოეთ კალთაზე, მდინარე ძამის ნაპირზე, ქარელიდან 21 კილომეტრის მანძილზე. გვერძინეთი (საისტორიო წყაროებში გვეძინეთი) პირველად XVII საუკუნეში იხსენიება. სოფელი ციციშვილთა საკუთრება იყო. XVIII საუკუნის 70-იან წლებში აქ 30-მდე კომლი ცხოვრობდა და ეკონომიკურად საკმაოდ ღონიერ სოფლად ითვლებოდა. 1695 წელს ციცი ციციშვილმა ქართლის მეფეს გიორგის უღალატა და ერეკლე I-ს (ნაზარ-ალი-ხანს) მიემხრო. გიორგიმ მოღალატე მოახრჩობინა და საციციანო ნოდარის ძეს ფარსადან ციციშვილს მიაკუთვნა. გიორგისა და ერეკლეს შორის ბრძოლა გაგრძელდა. ამ ბრძოლაში ერეკლეს ქაიხოსრო ციციშვილი მიემხრო, რომელმაც სოფელ გვერძინეთთან მომხდარ ბრძოლაში დაამარცხა გიორგის მომხრე ფარსადანი

და საცეციანო დაისაკუთრა. XVI–XVIII საუკუნეებში ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით სოფელი გვერძინეთი მტკვრის მარჯვენა სანაპიროს (ცაცაშვილთა) სადროშოში შედიოდა) მცხოვრებ, ედიშერ ცაცაშვილის კუთვნილ გლეხთა შორის, ბერი **გასიტაშვილის** ერთი კომლიც იხსენიება (საბუთი საკმაოდ ვრცელია, მოგვაქვს მხოლოდ ის ადგილი რომელშიც **გასიტაშვილთა** გვარსახელი ფიქსირდება):

„ქ. ერთ წილათ გვეძინეთს **გასიტაშვილი** ბერი, ამაზე აძეს მჭედლიშვილი გელია, რისაც მამულის მქონებელი იყოს, ერგო ედიშერს "

(ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი: Hd–1636).

XVIII საუკუნის დასაწყისში უნდა დაწერილიყო იოსებაშვიოლმა მიერ ქიტესა კოშაძესა და ბერუაშვილთათვის მიცემული ფიცეს კვირაცხოველთან მდებარე მინის ნასყიდობის წიგნი, რომელსაც ბერი **გასიტაშვილიც** ადასტურებს:



„ქ. ნებითა და შეწევნითა ღვთისათა, ძლიერებითა ცხოველის მყოფელის ჯვარისათა, ყოვლად წმინდის ღვთისმშობლისათა. მეოხებითა მღვდელთმოძღვართა,

ვასილი, გრიგოლი, იოვანე და იოვანე ღვთისმეტყველი-სათა. მეოხებითა თავთა მოციქულთა პეტრესი და პავლეს-ითა, მათითა მეოხებითა ესე უკუნისამდე ხანთა და ჟამთა გასათავებელი ნასყიდობის წიგნი და სიგელი მოგეც მე იოსებასშვიოლმა საბამა, ჩემმა ბიძაშვილმა ათანასემა. შვილმა ჩემმა თევდორემა, გოგინამა. ძმამა ჩემმა თამაზამა შენ, კოშაძეს ქიტესას, ჟამიტას, სეხნიას, ბერუას, თამა-ზას, იასეს, ტეტიას, ესტატეს, გოგიას ბერუაშვილთა და მომავალთა სახლისა შენისათა. ასე რომ მოგყიდე მიწა ფიცეს კვირაცხოველთან, ჩემი ნასყიდი კახურა ორის დღის. ავიღე ფასი სრული და უკლებელი, რითაც ჩემი გული შესჯერდებოდა. არის ამისი მოწამე თავათ ღმერთი და ყოველი მისი წმინდანნი. ლამაც კაცმა ესე ნასყიდობის წერილი მოშალოს, მასსამცა რისხავდეს მამა, ძედ და სულიწმინდა. მასსამც ედების კუპრიელი. ნუმცა იხსნება სული მისი ჯოჯოხეთისგან. ან თავადმან, ან აზნაურმან ან გლეხმან. არის ამი-სი მოწმე: თეთრუაშვილი მღვდელი მარკოზ, ამირეზაშვილი მანძულა, გასიტაშვილი ბერი, კახი იესე, კოჭლი ბერანა აქ ამის ბიჭი ღვთისიას ძე. დეკანოზ მღვდელს ფილიპეს დამიწერია და





მოწამეცა ვარ. დაიწერა მაისის გასულს, ქორონიკონს (დოკუმენტი ბოლოში დაზიანებულია და ვერ იკითხება)

(საქართველოს ეროვნული არქივი: ფონდი 1449; საბუთი № 642).

XVIII საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში გახიტაშვილთა გვარმოდენილობის მცირე ნაწილი ქვემო ქართლში ჩასახლებული ჩანს.

1721 წელს ქართლის მეფის ვახტანგ VI-ის (ზეობის წლები 1703–1714 (ჯანშინი); 1716–1724 (მეფე)) ბრძანებით, ხელმწიფის (ვახტანგ VI) ვაჟს ვახუშტი ბატონიშვილისა (1696 წ. თბილისი – 1757 წ. მოსკოვი; ცნობილი გეოგრაფი, ისტორიკოსი და კარტოგრაფი) და მდივანს გივი თუმანიშვილს, მეწინავე სადროშოს, საბარათიანოსა და სომხითის (ქვემო ქართლი ნაწილი) აღწერა ჩაუტარებიათ, რომლის დავთარშიც ბაბილაშენს (ბოლნისის მუნიციპალიტეტში, კაზრეთის ხეობაში მდებარე ნასოფლარები, რომელსაც ახლაა სამტრედოს უძახიან ძველად ბაბილაშენი ერქვა) მოსახლე გახიტაშვილთა ერთი კომლი იხსენიება (საბუთი საკმაოდ ვრცელია, ამ-

იქით მოგვაქვს მხოლოდ ბაბილაშენის მოსახლე-თა ნუსხა, რომელშიც გვარსახელი ფიქსირდე-ბა):



ქ. ბაბილაშენს:

ოხლაშვილი პაპუა მოლაშქრე,

**გ ა ს ი ტ ა შ ვ ი ლ ი** სიყმის მოლაშქრე

(ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი: Hd-3017, Hd-1366, Sd-3037).

1726 წელს დაწერილა უცნობი პირის, სახლთუხუც-ესისა (თანამდებობა ფეოდალური საქართველოს სამოხე-ლეო აპარატში) და ამილბარის (თანამდებობა ფეოდალური საქართველოს სამოხელეო აპარატში) მევალეთა ნუსხა, რომელშიც თამაზა **გასიტაშვილიც** იხსენიება:

„ქორონიკონს უიდ (1726 წ.).

ქ. ავილე მე გოჩიაშვილმა ბერმა, თქვენ სახლთუხ-უცესი ამილბარისაგან ხუთი მარჩილი თეთრი, უნდა მოგცე კალოზედ ოცდაათი კოდი პური ბატონის კოდითა.

ქ. პავლემ ავილევ სამი მარჩილი, უნდა მოგცე კოდი პური თრამეტი.

ქ. რამაზამ ცხვარაშვილმა ავილე ექვსი შაური, უნდა მოგცე სამი კოდი პური.

ქ. შაფირმა რამაზამ ავიღე შვიდი აბაზი, უნდა მოგცე თოთხმეტი კოდი პური.

ქ. გასიტაშვილმა თამაზამ ავიღე ორი აბაზი, უნდა მოგცე ოთხი კოდი პური.

ქ. მამასახლისმა გიორგიმ ავიღე რვა აბაზი, უნდა მოგცე თექვსმეტი კოდი პური მამაცაშვილისა ყრუასათვის.

ქ. კიდევ მამასახლისმა გიორგიმ ავიღე ჩემთვის სამი მარჩილი, უნდა მოგცე თვრამეტი კოდი პური.

ქ. იქნა ამის ჯამი კოდი პური ასორმოცს კოდს ერთი კოდ ნაკლები.

ქ. ავიღევით ჩვენ, ალავერდაშვილმა და ცხვარაშვილმა ხოსიამ, სადუნიშვილმა ბეჟანამ, ფიფინაშვილმა ნოდარამ, ოთანაშვილმა დათუნამ, გელიაშვილმა ოთარიმ, ელიაშვილმა გიორგიმ, სოტაშვილმა ბერმა, ტურიაშვილმა გიორგიმ და ერთობილთ მოხელეთ თქვენ, სახლთხუცისგან, ექვსი მარჩილი თეთრი. ამისთვის უნდა მოგცეთ ოცდათექვსმეტი კოდი პური, კიდევ რომ მეორეთ ავიღევით ის არის.



ქ. ხოსიამ ცხვარაშვილმა, თამაზამ, რამაზამ, გოგიამ უნდა ამ ოთხთ ექვსი კოდი პური მოგცეთ. თქვენს ღვინის ფასათ რომ დარჩა.

ქ. კიდევ იქნა ჯამი ასორმოცდახუთი კოდი.

ქ. იქნა სამსავ თამასუქისა ოთხას ხუთი კოდი პური.

ქ. გარსევანისა სპენჯისათვინ უნდა მამცეს ექვსი კოდი.

ქ. სოფლის მოცემული პური კოდია მ (40).

ქ. ბერძენულური თეთრისა პური კოდი ოთხმოცდა ოთხი კოდი.

ქ. იქნა ჯამი სულ პური კოდი ფკია.

ქ. თოთხმეტი კოდი პაპუნაზეა პური და ქერი სარგებელითა.

ქ. ოცი კოდი პური და ქერი ოსიყმეს მოცემული.

ქ. ოცი კოდი პური მსახურებისა მოცემული კოდი პური

ქ. იქნა ხუთასსამოცი კიდი.

ქ. მოხური პურის თამასუქი.

(ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი: Ad–1886).

1730–1750 წლებში უნდა დაწერილიყო ბერუა წერეთელაშვილის მიერ ზაქარია ბიჭიკაშვილისთვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნი, რომელსაც მანძულა გახიჭაშვილიც ამოწმებს:



-ქ. ნებითა და შეწევნითა ღვთისათა ძლიერებითა და ცხოველმყოფელის ჯვარისა წმინდათა, თავთა მოციქულთა პეტრესი და პავლესი-



თა, წმინდათა წინასწარმეტყველთა, მოწამე მღვდელთ მოძღვართა: ბასილი, გრიგოლი და იოვანე ოქროპისართა, წმინდა მოწამე მოსესი და ილიასითა, ესე უკუნისამდე ყამთა და ხანთა გასსათავებელი წიგნი და სიგელი ნასყიდობისა მოგეც მე წერეთელაშვილმა ბერუამა შენ, ბიჭიკაშვილს ზაქარიას, ძმასა შენსა გიორგის, შვილსა შენსა ივანეს, ბერუკას, იასესა, ესტატეს, კახსა. ასე რომ მოგყიდე მიწა დაკიდებულა, თავს შარამდინ, ბოლოს ბეგიაშვილის მიწამდინ. მოგყიდე და ავიღე ფასი სრული და უცვალებელი, რითაც ჩემი გული შეგჯერდებოდა. და ვინაც კაცმა ესე ჩემგან მოცემული წიგნი მოგიშალოს, მასცა რისხავს მამა, ძე და სულიწმინდა. არის ამისი მოწამე თავად ღმერთი და ყოველი მისი წმინდანნი. კაცთაგან: კოშაძე ქიტესა, ყამიტა ამირეზაშვილი, მანძულა **გასიტაშვილი**, ბერია შიოლასშვილი, ბერუა ხუცისშვილი, მე დეკანოზ ფილიპს დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი. ქორონიკონს (საბუთი ბოლოში ვერ იკითხება)

(საქართველოს ეროვნული არქივი: ფონდი 1449; საბუთი № 671).

ადრევე დამკვიდრებულა გახიტაშვილთა გვარმოდენილობის ერთი ნაწილი თბილისს.



XVIII საუკუნის II ნახევარს მიეკუთვნება, თბილისში მსახლობელი საეკლესიო ყმათა არზა, გამოსაღების თაობაზე.

თხოვნაში ქალაქს მცხოვრები გოგია გახიტაშვილიც იხსენიება:

-ქ. ღმერთმან ყოვლად უწმიდესის პატრიარხის ჭირი მისცეს ერთობლივ მემკვიდრესა და ეულს თქვენს ყმათა ქალაქში მსახლობელთ.

მემკვიდრე კაცნი აღარავინ არის, ყველანი ჩვენთავად შამოწირულნი გახლავართ, რაც ჩვენი შეძლება არის უნდა გემსახუროთ.

ვინცავინ სოფლის ხარჯში არ ურევია და ქალაქში თქვენ ყმად იხსენება და არც ჩვენ გვიდგება ხარჯში, თავის შეძლებით უნდა მოგიყენოთ.

არას ქვეყნის თარხანი აღარავინ არის საქართველოში. ზოგი ჩვენი მამასახლისი ათარხნებს, ზოგი სხვანი. და ჩვენ ძალა დაგვემართა მონანი გახლავართ.

ქ. შადინასშვილები მოყალნე.

ქ. თარხან უმორჩილო კაცი.

ქ. ოქანთ სდეფანასშვილი.

ქ. ოზანთ კერძი დავითა.

ქ. შამძლებელი პაპა.

ქ. როსროხანთ პაპას შვილი გოგია.

ქ. ოქინათ ოაჰნეზა.

ქ. ფრანგი პეცრეს შვილები.

ქ. ფეიქარი გრიქოლა.

ქ. ბრმა თათოა.

ქ. ქარშიკა პეცრე.

ქ. სუქანასშვილი.

ქ. ყარაოღლანასშვილი.

ქ. ჟინჟალასშვილი.

ქ. ძეგველასშვილები.

ქ. ოქრომჭედელი ფარსადანა.

ქ. ოქროას შვილები.

ქ. მეთევზე მაქარა.



ქ. ჰასრათასშვილი.

ქ. პარვათასშვილები.

ქ. ქალიკოას შვილები.

ქ. ოანეზა.

ქ. კვეზერლის შვილები.

ქ. ავაქა.

ქ. ფეიქარი სულხანა.

ქ. მეჩახმახე ავექიცა.

ქ. მესანთლე მელქოია.

ქ. ბაყალბაში დანელა.

ქ. უზბაშის შვილები.

ქ. ოქრომჭედელი ლაზარე.

ქ. შაუძლოებელი არის ყუზუნასშვილები.

ქ. ხუდადასშვილი.

ქ. ყაზაზისშვილები

ქ. ნალბანდი.

ქ. ძეგველასშვილი პეტრე.

ქ. ფეიქრები გარეთუბანს.

ქ. მენთოასშვილი

ქ. შაროასშვილები.

ქ. ისაკა ნამამასახლისარი.

ქ. არქელასშვილები.

ქ. ქურქჩი არუთინა.

ქ. ბრმა ოანეზა.

ქ. მაჭანთ სტეფანა.

ქ. გასიტაშვილი გოგია.

ქ. კოსტანასშვილი არუთინა.

ქ. მკალავი ლარიბა.

ქ. მელორე მოსია.

ქ. დაბალი ოსიფასშვილი.

ქ. ჩარხი ბეყანა.



თუ აქამდე ერთი ვისმე ძალა დაუმართოთ და გავიდეს, პასუხის გამცემი ჯარიმით ვიყვანოთ.“



თხოვნას ახლავს პატრიარქის ოქმი:

„ქ. მოქალაქეთა ამ არზით მოუხსენებიათ, ვინცავინ სოფლის ხარჯში არ ურევია და ქალაქში სახლობენ, თავიანთის შეძლებით უნდა მოგვიდგნენ.

მამასახლისო გაბრიელ! თუ ძალა და უსამართლობა დაემართა ვისმეს, შენ გადაახდევინე."

(ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი: Ad-1772).

1756 წლის 10 აპრილს შეუდგენიათ ძმებს, თავად ივანე და დიმიტრი დიასამიძეთა კუთვნილ, საქაშეთსა (სოფელი გორის მუნიციპალიტეტში (ვარიანის თემი). მდებარეობს შიდა ქართლის ვაკეზე) და ბრილს (ბრილი – სოფელი გორის მუნიციპალიტეტში (ქურთის თემი), 1991 წლამდე შედიოდა ცხინვალის რაიონში. მდებარეობს მდინარეების დიდი ლიახვისა და ალმოსავლეთის ფრონის წყალგამყოფის დასავლეთ კალთაზე) მცხოვრებ აზნაურთა და გლეხთა და მათი კუთვნილი მამულთა ნუსხა. თავად დიასამიძეთა გლეხთა სიაში სოფელ ბრილს მოსახლე გიორგი გასიტაშვილიც იხსენიება:

„ქ. ქორონიკონს უმდ (1756 წ.). ივანე დიასამიძის და დიმიტრის, რომელიც ბარათით რგებია სოფლისა საქაშეთ-

სა ამის ქვემოთ დაინუსხება აზნაურნი და გლეხნი თავთავის მამულითა.



ქ. ერთ წილათ საქაშეთს დავითაძე გირგი თავისის ძმისწულებით, დღეს რისაც მქონებელი იყოს, თავისის მამულით ერგო იოვანე დიასამიძეს და ამის ძმას დემეტრეს. ი (10), ქორონიკონს უმდ (1756 წ.).

ქ. ერთს წილად საქაშეთს ნონიაშვილი ოთარა, დღეს რისაც მამულის მქონებელი არის ერგო იოვანე დიასამიძეს და ამის ძმას დიმიტრის. აპრილის ი (10), ქორონიკონს უმდ (1756 წ.).

ქ. ერთ წილად კაკლებს ...შვის მამული ნათიას შვილის გალეგას მამული, ძუძუასშვილის ღვთისიას მამული და ხუცისშვილის შაშის მამული ერგო იოვანეს დიასამიძეს და ამის ძმას დიმიტრის. აპრილის ი (10), ქორონიკონს უმდ (1756 წ.).

ქ. ერთწილათ საქაშეთს ბი...კასშვილი თევდორე თავის მამულით, ამაზე აძეს წითელი მამასახლისის მამული რისიც მქონებელი ყოფილან და არს ერგო იოვანეს დიასამიძეს და ამის ძმას დიმიტრის. აპრილის ი (10), ქორონიკონს უმდ (1756 წ.).

ქ. ერთ წილათ საქაშეთს საბასშვილი ლაზარე დღეს რისაც მამულის მქონებელი არს, თავისის მამულისთ ერგო იოვანე დიასამიძეს და ამის ძმას დემეტრეს. აპრილის ი (10), ქორონიკონს უმდ (1756 წ.).

ქ. ერთ წილათ ხატიას შვილის პეტრეს მამული, რისაც მქონებელი მამულის მქონებელი ყოფილა, ერგო იოვანე დიასამიძეს და ამის ძმას დემეტრეს. აპრილის ი (10), ქორონიკონს უმდ (1756 წ.).

ქ. ერთ წილათ საქაშეთს დავითაძე გირგი თავისის ძმისწულებით, დღეს რისაც მქონებელი იყოს, თავისის მამულით ერგო იოვანე დიასამიძეს და ამის ძმას დემეტრეს. აპრილის ი (10), ქორონიკონს უმდ (1756 წ.).

ქ. ერთ წილათ ჯამასპისშვილის მამული და ძუძუნასშვილის მამუკას მამული და შოშიტას შვილის ბერის მამული, რისაც მქონებელი ყოფილან, ის მამულები ერგო იოვანე დიასამიძეს და ამის ძმას დემეტრეს. აპრილის ი (10), ქორონიკონს უმდ (1756 წ.).



ქ. ერთ წილათ ნასყიდასშვილის მამული საქაშეთს ბიჟით რისაც მქონებელი იყოს, ის მამული ერგო იოვანე დიასამიძეს და ამის ძმას

დემეტრეს. აპრილის ი (10), ქორონიკონს უმდ (1756 წ.).

ქ. მგელაშვილი თავისისი განაყოფით ერთ წილათ ერგო იოვანე დიასამიძეს და ამის ძმას დემეტრეს. აპრილის ი (10), ქორონიკონს უმდ (1756 წ.).

ქ. ერთ წილათ საქაშეთს საბასშვილი გელია, დღეს რისაც მამულის მქონებელი არს, თავისის მამულისთ ერგო იოვანე დიასამიძეს და ამის ძმას დემეტრეს. აპრილის ი (10), ქორონიკონს უმდ (1756 წ.).

ქ. ერთ წილათ ახალკაცისშვილის დალაქის მამული, რისაც მქონებელი ყოფილიყოს, ერგო იოვანე დიასამიძეს და ამის ძმას დემეტრეს. აპრილის ი (10), ქორონიკონს უმდ (1756 წ.).

ქ. ერთ წილათ ზვარის ნახევარი მგელიაშვილისაგან ერგო, იოვანე დიასამიძეს და ამის ძმას დემეტრეს. აპრილის ი (10), ქორონიკონს უმდ (1756 წ.).

ამას ქვემოთ ბრილელნი აზნაურნი და გლეხნი რგებიან მეფის თეიმურაზის ბარათით იოვანე დიასამიძეს და ამის ძმას დიმიტრის რომელნიც ამას ქვემოთ დაინუსხებიან:

ქ. ერთ წილათ ბრილს ადუასშვილის ჯაჯელას მამული რისაც მქონებელი ყოფილიყოს





ერგო იოვანე დიასამიძეს და ამის ძმას დიმიტრის. აპრილის ი (10), ქორონიკონს უმდ (1756 წ.).

ქ. ერთ წილათ ჯონაძე თამაზა დღეს რისაც მამულის მქონებელი არის თავისის მამულით ბრილს ერგო იოვანეს და ამის ძმას დიმიტრის. აპრილის ი (10), ქორონიკონს უმდ (1756 წ.).

ქ. ერთ წილათ ბრილს ენუქასშვილი ოთარი დღეს რისაც მამულის მქონებელი არის თავისის მამულით ერგო იოვანე დიასამიძეს და ამის ძმას დიმიტრის. აპრილის ი (10), ქორონიკონს უმდ (1756 წ.).

ქ. ერთ წილათ ბრილს ბერისშვილი შიო დღეს რისაც მამულის მქონებელი არის თავისის მამულით ერგო იოვანე დიასამიძეს და ამის ძმას დიმიტრის. აპრილის ი (10), ქორონიკონს უმდ (1756 წ.).

ქ. ერთ წილათ ბრილს ბერისშვილი ზაზა დღეს რისაც მამულის მქონებელი არის თავისის მამულით ერგო იოვანე დიასამიძეს და ამის ძმას დიმიტრის. აპრილის ი (10), ქორონიკონს უმდ (1756 წ.).

ქ. ერთ წილათ ბრილს იმერლისშვილი ტეტია დღეს რისაც მამულის მქონებელი არის თავისის მამულით ერგო

იოვანე დიასამიძეს და ამის ძმას დიმიცრის. აპრილის ი (10), ქორონიკონს უმდ (1756 წ.).



ქ. ერთ ნილათ ზრილს ღრუზელასშვილის მამული დღეს რისაც მამულის მქონეზელი ყოფილა კაცია თავისის მამულით ერგო იოვანე დიასამიძეს და ამის ძმას დიმიცრის. აპრილის ი (10), ქორონიკონს უმდ (1756 წ.).

ქ. ერთ ნილათ **გასიცასშვილი** გიორგი დღეს რისაც მამულის მქონეზელი არის თავისის მამულით ერგო იოვანე დიასამიძეს და ამის ძმას დიმიცრის. აპრილის ი (10), ქორონიკონს უმდ (1756 წ.).

ქ. ერთ ნილათ ზრილს ცარუასშვილი გიორგი დღეს რისაც მამულის მქონეზელი არის თავისის მამულით ერგო იოვანე დიასამიძეს და ამის ძმას დიმიცრის. აპრილის ი (10), ქორონიკონს უმდ (1756 წ.).

ქ. ერთ ნილათ ზრილს ათანასესშვილი ზერის მამული, რისაც მქონე ყოფილა ის ერგო იოვანე დიასამიძეს და ამის ძმას დიმიცრის. აპრილის ი (10), ქორონიკონს უმდ (1756 წ.).

ქ. ერთ ნილათ ზრილს ღრუზელასშვილი ანდრია დღეს რისაც მამულის მქონეზელი არის თავისის მამულით

ერგო იოვანე დიასამიძეს და ამის ძმას დიმიტრის. აპრილის ი (10), ქორონიკონს უმდ (1756 წ.).

ქ. ერთ წილათ ბრილს დათასშვილი ბერი დღეს რისაც მამულის მქონებელი არის თავისის მამულით ერგო იოვანე დიასამიძეს და ამის ძმას დიმიტრის. აპრილის ი (10), ქორონიკონს უმდ (1756 წ.).

ქ. ერთ წილათ ბრილს ადუასშვილი გოგუა დღეს რისაც მამულის მქონებელი არის თავისის მამულით ერგო იოვანე დიასამიძეს და ამის ძმას დიმიტრის. აპრილის ი (10), ქორონიკონს უმდ (1756 წ.).

ქ. ერთ წილათ ბრილს ბერავასშვილის მამული, ამაზე აძეს ავთანდილის მიწა, რაც საქარეზე არის ერგო იოვანე დიასამიძეს და ამის ძმას დიმიტრის. აპრილის ი (10), ქორონიკონს უმდ (1756 წ.).

ქ. ერთ წილათ ბრილს წენვას სამძღვრისკენ ზვარი ავის საყარესოთი ბოლოოს მიწით ერგო იოვანე დიასამიძეს და ამის ძმას დიმიტრის. აპრილის (10), ქორონიკონს უმდ (1756 წ.).



ქ. ერთ წილათ ბრილს ენუქასშვილი ოთარი დღეს რისაც მამულის მქონებელი არის თავისის მამულით ერგო

იოვანე დისამიძეს და ამის ძმას დიმიტრის. აპრილის ი (10), ქორონიკონს უმდ (1756 წ.).

ქ. ერთ წილათ ბრილს აზნაური მახვილაძე დავით დღეს რისაც მამულის მქონებელი არის თავისის მამულით ერგო იოვანე დისამიძეს და ამის ძმას დიმიტრის. აპრი-ლის ი (10), ქორონიკონს უმდ (1756 წ.)."

(საქართველოს ეროვნული არქივი; ფონდი 1449; საბუთი № 662).

1774 წლის შემდგომ, ახლო ხანებში უნდა შეედგი-ნათ საქაშეთიდან მორიგე ლაშქარში გამავალ მოლაშქრე-თა სია, რომელშიც ვკითხულობთ (საბუთი საკმაოდ ვრცე-ლია, მოგვაქვს მხოლოდ ის ადგილი რომელშიც **გასი-ტაშვილთა** გვარსახელი ფიქსირდება):

ღვთით მაისში უნდა იყოს მორიგეთ

ქ. საქაშეთიდამ ბრილელი **გასიტაშვილი** არუთინა

ღვთით ენკენისთვეში უნდა იყოს მორიგეთ

ქ. საქაშეთიდამ

ბრილელი **გასიტაშვილი**

გიორგი "

(ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი; Qd-8720).



როგორც საბუთიდან ირკვევა არუთინა და გიორგი **გასიტაშვილთა**



ოჯახები სოფელ ზრილიდან, არცთუ ისე შორეულ წარსულში, ყოფილან საქაშეთს ჩამოსახლებულნი. დოკუმენტში მოხსენიებული გიორგი გასიცაშვილი წინა საბუთში მოხსენიებული ზრილელი გიორგი გასიცაშვილი უნდა იყოს.

XVIII საუკუნის 80-იან წლებს უნდა მიეკუთვნებოდეს ზაქარიას (თავადი ზაქარია ივანეს ძე ციციშვილი; დაბადა: 1759 წელს – გარდაიცვალა 1801 წელს) წილხვედრ, ქართლს მოსახლე გლეხთა ნუსხა, რომელშიც ანდრია გასიცაშვილიც იხსენიება:

„ქართლში სახლობს ზაქარიას წილი გლეხი:

გოჩაშვილი სცეფანე.

გოჩაშვილი თევდორე.

გოჩაშვილი გიორგი.

გოჩაშვილი გლახა.

გონგლიაშვილი გიორგი.

გონგლიაშვილი სესია.

გონგლიაშვილი ბერუა.

ფაფელასშვილი გლახა.

ჯიქურაშვილი პაირსია.

ჯიქურაშვილი ზაქარია.

ჯიქურაშვილი ბასილა.

მთიულიშვილი სესია.

მთიულიშვილი შიო.

მ თ ი უ ლ ი ს შ ვ ი ლ ი

ბერუა.

მთიულისშვილი ნინ-

იასშვილი.

ნადირასშვილი დათია.

ნადირასშვილი ბერუ-

ას შვილი.



ნადირასშვილი იმედას სვილი.

ქერეჭასშვილი ლაზარე.

ფოცხვერაშვილი ზაქარა.

შაყულასშვილი ცეცო.

შავთელასშვილები.

დ..თოძე ცეცია.

ლონლაძე ბერუა.

წიწვიძე სესია.

ცაცობასშვილი ანდრია.

ნაწვლისშვილი ზაქარია.

კოკონა.

ძამანასშვილი ნინია.

დოლენჯისშვილი იოსებ.

დოლენჯისშვილი ალექსი.

ბერიძე გოგილო.

გარდუკეცასშვილი თათულა.

ნეკერასშვილი მოსია.

თათანასშვილი ტეტია.

დაბრუნდასშვილი ზარიძე.

დაბრუნდასშვილი გოგია.

ჭეჭკაძე მანძულა.

მავპეტრიასშვილი დათია.

ქებაძე ნინია.

კალაიჯისშვილები.

ფხოჭიასშვილი გლახა.

ფხოჭიასშვილი რამაზა.

ნაყიმასშვილი გლახა.

მსხალაძე.

ნადირასშვილი სტეფანე.

გასიტასშვილი ანდრია.

ბარკონაშვილი სოსია.

ბელიასშვილი ბერუა.



ყრემისშვილი გოგია.

კუპრაძე.

ზაზიკასშვილი გიგო.

გოგილა ჯავახი.

ბასილა ოსი.

ბულუყმოსიაშვილი სიმონა.

ბულუჭმოსიაშვილი კიკოლა.

ლავურასშვილი კიკოლა.

ჭინჭიხასშვილი ისრელა.

ჭინჭიხასშვილი დათა.

ჭინჭიხასშვილი დანელა.

ნინვოშვილი ბათუა.

ნინვოშვილი აბრამა.

ნინვოშვილი ხახამი.

მოსიასშვილი იოსება.

გარდა აზნაურიშვილებისა გლეხი. იქმნა ჯამი სამოცდან–სამი."

(საქართველოს ეროვნული არქივი; ფონდი 1449; საბუთი № 12).

1790 წლის 26 აპრილი დაწერილა ქართლ–კახეთის მეფის ერეკლე II–ის მიერ იასეს **გასიტაშვილისა** და მისი ძმის ობლებისათვის ბოძებული წყალობის სიგელი, რომლიდანაც ირკვევა, რომ იასეს **გასიტაშვილი** და მისი ძმისწულები, ზაქარია ციცისვილის მოცემული ორი დღის მიწით, რუისის წმიდა ფერისცვალების სახელობის ეკლესიისათვის მიუბარებია და სანაცვლოდ





გარდაცვლილი კათალიკოს ანტონისათვის (ანტონ I (ერისკაცობაში თეიმურაზ ბაგრატიონი) (დაიბადა: 1720 წლის 17 (28) ოქტომბერს – გარდაიცვალა: 1788 წლის 1 (12) მარტს) – ქართველი საეკლესიო და სახელმწიფო მოღვაწე, აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მწერალი, მეცნიერი, ვახტანგ VI-ის ძმის მეფე იესესა და ერეკლე I-ის ასულის ელისაბედის (ელენეს) ვაჟი) და მეფის დის ანნასათვის წირვა დაუვალებია:

„ქ. წყალობითა ღმრთისათა ჩვენ ყოვლისა საქართველოსა და სხვათა მეფემან ირაკლი, ესე წყალობის სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ შენ, **გასიტაშვილს** იასეს ასე, რომ ზაქარია ციცისშვილის ყმა იყავ და ადრევე იმისგან თქვენზე ქმნილის მრავლის უსამართლობისაგან რუისის წმიდის ფერის ცვალების ეკკლესიას შეხიზნოდით, რომელსაც ზაქარია ციცის შვილმა გვიმუხანათა და იმისი ყმა და მამული სახასოთ დაიდვა იმ ჟამად შენი ძმა ოსებს მოეკლათ და შენის ძმის ობლებითურთ არძი მოგვართვი და წმიდის ფერის ცვალობის ეკლესიის შეწირვას დაგვიაჯე ვისმინეთ მოხსენება შენი და შენის ძმის ობლებითურთ და ზაქარიას მოცემულის ორის დღის მიწით შეგწირეთ და მივართვით რუისის წმიდა

ფერისცვალების ეკლე-
სიას სახსად მიცვალე-
ბულთა ჩვენთათვის ასე
რომ, ყოვლის წელი-
წადს ორ დღეს, ერთს
ყველიერის შაბათს და
მეორეს მღთიშობლის
მიცვალების წინა დღეს,
სანაცრელის ჩვენის



ძმის კათალიკოზის ანტონისათვის და აგრეთვე სანაცრელის ჩვენის დის ანნასათვის რუისის მღთეების ეკლესიაში აწირვინებდეთ და ორსავ დღეს შემწირველი სანაცრელს ჩვენს ძმას – კათალიკოზს ანტონს და ჩვენის სანაცრელს დას – ანნას, ორთავ მოიხსენებდეს სანამდისაც თქვენი შთამომავლობა იყოს. ყოვლის წელიწადს დაუკლებლად, ასე აღასრულებდეთ.

აღიწერა შეწირულობის სიგელის ესე ხელითა კარისა ჩვენისა მსაჯულ მდივან ფეშქაშ ნივის სოლომონისათა წელთა ჩღჟ (1790 წ.), აპრელს კვ (26), ქორონიკონს უო□ (1790 წ.).

სანაცრელთა მიცვალებულთა ჩვენთვის რომ წელიწადში ორს დღეს წირვა განგვიწესებია რომელმაც თქვენმა ჩამომავლობამ ეს მოიშალოს იყოს იგი წინაშე მღთისა მოვალე და თანამდებ სანაცრელთა მიცვალებულთა ჩვენთა, ამინ.“

სიგელს უზის ერეკლე II-ის ბეჭედი.

საბუთს ახლავს შემდეგი მტკიცებულებანი:

„ჩვენ ქართლისა და კახეთისა დედოფალი დადიანის ასული პატრონი დარეჯან მისის უმაღლესობისგან შეწირულობასა ამის თანახმა ვართ მაისის კბ (22), ქორონიკონს უო□ (1790 წ.)."

მტკიცებულებას უზის დარეჯან დედოფლის ბეჭედი.

„ჩვენ ყოვლის საქართველოს პატრიარხი მეფის ირაკლის ძე ანტონ მისის უმაღლესობის მეფის შეწირულობის სიგელსა ამას ვამტკიცებთ მაისის კდ (24), წელსა ჩღჟ (1790 წ.)."

მტკიცებულებას უზის ანტონ II-ის (ანტონ II, ერისკაცობაში თეიმურაზ ბაგრატიონი (დაბადება: 1762 წლის 8 იანვარს – გარდაცვალება: 1827 წლის 21 დეკემბერს) – აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი (1788-1811 წლებში), ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე II-ის მეოთხე ვაჟიშვილი მეორე ქორწინებიდან) ბეჭედი.



„მათის იმპერატორების დიდებულების ნებით სრულიად საქართველოს მემკვიდრე და მმართველი მეფის ძე დავით ამ სანატრელის პაპის ჩვენისგან მიცემულს შეწირულობის წიგნს

ვამტკიცებ მარტის ა (1), ქორონიკონსს უპთ (1801 წ.)."

მტკიცებულებას უზის დავით ბატონიშვილის (დავით ბაგრატიონი (დაიბადა: 1767 წლის 1 ივლისი, თბილისში – გარდაიცვალა: 1819 წლის 13 (25) მაისს, პეტერბურგში), გიორგი XII-ის უფროსი ძე, ქართლ-კახეთის სამეფოს გამგებელი 1800-1801 წლებში) ბეჭედი.

(ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი; Ad-1502:28 და საქართველოს ეროვნული არქივი; ფონდი 1449; საბუთი № 2534).

1790 წლის 24 მაისს იასე **გასიტაშვილსა** ყმობის თაობაზე ერეკლე II-ისათვის არზით მიუმართავს:

„ქ. ღმერთმან ბედნიერი ხელმწიფის ჭირი თქვენგან შეწირულს რუისის მღთეების ყმას **გასიტაშვილის** იესეს მოსცეს.

ამას მოვახსენებ: რადგან რომ ამ ეკლესიას შემწირეთ, ამ წყალობას ვითხოვ: საციციანო მოხელეებს ჩემთან ხარჯის სათხოვნელათ ხელი არ ჰქონდესთ, რისაც შემძლებელი ვარ, ეკლესიის საყმოში ვემსახურები.

მერე ასე, რომ: ჩემგან აშენებული ვენახი მეჭირა, რომ წრეულობით არა წამართვან რა და შემოდგომის იქით მე შიგ აღარ გავივლი.





ამის ოქმის წყალობა ცეცია კალაცოზის შვილზე მიყავთ, რომ წინამძღვრიშვილმა ნუხება არა დამანყებინოს რა და ჩემი თავი ეკლესიას არ დაუკარგოს. უნდა თქვენს სადღეგრძელოთ ეკლესიის კარზედ გახლდეთ. მაისის კდ (24), ქორონიკონს უო□ (1790 წ.)."

მეფეს ორ დღეში თხოვნისათვის ოქმი დაუდია:

-ქ. ჩვენი ბძანება არის, რომელიც ზაქარია წიწისშვილის ყმისა და მამულის აზნაურშვილები და მოხელენი იმყოფებით, ამ გასიცაშვილთან თქვენ საქმე არა გაქვთ რა. ხარჯიც ეკლესიის ყმებთან უნდა აძლიოს და რადგან უმამულოდ შევსწირეთ ეკლესიასა, წელს კი თავისი შემუშავებული ვენახი უნდა მოისთლოს და შემოდგომაზე უნდა აიყაროს და ეკლესიის მამულში უნდა დასახლდეს და თავის მამულზე ხელი აიღოს. მაისის კვ (26), ქორონიკონს უო□ (1790 წ.).

მე შემიწირავს და ველარ გამოვწირავ."

ოქმს უზის ერეკლე II-ის ბეჭედი.

(ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი: Ad-1502:32).

1793 წლის 8 მარტს იასე გაბიჭაშვილს ყმობის თაობაზე ერეკლე II-ისათვის კვლავ არზით მიუმართავს:



-ქ. ღმერთმან ბედნიერის ხემწიფის ყირი თქვენგან შეწირულს რუისის მღთეების ყმის გაბიჭაშვილს იესეს მოსცეს.

საყვარელი თქვენის დის ანას და კათალიკოზის სახელზე შეწირული გახლავარ, რომ წელიწადში ორი წირვა მაძევს თქვენგან იმ სანაცრელით მიცვალებულთათვის. ზაქარიას რაც ყმა ჰყავდა რუისში და ანდუყაფარს რომ ებოძა, მღთეების შეწირულს გარდა, მიბოძებია.

ახლა ჩემი ძმისწულებიც გადამიბირა ლუკა წინამძღვრიშვილმა თქვენგან შეწირული და თავისთვინ დაიჭირა. ორის დღის ნასყიდი მიწა მქონდა, შეწირულობაში შიგ მეწერა, ის წამართვა, ნასყიდი ქვევრები მქონდა, ისიც წამართვა, ასე ცარიელი გამომაგდო. ახლა კიდევ ასაყრელს ნუსხაში დაუწერივარ. ოქმიც მებოძა, შეწირულობას გარდა, რომ ჩემზე ხელი უნდა აელო ლუკასა

ერთი ბრმა და შეუძლებელი კაცი გახლავარ მწარედ ღარიბი. ღმერთი გაგაძლიერებთ, დამიხსენ ამ ლუკას ხე-

ლოიდამ და ეკლესიას წყლარ გამომწირამთ, თორე დაკარგვის მეტი ლონე ალარ მაქვს, მარტის □ (8), ქორონიკონ უპა (1793 წ.).”

მეფეს იმავე დღეს თხოვნისათვის ოქმი დაუდია:

„ქ. ჩვენი ბძანება არის, მერე ეს გასიტაშვილი იესე სანატრელი ჩვენის დის – ანასათვის და სანატრელის ჩვენის ძმის, მისის უწმინდესობისა ანტონისათვის რუისის ეკლესიის მლთეუბის სიგელით შევსწირეთ უმამულოდ. ამასთან ეკლესიასა გარდა საბატონყმოთ ხელი არავისა აქვს და ხარჯიც თავის შეძლებით ეკლესიის ყმასთან უნდა გაიღოს.

წინამძღვრიშვილო ლოუა! ამას წყლარ აწუხებ, თორემ დიდათ გიწყენთ. მარტის □ (8), ქორონიკონ უპა (1793 წ.).

უმამულოდ შეგვიწირავს ეკლესიისათვის, როგორც ჩვენგან ბოძებულს სიგელში აცხადებდეს.”



ოქმს უზის ერეკლე II-ის ბეჭედი.

(ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი: Ad-1502:33).

1794 წლის 27 თებერვალს იუსტინე მროველს (იუსტინე მალალაძე (მალალაშვილი); (მროველად ზეობის

წლები 1791-1811) – ორგანიზატორის ნიჭით გამორჩეული, ტაძრის ინტერიერის შემკეთებელი, გორის „სობორის" საფუძვლის ჩამყრელი. მანამდე იყო ურბნელი; მროველობისას გარკვეულ პერიოდში ითავსებდა ქართლის (სამთავროს) მთავარეპისკოპოსობას და შემდეგ – ნიქოზელობას) ყმის, იესე **გასიტაშვილის** თაობაზე ერეკლე II-ისათვის არზა მიურთმევია:

„ქ. ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ყირი მისცეს მათს მრავალ მლოცველს მროელ იუსტინეს.

მერე ამას მოვახსენებ მათს უმაღლესობას, უწინარეს ჩემს მროვლობამდის თქვენს უმაღლესობას ერთი კომლი ზაქარიას ნაყმევი უმამულო კაცი იესე **გასიტაშვილი** თავის ძმისწულებით ღვთაების ეკლესიისათვის შეგიწირავთ. ნეტარხსენებულის თქვენის ძმის კათალიკოზის და ნეტარად ხსენებულის თქვენის დის ანნას სახელზედა და წელიწადში ორი წირვა გიბძანებიათ მათთვისა. და თქვენის უმაღლესობის ოქმებიცა აქვს, რაც შეეძლოს ეკლესიის ყმასთან უნდა გამოიღოს ხარჯი თავის შეძლებით. ძმისწულები ამ კაცისა ეკლესიას არ დაანება და თვითუნ იმსახურებს ლუკა წინამძღვრიშვილი.





ეს იესე ერთი ნასალნაქნარი კაცი არის, რაც შეუძლიია ხარჯს ეკლესიის ყმასთან იღებს. შარშან ერთი სია მერთმევნია ლუკა ნინამძღვრისშვილს ზაქარიას ნაყმევს კაცების აყრისა და ეს კაციც შიგ ჩაეტანებინა. იასაულები მოვიდნენ, აყრა დაუპირეს, ასაყრელად არ დავანებე და საიასაულო ცამეტი აბაზი მე მივე, რომ ის კაცი გლახა არის.

მას უკან კიდევ იასაულები გამოუშვია და იმისი სალეკოც მე გამომართვეს. წლეულ კიდევ სია მოურთმევია სურსათისა და კიდევ ის კაცი შიგ ჩაეწერა იმ სიაში და ექვსი კოდი დაეწერა ჯაბრითა. თქვენი ოქმი უჩვენე იასაულებს, მულათი ვთხოვე თქვენად მოხსენებამდინ და მულათი მამცეს და საიასაულო სამი აბაზი მივე.

თქვენი უმაღლესობის ბძანება ასე არის, თუ შეუძლიან, რომე ეკლესიის ყმასთან უნდა მემსახუროს.

ამ წყალობას ვითხოვ თქვენ სადღეგრძელოთ: რადგან ამ ეკლესიისათვის მიგირთმევიათ და თქვენის მიცვალებულთათვის მოსახსენებლად შეგვიწირავთ, თქვენი შეწირულობის გუჯარი ამ ოქმმა დაამტკიცოს. და იმ ეკლესიას თვისის ძმისწულებით დანებდეს. და ლუკა ნინამძღვრიშ-

ვილს ებძანოს ამ კა-
ცებს დაეხსნას და ნულარ
ანუხებს ყოველთვის.



ერთი ოქმი გვებო-
ძოს, რომ ლუმაც ხელი
აილოს და ვინც
მოასილნი მოვიდნენ
თქვენის ბძანებით,
თქვენი ოქმი რომ რომ
უჩვენონ, იმათაც ხელი აილონ, რომ ყოველთვის იმ კაცებს აღარ ანუხებდნენ. ფებერვლის კზ (27), ქორონიკონს უპბ (1794 წ.)."

იმავე წლის 1 მარტს ხელმწიფეს თხოვნისათვის ოქმი დაუდვია:

„ქ. ჩვენი ბძანება არის. მერე მისს ყოვლად სამღდელოებას ამ არზით რომ მოუხსენებია, ის კაცი – **გასიტაშვილი** იესე თავისის ძმისწულებით ამას წინათ რომ ღმრთეების ეკლესიას შევწირეთ და ეკლესიას შეწირულობის გუჯარი მივართვი, ჩვენ იმ გუჯრის მოშლა და იმ კაცის გამოწირვა არ შეგვეძლიან. როგორც შევწირავს, ისე იმ ეკლესიის ყმად და საჩვენოს თუ საქვეყნოს ხარჯს თავის შეძლებით ეკლესიის ყმასთან უნდა გამოიღებდეს.

ლუა ნინამძღვრიშვილი რომ აწერს სადმე გამოსალებს, ამ ბძანების შემდგომად ასე იცოდეს, რომ თუ

კიდევ გამოსავლები რამ სთხოვა ლუკამ, ჩვენი სანყენი იქნება და არც უყაბულებით. ამ კაცთან ეკლესიის მეტს საბატონოდ საქმე არ აქვს, და რომელნიც მოასილნი იქნებოდეთ ან ჩვენი და ჩვენის შვილისა, იმათაც ასე იცოდენ და ამ ჩვენის ბძანებას ასე აღასრულებდეთ.

და თუ ამ ბძანების წინააღმდეგობა იხმარონ რამე იმ მოასილოთ, გალახვით და ავათ მოპყრობით უნდა გაისტუმროთ, ამისთვის რომ ეკლესიის ყმობით უნდა გამოერთვას გამოსავლები. და სხვის ყმობის გამო არ იქნება ამის ხარჯის გამოღება.

ამირეჯიბო მინბაშო ზაზავ! წინამძღვრიშვილის ლუკას ჩვენი ბძანება ასე უნდა გამოუცხადო. და იმ **გასიტაშვილის** ძმისწულები რომ ნაუყვანია, ისინი უნდა გამოართვა. და როგორც შეგვიწირავს, ისევ ისე ეკლესიის ყმად დასდვა. მარტის ა (1), ქორონიკონს უპბ (1794 წ.)."

ოქმს უზის ერეკლე მეფის ბეჭედი შემდეგი წარწერით: „ქნარს მიცემს დავით მიხმობს ზედ კახეთის მეფედ ცხებული. ერეკლე"



(საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი; ფონდი 1449; საბუთი № 2539. ხელნაწერთა ერთეუ-

ლი ცენტრში Ad-1502:34 ნომრით დაცულია ზუსტად იგივე შინაარსის დოკუმენტის პირი, რომელიც 1795 წლითაა დათარიღებული).

XVIII საუკუნის ბოლო პერიოდს უნდა მიეკუთვნებოდეს ქართლში მცხოვრებ, სავარაუდოდ თავად ციციშვილთა, აზნაურიშვილთა, გლეხთა და ებრაელთა ნუსხა. სიაში ანდრო გასიტაშვილიც იხსენიება:

„ქართლში ესენი სახლობენ. რაც ამაში სწერია აზნაურიშვილი და გლეხი და ურია.

წინამძღვრიშვილი დომეტი.

წინამძღვრიშვილი გიგა.

გვერნითელი გოგია.

კიდევ გვერნითელი გოგია.

ქურდევანიძე გლახა.

ჩინჩალაძე იასე.

იმის ძმის წული.

ჩაკასშვილი.

ყინყიხასშვილი ისრელა.

ყინყიხასშვილი დათა.

ყინყიხასშვილი დანელა.

წინვაშვილი ბათუა.

წინვაშვილი აბრამა.





ნინუაშვილი ხახამი.

მოსიასშვილი იოსე-ბა.

გორჩასშვილი სტე-ფანე.

კიდევ გორჩასშვილი თევდორე.

გორჩაშვილი გლახა.

გონგლიაშვილი გიორგა.

გონგლიაშვილი სესია.

გონგლიაშვილი ბერუა.

ფაფელასშვილი გლახა.

ჯიქურაშვილი პაქსია.

ჯიქურაშვილი სესია.

ჯიქურაშვილი ბასილა.

მთივლისშვილი სესია

მთიულიშვილი შიო.

მთიულისშვილი გოგიას შვილები.

მთიულისშვილი ნინიას შვილები.

ნადირასშვილი დათია.

ნადირასშვილი ბერუას შვილი.

ნადირასშვილი იმედას შვილი.

ქერეჟასშვილი ლაზარე.

ფოცხვერაშვილი ზაქარა.



ფოცხვერასშვილი ნინია.

შაყულასშვილი ნინია.

შავთელასშვილები.

დავითაძე ცეცო.

ლონლაძე ბერუა.

წიწვიძე სესია.

ცაცორბასშვილი ანდრია.

ნაცვლისშვილი ზაქარია.

კოკონა.

ძამანასშვილი ნინია.

ზურაბაშვილი ნიკოლოზ მღვდლის შვილები.

ბერიძე გოგილა.

გარდუკეცასშვილი თათულა.

ნეკერასშვილი მოსია.

თათანასშვილი ცეცია.

დაბრუნდასშვილი ზარიძე.

დაბრუნდასშვილი გოგია.

ჭეჭვაძე მანძულა.

შავპეცრიასშვილი დათია.

კალაიჯისშვილები.

ფხაჭასშვილი გლახა.

ფხაჭასშვილი რამაზა.

ნაყიბასშვილი გლახა.

ქებაძე ნინია.

მსხალაძის შვილები.

ნადირასშვილი ნინია მოკვდა.

გასიტასშვილი ანდრო.

ბანკანაშვილი გლახა.

ჩინელიძე ივანე

ბელიასშვილი ბერუა.

ურემისშვილი (ერემასშვილი) გოგია.

კუპრაძე ბერუა.

ზაზიკასშვილი გიგო.

გოგილა ჯავახი.

ბასილა ოსი.

ბულუჟმოსიაშვილი სიმონა.

ბულუჟმოსიაშვილი კიკოლა.

ლაგურასშვილი კიკოლა.



ახალკაციშვილი.

(საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი: ფონდი 1449; საბუთი № 13).

XVIII საუკუნის ბოლო პერიოდს უნდა მიეკუთვნებოდეს თავად ციციშვილთა ყმების

ნუსხა, რომელშიც რუისს მოსახლე ანდრია და სესია გასიტაშვილნიც იხსენიებიან:

-აზნაურიშვილები:

ქ. ნინამძღვრიშვილი ლუკა.

კიდევ ნინამძღვრიშვილი გრიგოლ.

ამათი ყმა ეს არის:

სულემანასშვილი გოგია.

კდევ სულემანასშვილი გლახა.

კიდევ სულემანასშვილი სეხნია.

კიდევ ახალკაცები ორივე კომლი.

კიდევ ქიტასშვილი ნაყიშა.

კიდევ ზაქუტასშვილი გოგილა.

ესენი მარტო ლუკას უჭირამს.

ახლა მეორეს სახლის კაცის ყმა ესაა:

ჩინელიძე ივანე.

ბანკანასშვილი ივანე.

კიდევ აზნაურიშვილები:

გვერნითელი გოგია.

კიდევ გვერდნითელი სვიმონა.

ამათი კაცი გოგბერძე.

ქურდევანიძე გლახა.





ქურდევანიძე ქაიხოსრო.

ამისი ყმა ბერისშ-ვილი.

კიდევ ამისი ყმა ბერისშვილი.

კიდევ ამისი ყმა ჯეჯვაძე მანძულა.

ჩინჩალაძე იასე, კიდევ ამის ძმისწული.

ჩავასშვილი (ჩაკაშვილი) გოგია.

აზნაურისშვილიები და ზურაბიშილეების ..მა ეს არი ყმები.

ახლა ურიები ეს არის:

ჯინჯიხასშვილი ბაბათა.

ნინვასშვილი ბათუა.

კიდევ ნინვაშვილი მარდახა.

ახლა სახასო გლეხი კაცი ეს არი:

ქარელში სახლობენ:

გოჩაშვილი სცეფანე.

კიდევ გოჩაშვილო თევდორე.

გოჩაშვილი გლახა.

კიდევ გიგოლასშვილი ზაზა.

ნადირაშვილი ივანე.

ნადირაშვილი ბერუა.

გონგლიაშვილი გიორგა.

გონგლიაშვილი სე-სია.

გონგლიაშვილი ბერუა.



ფაფელასშვილი ნინია.

ჯიქურაშვილი პაქ-სია.

ჯიქურაშვილი სესია.

ჯიქურაშვილი ბასილა.

ქერეჟასშვილი ლაზარე.

მთივლისშვილი ნინუა.

მთივლისშვილი ელისე.

მთივლისშვილი გოგია.

მთივლისშვილი შიუკა.

ფცქიალაძე ჩეჩო.

ლაგურასშვილი ბერუა.

ლაგურასშვილი რამაზა.

ლაგურასშვილი კიკოლა.

შაყულასშვილი ნინია.

დათია.

დავითაძე ჩეჩო.

ლონლაძე ბერუა.

წიწვიძე სესია.

ტატობაშვილი ანდრია.

ფოცხვერაშვილი ზაქარია.

კიდევ ფოცხვერაშვილი ნინია.

ბაბილოძე ბერუა.

ნადირასშვილი ნინია.

მსხალაძე თევდორე.

გარეული ბესია.

გოგინასშვილი გოგია.

ნაცვლისშვილი დათა.

..ინდიძე დათა.

ბარდანასშვილი კოკინა.

ძაძუასშვილი ბალდასარა.

ძამანასშვილი თევდორესშვილი.

კიდევ ბერუასშვილი.

ზურაბასშვილი ღვდელი ნიკოლოზ.



კიდევ ზურა-
ბასშვილი გოგია.

ბერიძე ნინია.

გარდუკეტასშვილი.

ნანასშვილი თედია.

ნეკერა სვიმონა.

თათხაშვილი ტეტო.

ჯანბაზიშვილი.

მელაძე ბერუა.

დაბრუნდას პეტრე.

ასპინძელაშვილი (მასპინძელაშვილი) დათუა.

კიდევ ასპინძელაშვილი.

გზირიშვილი მარკოზა.

თევლიასშვილი ღვთისა.

ვანიასშვილი გოგია.

გუთნისდედისშვილი თევდორე.

დავითა ვალი...

შავდელაშვილი ნინია.

სახლობს რუისს:

მედოსშვილი ივანე.

გოგინასშვილი გიორგი.

ყენასშვილი ბეყანა.

კიდევ ყენასშვილი ომანა.

კიდევ ყენაშვილი ივანა.

**გასიცაშვილი ანდრია.**

**გასიცაშვილი** სესია.



ქენქაძე.

ლოწულასშვილი.

კიდევ ლოწულასშვილი

კიდევ ლოწულასშვილი.



კიდევ ლოწყლასაშვილი.

ბაციყლოფასშვილი.

დღეს სახლობენ:

ცლოაშაძე მღდელი ივანე.

კიდევ ცლოაშაძე იასე.

ხერიკასშვილი ბეჟანა.

ნერუასშვილი გოგია.

ნერუასშვილი ივანე.

გეგელასშვილი ლაზარე.

აბრამიშვილი გოგია.

კიდევ აბრამიძე ბერუა.

გეგელას ძმის წული ბერუა.

ლაზარისშვილები.

კიდევ ლაზარასშვილები.

ცენცრაშვილი იასე.

მეზრისშვილი ნინია.

ჯობინასშვილი.

კიდევ ჯობინასშვილი.

ფეიქრისშვილი შიო.

კიდევ ფეიქრისშვილი ნინია.

კიდევ ურბნისს სახლობს კაცი:

ქობულასშვილი ნინია.

მაზმისშვილები.

დურგალი იოსებ.

ბირჩარჩი პაპა.



სულ ქალანთარისაგან არის მიმაგრებული და ნაშოვნი.

ახლა სულ ჩემები, ივანეს შვილმა დაკარგა ზაქარიამ (ციციშვილი). ჯამი სულ არს რკ (120)."

(საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი: ფონდი 1449; საბუთი № 869).

XVII საუკუნის II ნახევრიდან მოყოლებული, ვიდრე XIX საუკუნის დასაწყისამდე შემდგარ სიგელ-გუჯარში გახიტაშვილნი ჩანან ვითარცა მოწმენი და მისანდონნი ქართლის მეფეთა, ბატონიშვილთა, თავადთა, აზნაურთა და უაზნოთა.

ღმრთისა და საქართველოსა და ბაგრატიონთა ტახ-ტის ძლიერებისათვის გახიტაშვილთა საგვარეულოს მეომ-რები კომლზე კაცად გამოდიოდნენ - ქართლის სამეფო ლაშქარში: შუამდგომ, მეფის ალმის მპყრობელ და მე-მარჯვენედ მიმხვლელ-მცემელთა სადროშოებში - თავად ციციშვილთა და ამილახვართა დროშებს ქვეშ.

ქართლ-კახეთში რუსთა იმპერიის ბატონობის ჟამს შემდგარ მრავალ საეკლესო ჩანაწერში, კამერალურ აღ-

წერასა და სხვადასხვა სახის დოკუმენტაციაში იხსენიება **გასიტაშვილთა** გვარმოდენილობა.

ქვემოთ მოვიტანთ XIX საუკუნეში შედგენილ საბუთს, რომლებიც ეგზომ საინტერესოა **გასიტაშვილთა** საგვარეულო ისტორიისათვის.

1859 წელს რუს ჩინოვნიკთ, შიდა ქართლში, მორიგი კამერალური აღწერა ჩაუტარებიათ. აღწერის დავთარში სოფელ რუისს მცხოვრებ საეკლესიო გლეხთა შორის **გასიტაშვილნიც** იხსენიებიან:

კომმერალნის აღწერა ხალხთათვის, გორის უეზდის, სურამის უჩასტკის, სოფლისა რუისის მცხოვრებთა 1859 წელსა, იანვრისა თთუესა შინა

გლეხნი საეკლესიონნი საეკლესიოს ადგილთა ზედა მდგომარენი:

დათა გიორგის ძე **გასიტაშვილი** - 56 წლის.

შვილნი ამისი: სტეფანე - 19 წლის.

მიხეილ - 14 წლის.

პავლე - 12 წლის.

პეტრე - 9 წლის



გიგუა გიორგის ძე **გასიტაშვილი** - 30 წლის.

შვილნი ამისნი:

ტატო - 11 წლის.

ხოსია - 8 წლის.

გიორგი - 6 წლის.

მეხარიონ - 4 წლის

გაბრიელ გიორგის ძე გასიცაშვილი - 35 წლის.

შვილიამისი სოლომონ - 2 წლის



ზაქარია თევდორეს ძე გასიცაშვილი - 30 წლის.

შვილი ამისი თევდორე - 4 წლის.

ძმა ზაქარიასი ლევანი - 27 წლის

პეტრე ნიკოლაოზის ძე გასიცაშვილი - 35 წლის.

შვილი ამისი ზაქარია - 4 წლის

დიმიტრი ფირანის ძე გასიცაშვილი - 27 წლის.

შვილი ამისი გიორგი - 3 წლის.

ძმანი დიმიტრისანი: გიგო - 14 წლის.

პავლე - 11 წლის

სიკა კიკოლას ძე გასიცაშვილი - 40 წლის

ნინიკა სვიმონის ძე გასიცაშვილი - 30 წლის.

ძმა ამისი თვდორე - 21 წლის

(საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი; ფონდი 254; აღწერა № 2; საქმე № 477).

1873 წელს რუს ჩინოვნიკთ, შიდა ქართლში, მორიგი კამერალური აღწერა ჩაუტარებიათ. აღწერის დავთარში სოფელ სკრას მცხოვრებ გლეხთა შორის **გასიტაშვილთა** ორი კომლი იხსენიება:

გიორგი დავითის ძე **გასიტაშვილი** – 50 წლის.
მისი ვაჟიშვილები: ქრისტესია (ქიტესა) – 24 წლის,
ფეოდორი (თევდორე) – 19 წლის,
სიმონი – 16 წლის,
იოსები – 5 წლის.
გრიგორი დავითის ძე **გასიტაშვილი** – 34 წლის.
მისი ვაჟიშვილები: ნიკოლოზი – 7 წლის,
მიხეილი – 2 წლის.
გრიგორის ძმები:
გაბრიელი – 24 წლის,
ანდრეი – 20 წლის...“



(საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი; ფონდი 254; აღწერა № 3; საქმე № 153).

1886 წელს რუს ჩინოვნიკთ, შიდა ქართლ-



ში, მორიგი კამერალური აღწერა ჩაუტარებით. აღწერის დავთარში ხევდურეთის სასოფლო საზოგადოების სოფელ სკრას მცხოვრებ გლეხთა შორის **გასიტაშვილ**თა უკვე ხუთი კომლის ჩაწერილი:

ქრისტესია გიორგის ძე **გასიტაშვილი** – 37 წლის.

მისი ვაჟიშვილები:

ივანე – 8 წლის,

ზაქარია – 6 წლის,

დავითი – 4 წლის.

მისი ცოლი:

მელანია ივანეს ასული – 32 წლის.

მათი ქალიშვილი:

ქეთევანი – ახალშობილი.

თევდორე გიორგის ძე **გასიტაშვილი** – 34 წლის.

მისი ვაჟიშვილი:

გიორგი – 5 წლის.

მისი ძმები:

სიმონი – 30 წლის.

იოსები – 18 წლის.

მისი ცოლი:

პელაგია ზაქარიას ასული – 27 წლის.

მისი ქალიშვილები:

ელიზაბეთი – 7 წლის,

ანნა – 3 წლის.



მისი რძალი:

ანასტასია გრიგოლის ასული – 25 წლის.

მისი ბიძაშვილი:

სოფია სიმონის ასული – 5 წლის.

მისი დედა:

ნინა გაბრიელის ასული – 62 წლის.

მისი დეიდა (ან ბიცოლა):

ანნა დავითის ასული – 63 წლის.

ნიკოლოზ გრიგოლის ძე **გასიცაშვილი** – 20 წლის

მისი ძმა:

მიხეილი – 14 წლის.

მისი და:

ბაბალე – 10 წლის,

მარია (მარიამი) – 5 წლის.

მისი დედა:

სოფია პეტრეს ასული – 43 წლის.

გაბრიელ დავითის ძე **გასიცაშვილი** – 37 წლის.

მისი ვაჟიშვილი:

ალექსი – ახალშობილი.

მისი ცოლი:

ეფემია გაბრიელის ასული – 30 წლის.

ქალიშვილი:

ნინო – 5 წლის.

ანდრეი დავითის ძე გასიცაშვილი – 33 წლის.

მისი ვაჟიშვილი:

ვასილი – 7 წლის.

მისი ცოლი:

ანნა სვიმონის ასული – 26 წლის.

მისი ქალიშვილი:

ელისაბედი – 5 წლის

(საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი; ფონდი 254; აღწერა № 3; საქმე № 1700).



XIX საუკუნის სხვადასხვა პერიოდიდან, საქართველოს ყველა მოქმედ ეკლესიაში იწარმოებოდა მრევლის დაბადების, ნათლობის, ქორწინების და გარდაცვალების აღრიცხვა. ჩვენთვის საინტერესოა შიდა ქართლის მოსახლე



**გასიტაშვილთა** საგვარეულოს წევრთა მიერ დასახლებული სოფლების ეკლესიათა „მეტრიჩესკის წიგნში" გაკეთებული ჩანაწერები (აღსანიშნავია, რომ სოფელ სკრის ეკლესიაში გაკეთებულ ჩანაწერთა უმრავლესობა დაკარგულია):

„მეტრიჩესკის წიგნი მიცემული საქართველო-იმერეთის უწმინდესის მმართებლის სინოდის კანცელარიითგან გორის უეზდის, სურამის უჩასტკის სოფლის სკრის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიასა შინა ჩასაწერლად - დაბადებულთა, ქორწინებით შეუღლვილთა და გარდაცვალებულთასა.

1862 წელი.

დაბადებულთათვის:

21 სექტემბერს დაბადებულა ივანე **გასიტაშვილი**. მშობლები: გორის უეზდის სოფელ სკრაში მცხოვრები გლეხი გრიგოლ დავითის ძე **გასიტაშვილი** და სჯულიერი ცოლი ამისი მარიამ იოსების ასული. ორივე მართლმადიდებელი სარწმუნოებისა.

(საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი; ფონდი № 489; ანაწერი № 6; საქმე № 1530).

1863 წელი.

დაბადებულთათვის:

12 ნოემბერს დაბადებულა დავით გასიცაშვილი. მშობლები: გორის უეზდის სოფელ სკრაში მცხოვრები გლეხი გიორგი დავითის ძე გასიცაშვილი და სჯულიერი ცოლი ამისი ნინო თევდორეს ასული. ორივე მართლმადიდებელი სარწმუნოებისა.

(საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი; ფონდი № 489; ანაწერი № 6; საქმე № 1606).

1865 წელი.

22 მარტს დაბადებულა ნიკოლოზ გასიცაშვილი. მშობლები: გორის უეზდის სოფელ სკრაში მცხოვრები გლეხი გრიგოლ დავითის ძე გასიცაშვილი და სჯულიერი ცოლი ამისი მარიამ იოსების ასული. ორივე მართლმადიდებელი სარწმუნოებისა.

დაქორწინებულთათვის:



14 ნოემბერს დაქორწინებულან: სოფელ რუისში მცხოვრები ივანე სვიმონის ძე გასიცაშვილი, მართლმადიდებელი, მეორე ქორწინებით, ლე (35) წლისა და სოფელ სკრაში მცხოვრებელი

გლეხის, გიორგი გასიტაშვილის ასული ელისაბედ მართლმადიდებელი, პირველი ქორწინებით, იზ (17) წლისა.



(საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი; ფონდი № 489; ანაწერი № 6; საქმე № 1749).

1867 წელი.

დაბადებულთათვის:

4 სექტემბერს დაბადებულა დარია გასიტაშვილი. მშობლები: გორის უეზდის სოფელ სკრაში მცხოვრები გლეხი გრიგოლ დავითის ძე გასიტაშვილი და სჯულიერი ცოლი ამისი მარიამ იოსების ასული. ორივე მართლმადიდებელი სარწმუნოებისა.

(საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი; ფონდი № 489; ანაწერი № 6; საქმე № 1895).

1890 წელი.

დაბადებულთათვის:

14 ნოემბერს დაბადებულა ელენე გასიტაშვილი. მშობლები: გორის უეზდის სოფელ სკრაში მცხოვრები გლეხი ანდრია დავითის ძე გასიტაშვილი და სჯულიერი

წოლი ამისა ანნა სვიმონის ასული. ორივე მართლმადიდებელი სარწმუნოებისა.



7 აგვისტოს დაბადებულა ისაკ **გასიტაშვილი**. მშობლები: გორის უეზდის სოფელ სკრაში მცხოვრები გლეხი სვიმონ გიორგის ძე **გასიტაშვილი** და სჯულიერი წოლი ამისა ტასია გიგას ასული. ორივე მართლმადიდებელი სარწმუნოებისა.

5 ოქტომბერს დაბადებულა მარიამ **გასიტაშვილი**. მშობლები: გორის უეზდის სოფელ სკრაში მცხოვრები გლეხი თევდორე გიორგის ძე **გასიტაშვილი** და სჯულიერი წოლი ამისა მელანია ზაქარიას ასული. ორივე მართლმადიდებელი სარწმუნოებისა.

(საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი; ფონდი № 489; ანაწერი № 6; საქმე № 1363).

1891 წელი.

დაბადებულთათვის:

3 თებერვალს დაბადებულა ნადეჟდა **გასიტაშვილი**. მშობლები: გორის უეზდის სოფელ სკრაში მცხოვრები გლეხი ქიტესა გიორგის ძე **გასიტაშვილი** და სჯულიერი წოლი ამისა მელანია ივანეს ასული. ორივე მართლმადიდებელი სარწმუნოებისა.

4 ოქტომბერს დაბადებულა დიმიტრი **გასიტაშვილი**. მშობლები: გორის უეზდის სოფელ სკრაში მცხოვრები გლეხი გაბრიელ დავითის ძე **გასიტაშვილი** და სჯულიერი წოლი ამისი ბარბარე გაბრიელის ასული. ორივე მართლმადიდებელი სარწმუნოებისა.

გარდაცვალებულთათვის:

14 ნოემბერს გარდაცვლილა გრიგოლ ნიკოლოზის ძე **გასიტაშვილი** 2 წლის, ყვავილით.

19 ნოემბერს გარდაცვლილა ილია ნიკოლოზის ძე **გასიტაშვილი** 1 წლის.

(საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი; ფონდი № 489; ანაწერი № 18; საქმე № 1364).

1892 წელი.

დაბადებულთათვის:

1 იანვარს დაბადებულა ბარბარე **გასიტაშვილი**. მშობლები: გორის უეზდის სოფელ სკრაში მცხოვრები გლეხი სვიმონ გიორგის ძე **გასიტაშვილი** და სჯულიერი წოლი ამისი ტასია გაბრიელის ასული. ორივე მართლმადიდებელი სარწმუნოებისა.



2 ნოემბერს დაბადებულა ნინა **გასიტაშ-**



ვილი. მშობლები: გორის უეზდის სოფელ სკრაში მცხოვრები გლეხი ნიკოლოზ გიგოს ძე **გასიტაშვილი** და სჯულიერი ცოლი ამისი ნასტასია იაკობის ასული. ორივე მართლმადიდებელი სარწმუნოებისა

(საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი: ფონდი № 489; ანაწერი № 18; საქმე № 1365).

უკვალოდ არ ჩაუვლია **გასიტაშვილთა** გვარის თავდადებულ წინაპართა გარჯას. ჯიში არსებობს, მემკვიდრეობა არსებობს, ნიჭი არ იკარგება. ჟამი ჟამს მისდევს

ერთგულება, ვაჟკაცობა და თავდადების უნარი თაობიდან თაობას გადაეცემა გარდასულ დღეთა დიდება და პატივი არც უახლოეს წარსულში, XIX–XX საუკუნეებში დაჰკლებია **გასიტაშვილთა** ნიჭიერ და შრომისმოყვარე გვარს, რომლის მრავალმა წარმომადგენელმა ნათელი კვალი დატოვა საქართველოს ისტორიაში.

ამჟამად **გასიტაშვილები** ძირითადად ცხოვრობენ ქართლში: თბილისში; გორსა და გორის მუნიციპალიტეტის სოფლებში: ზემო ნიქოზში და სკრაში; ქარელსა და ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ რუისში და კასპში.

საქართველოში გასიცაშვილთა დიდ-პაცარის, ქუდოსან-მანდილოსნის საერთო რაოდენობა ოთხასორმოცდაათ სულს აჭარბებს (455 სული, აქედან: თბილისში – 121, გორის მუნიციპალიტეტში – 112, ქარელის მუნიციპალიტეტში – 72 და სხვაგან უფრო მცირე რაოდენობით (ა. სილაგაძე, ა. თოთაძე; „გვარ-სახელები საქართველოში“; თბ. 1997 წ; გვ. 55)).

**ღმერთმა ამრავლოს ძირძველი და სახელოვანი გვარი გასიცაშვილთა.**





# გასიტაშვილთა გვარის

## განსახლება საქართველოში

გენეალოგიური კვლევის ცენტრი

„[illegible]"

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
სავალდებულო ეგზემპლარი
№2438 2015